CMYK

# საერთო გაზეთი

№43 (227) ● 10-16.X.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ბიძინა ივანიშვილი:

„ჩვენს ოპონენტებს მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ქვეყანა, ქართველი ხალხი, ჩვენი კულტურა.“

**ნიკა ჯანჯღავა**, პოლკოვნიკი: ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ასეთმა ტიპაჟებმა, როგორიც არის ბაჩანა, დათა და, რაც მთავარია, მიშა, ყველამ უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე.

---

**`saakaSvili warsulia... saqarTvelo ki ukan, warsulSi, arasodes dabrundeba~**

---

**მანანა ბიწაძე-მიქელაძე:** პრეზიდენტი სააკაშვილი უნდა გადადგეს, ხოლო „ ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური რუკიდან უნდა გაქრეს!

---

**kaxa kaxiSvili:** vvaraudob, 2013 wlis 5 ianvars saprezidento arCevnebi gaimarTeba

---

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:** ჩადენილი დანაშაულისთვის თუკი სააკაშვილი არ დავსაჯეთ, საქართველო ფეხზე ვერ დადგება!

---

**soso manjaviZe:** `nacionaluri moZraoba~ moralurad da ideologiurad unda ganadgurdes!

---

ახალაიამ რამდენიმე თანამშრომელი ყელამდე მიწაში ჩააფლვევინა — ესენი ვანოს სპეცრაზმელები იყვნენო...

---

**petre mamraZe:** amerikelebma saakaSvilis dasaSoSminebad `diplomatiuri cocxebi~ da `diplomatiuri xelketebi~ gamoiyenes...



ISSN 2233-3983

**`qarTuli ocneba~ `nacmoZraobis~ panaSvidze:** _ ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას არჩევნებში დამარცხების გამო...

## რედაქტორის სვეტი



ზოგისთვის 1 ოქტომბერი არჩევნებში გამარჯვების დღეა, პირადად ჩემთვის ქართველი ხალხის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაგრძელება.

ზოგისთვის 1 ოქტომბერი ხელისუფლების შეცვლის დღეა, პირადად ჩემთვის უცხოელთა მიერ მართული შინაური დამპყრობლებისგან საქართველოს განთავისუფლების მცდელობა.

მცდელობაო იმიტომ ვამბობ, რომ ის, რაც მოხდა, ჯერ მხოლოდ დასაწყისია და მთავარი ბრძოლები წინ გვიძევს.

— პოლიტიკაში იმიტომ, მოვედი, რომ სამშობლო მეკარგებოდაო, — ბრძანა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. 1 ოქტომბერი დასაკარგად განწირული სამშობლოს დაბრუნებისთვის ბრძოლის პირველი ეტაპია.

წარმოუდგენელი გმირობა ჩაიდინა ქართველმა ხალხმა 1 ოქტომბერს, თუმცა მას ბოლომდე გამარჯვების საშუალება მაინც არ მისცეს და სადღაც შუა გზაზე გააჩერეს — კვლავ მოიპარეს ხმები, გააყალბეს, გადაწერეს, გადმოწერეს შედეგები და ქვეყანა ორხელისუფლებიანობისთვის გასწირეს, რაც იგივეა ქვეყანა ასაფეთქებლად გამზადებულ ნაღმზე შესვა. ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიდებაო, — ნათქვამია.

ჩვენ ახლა გვაიძულებენ, როგორმე ჩავტენოთ ორი ხმალი ერთ ქარქაშში, თანაც იმ სიტუაციაში, როცა ნაღმზე ვზივართ და ერთმა მკვეთრმა მოძრაობამ, შეიძლება, ჰაერში აგვიტანოს.

სიტუაცია, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ძალიან ჰგავს 1991-92 წლებში განვითარებულ მოვლენებს, როცა დინების საწინააღმდეგოდ ცურვის ბრალდებით განაჩენი გამოგვიტანეს და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე შემდგარი საქართველო ისევ და ისევ უგუნური ქართველების ხელით დაგვანგრევინეს.

მაშინ დაწყებული ომი საქართველოს წინააღმდეგ ჯერ არ დამთავრებულა...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# amerikelebma saakaSvilis dasaSoSmineblad `diplomatiuri cocxebi~ da `diplomatiuri xelketebi~ gamoiyenes...

*ვესაუბრებით ბატონ*
***პეტრე მამრაძეს***

**— ბატონო პეტრე, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დედაქალაქი მთლიანად წააგო, მაგრამ რეგიონებში წარმატებებს მიაღწია. რამ გამოიწვია ასეთი მარცხი, ყოფილა კი ასეთი შემთხვევები თუნდაც სხვა ქვეყნებში?**

— ასეთი შემთხვევები ყოფილა ძველ მაჰმადიანურ ქვეყნებში, როდესაც ქალაქებში ცხოვრობდა ელიტა, ძალაუფლებას კი ინარჩუნებდა ხელისუფალი პროვინციებიდან მოსული მეომარი ტომების საშუალებით. ეს ძველ დროში, იყო ასეთ შემთხვევები აგრეთვე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში დიქტატორული რეჟიმის დროს.

ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევებში, ხელისუფალნი ეყრდნობოდნენ იმ ძალას პროვინციებში, რომელთაც ინფორმაცია ქვეყნის მდგომარეობაზე არ მისდიოდათ. ასე მოხდა ჩვენშიც. სოფლად მცხოვრები ადამიანი არაფრით არ გახლავთ ნაკლები ქალაქად მაცხოვრებელზე, გარდა იმისა, რომ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის. მაგალითისათვის გეტყვით, როდესაც მაროკოში სოციალიზმი დამყარდა, მომთაბარე ტომები შედიოდნენ სოციალისტურ პარტიაში, მთელი ტომი მსხვერპლშეწირვაც ხდებოდა, და ასე უერთდებოდნენ მმართველ პარტიას. სხვათაშორის, სამხრეთ ამერიკაში მომხდარა ისიც, რომ დიქტატორებს გადაუტანიათ დედაქალაქები იმ ქალაქებში, რომელთაც უფრო ენდობოდნენ. ასე რომ, მსგავსი რაღაცები მოხდა ჩვენთანაც, თუმცა, სააკაშვილს ყველაფერი შეუტრიალდა პირიქით, ფუჭად ჩაიარა მისმა მცდელობებმა.

არ უნდა დავივიწყოთ ერთი მთავარი, ჩვენ ხელისუფლებას, გამზადებული დარჩა მასობრივი გაყალბების სერიოზული მანქანა, რომელიც მცირე, პროვინციულ ადგილებში აამუშავეს. ყველგან არ იმუშავა ამ მეთოდმა.



ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სრულიად არათანაბარ პირობებში მომდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია და რაც მთავარია მთელი ეს წლები, სადაც იყო ხელისუფალთა გავლენა, მიუხედავად სამართლიანი არჩევნებისა, იქ მაინც მოექცა ხალხი „ნაცების“ გავლენაში. ამას დაემატა ისიც, რომ არჩევნები დაინიშნა ორშაბათს, სამუშაო დღეს, რითაც ამ მთავრობამ მოიცილა ის ამომრჩეველი, ვინც მათზე განაწყენებული იყო და მათ ხმას არ მისცემდა. აბა ერთი სცოდნოდათ რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები „ნაციონალებს“ აძლევდნენ ხმას ასე მოიქცეოდნენ? პირიქით, დიდ ფულსაც დახარჯავდნენ, კარგ ორგანიზაციასაც გაუკეთებდნენ და ყველაფერს გააკეთებდნენ იმისათვის, რომ მათი ხმა არ დაკარგულიყო, კარგად იცოდნენ როგორი პროტესტია მათ მიმართ ქართულ დიასპორებში და ჩამოიცილეს. სულ ამბობენ, რომ 1 მილიონამდე საქართველოს მოქალაქეა აქედან წასული, უცხოეთში მათი რიცხვი კი 40 000 მდე დაიყვანეს. არჩევნებში **„ბიძინა ივანიშვილი — ქართულმა ოცნებამ“** ვერ აიღო ხმების ორი მესამედი ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობა. რომ არა ამდენი ხელისშემშლელი ფაქტორი, დღეს მას 100-ზე მეტი ადგილი ექნებოდა პარლამენტში.

**— რაში შეუშლის ეს ხელს „ქართული ოცნების“ გუნდს?**

— ეს ხელს შეუშლის იმაში, რომ შეიძლება ვერ მოხერხდეს ახალი საპარლამენტო რესპუბლიკის წყობაზე გადასვლა, კონსტიტუციური ცვლილებები, პრეზიდენტის იმპიჩმენტი და ა.შ. თუმცა, ის რაც „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო, მართლაც დაუჯერებელია. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავად გამოაცხადა, რომ გადადის ოპოზიციაში, ამას არავინ არ ელოდა.

ინფორმაციას ვერ ვამოწმებ, მაგრამ არის ვარაუდი, რომ მათ დარწმუნებაში ამ მეთოდით წასვლაზე, უსისხლოდ ყველაფრის გადაბარებაზე, დიდი როლი შეასრულეს ამერიკელებმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, მათ **„დიპლომატიური ცოცხები“ და„დიპლომატიური ხელკეტები“ გამოიყენეს სააკაშვილის დასარწმუნებლად.**



ისიც მინდა დავძინო რომ აშშ-ის ელჩი იყო ის ერთადერთი დიპლომატი ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ელჩად დაინიშნა საქართველოში, ჩამოვიდა და პრეზიდენტი სააკაშვილი მას არ შეხვდა.

**— რისი შიში ჰქონდა სააკაშვილს?**

— ყველაფრის, რაციონალურად ამას კაცი ვერ გაიგებს, მაგრამ მე კარგად ვიცნობ პრეზიდენტს და მჯერა, რომ ის კარგად მიხვდა ვინ იყო ეს პიროვნება. იყო ასევე ერთი შემთხვევაც, როცა ევროპიდან ჩამოვიდა სერიოზული პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც მას შეცდომებსა თუ არასწორ ქმედებებზე მიუთითა. თუმცა, ეს ხდებოდა აბსოლუტურად კორექტულად. საღამოს ის სააკაშვილმა დაპატიჟა სადილზე სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან ერთად, თუმცა, ეს პიროვნება მისივე ბრძანებით საღამოს ვახშამზე არ შეუშვეს! სააკაშვილს სასტიკად ეშინია სიმართლის. ასევე დაითხოვა აქედან ჰიტერ ბოდენი — რომლის ატანაც არ ჰქონდა. ეს სრული სიგიჟეებია, მაგრამ ფაქტია!

**— ჰილარი კლინტონი, არჩევნების შემდგომ, ესაუბრა როგორც ბიძინა ივანიშვილს, ასევე, სააკაშვილს, ხომ არ იყო ეს გარკვეულწილად რეკომენდაციები აშშ-ს მხრიდან?**

— ჩვენთან, საზოგადოების დიდ ნაწილში, დამკვიდრდა მცდარი შეხედულება და ტერმინი —„ვაშინგტონის ობკომი“, რომელიც გარკვეულ რეკომენდაციებს სთავაზობს ჩვენს ქვეყანას. ეს გახლავთ სრულიად ჭეშმარიტებას აცდენილი აზრი. აშშ კონსტიტუციის შესაბამისად, ეუბნება თავის პარტნიორებს, რომ მე ვიცავ ამ წესებს თუ ნორმალური ურთიერთობა გვინდა, მაგრამ თუ მას ვინმე ეუბნება, რომ სურს იყოს ამ ქვეყნის მეგობარი, იყოს ნატოში და ა.შ. და ამავდროულად არის ავტორიტარი — ასეთი ურთიერთობა მათთვის მიუღებელია!

**— კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენს მოსამართლეს შეხვდა „ოცნების“ წარმომადგენელი ოჯახში და არ დავუშვებთ, რომ ჩვენს პატიოსან და მიუკერძოებელ სასამართლოზე ვინმემ იქონიოს გავლენაო. ვინმე კიდევ ფიქრობს, რომ დღეს საქართველოში სასამართლო მიუკერძოებელია?**

— ძმები კუბლაშვილები არიან დიდი დამნაშაევეები, ორივენი. სასამართლო სისტემა წლების განმავლობაში იყო სადისტური სისტემის საყრდენი, რომელიც მორჩილად, ლაპარაკის გარეშე, ასრულებდა პროკურატურისა და შსს-ს ნებისმიერი გადაწყვეტილებას. საქმე მივიდა იმ კაზუსამდე, რომ გამამართლებელი განაჩენი დგებოდა 0,1 პროცენტზე ნაკლები ქვეყანაში! ტოტალიტარულ რეჟიმში, ბრეჟნევის დროს იყო 20-22 პროცენტი. უცხოელები აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში პატიმრები მზად არიან დაიბრალონ ნებისმიერ ბრალდება, რათა აიცილონ სასტიკი მოპყრობა ციხეებში. და ამას ყველაფერს კუბლაშვილი ხელს აფარებდა და რეაგირებას არ ახდენდა. ის გადაიქცა სერიოზულ დამნაშავედ, ამიტომ სულ მალე, მისი და მისი ძმის ჩადენილი საქმეები ღია მსჯელობის საგანი გახდება. ძმები მრავლად იყვნენ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში: კუბლაშვილები, ახალაიები, ქარდავები — არ იყო ეს კლანური მიდგომა? ვერ ხედავდა ამას „პატიოსანი“ სასამართლო?

კახა ბენდუქიძემ განაცხადა არჩევნების შემდეგ, ოპოზიციამ იმიტომ გაიმარჯვა საქართველოში, რომ სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ დემოკრატიული ქვეყანა ააშენაო... თავად ბენდუქიძე არის ის პიროვნება, რომელმაც საქართველოს დიდი ზარალი და ზიანი მიაყენა. მე მაფრთხილებდნენ რუსი პოლიტოლოგები, რომ ამ ადამიანს, არცერთი დღე არ უწარმოებია ბიზნესი რუსეთში, მხოლოდ და მხოლოდ ქრთამით იშოვა ფული.

**— როგორია უცხოელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების აზრი საქართველოში მომხდარ სამთავრობო ცვლილებებზე?**

— ისინი საკმაოდ კმაყოფილები არიან იმით, რომ პროცესები **მშვიდობიანად წარიმართა, „ქვეყნის შეშლილი დიქტატორი“ კი, ასე ეძახდნენ ისინი სააკაშვილს, თავის „სადისტ“ ჯგუფთან ერთად თანდათან შორდება ხელისუფლებას.** არ დააკლებენ მას ქებას და დიდებას იმიტომ, რომ პრეზიდენტი არაპროგნოზირებადი პიროვნებაა. კონსტიტუციით მას 1 წელი არსებობის უფლება აქვს. თუმცა, დავინახეთ, რომ თანამშრომლობისათვის ისინი უკვე აქცენტს აკეთებენ ივანიშვილზე და მას ხვდებიან.

**— როგორ შეიძლება განვითარდეს პოლიტიკური პროცესები ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში? 1 წელი კვლავ დარჩება სააკაშვილი პრეზიდენტად? ხომ არ ელოდება ქვეყანას პოლიტიკური კრიზისი?**

— კონსტიტუციით, მომავალი წლის ოქტომბრამდე, მას დარჩენის უფლება აქვს. ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ ამგონია მოხდეს, რადგანაც სააკაშვილის ყოფილ ხელისუფლებას ამის სურვილი უკვე აღარ აქვს. ამის თაობაზე უკვე განაცხადეს ბოკერიამაც და ბაქრაძემაც. აქვე მინდა დავძინო, რომ ბაქრაძეს და გარკვეულ ჯგუფს პარლამენტარებისას, რომ არ გაეტეხათ პარლამენტარის ფიცი, ქვეყანაში „სადისტური სისტემა“ ვერ იარსებებდა და 12,5 მილიარდი დოლარი საგარეო ვალი ქვეყანას არ დაუგროვდებოდა. უმძიმესი ბიუჯეტი დაახვედრეს ახალ ხელისუფლებას. თუ შეეცდება ყოფილი ხელისუფლება პოლიტიკური კრიზისის შექმნას ქვეყანაში, უფრო უარეს დღეში ჩავარდებიან. ციხის კადრების ჩვენების შემდეგ უცხოელი პოლიტიკოსები ხშირად მეუბნებოდნენ მათზე, რომ ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ პოლიტიკურად უკვე მკვდრები არიანო? როგორც სააკაშვილს ისე მის გუნდს იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი! მჯერა, რომ ყველა ისინი პასუხს აგებენ ქვეყნისა და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულებებზე. მთავარია სამოქალაქო საზოგადოება არ მოდუნდეს.



**ეთერ კასრელიშვილი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# `saakaSvi l i wa r su l i a... saqa r Tve l o ki ukan, wa r su l Si, a r asodes dab r undeba~

**საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და კოალიცია „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ბიძინა ივანიშვილს შორის პირისპირ შეხვედრა გაიმართა.**

**კოალიციის ლიდერი პრეზიდენტის სასახლეში ახალი ხელისუფლების სამუშაო ჯგუფთან ერთად მივიდა, რომელმაც, პარალელურად, მოქმედი მთავრობის სამუშაო ჯგუფთან გამართა შეხვედრა.**

**მოქმედი მთავრობის სამუშაო ჯგუფს წარმოადგენდნენ დავით ბაქრაძე, პავლე კუბლაშვილი, გიგა ბოკერია და გიგი უგულავა, ხოლო კოალიციის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ირაკლი ალასანია, ირაკლი ღარიბაშვილი, დავით უსუფაშვილი და სოზარ სუბარი.**

**შეხვედრის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა და ბიძინა ივანიშვილმა მასმედიის წარმომადგენლებისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.**



### მიხეილ სააკაშვილი:

,,ქართველმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვიტყვით მომავალში, რომ ჩვენ ქართველი ხალხის არჩევანს ვცემთ პატივს. ქართველი ხალხი არის ის უზენაესი მოქმედი პირი ქვეყანაში, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებს. ჩვენ ვისაუბრეთ და რა თქმა უნდა, არავისთვის არ არის მოულოდნელი, რომ ჩვენს შორის რჩება ფუნდამენტური განსხვავებები ძალიან ბევრ პოლიტიკურ საკითზე, ძალიან ბევრ ეროვნულ საკითხზე. მაგრამ, ჩვენ როგორც პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება, მე როგორც პრეზიდენტი, რომელიც არის კონსტიტუციის გარანტი, ვუზრუნველყოფ, რომ გადასვლა მთავრობის ფუნქციებს შორის მოხდეს ყოველგვარი ექსცესების გარეშე, მოხდეს ისე როგორც არასდროს მომხდარა საქართველოს ისტორიაში”.

### ბიძინა ივანიშვილი:

ჩვენს ოპონენტებს მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ქვეყანა, ქართველი ხალხი, ჩვენი კულტურა.

ის, რომ მე და ჩემმა გუნდმა შევქმენით პრეცენდენტი დემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლის, ისტორიაში ღირსეულად მოიხსენიება. ისიც, რომ მოვახერხეთ და მთელი წლის განმავლობაში ყველა ულირს ქცევას ჩვენი ოპონენტების მხრიდან ღირსეულად ვპასუხობდით.

ჩვენი სწრაფვა იქნება განუხრელად ევროპისკენ და საქართველო მოახერხებს გახდეს ნატოს წევრი. კარგია, რომ ჩვენ მოვახერხეთ შეხვედრა. კარგია, რომ სააკაშვილმა არჩევნების შემდეგ გააკეთა განცხადება, რომელიც მე შევუქე. ჩვენი შეხვედრა იმას ემსახურება, რომ ვართ კულტურული ერი და ჩვენ ოპონენტებს ღირსეულად ვექცევით“.

**რეპლიკა: მიუხედავად სააკაშვილის მაღალფარდოვანი ფრაზებისა, მიუხედავად კარგად შეფუთული დემაგოგიისა, ფაქტია, რომ სააკაშვილი წარსულია... საქართველო კი უკან, წარსულში, არასოდეს დაბრუნდება.**

## კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის მომავალი შემადგენლობიდან უმრავლესობა უკვე დაასახელა



### ახალ მთავრობაში მინისტრის პოსტები ასე გადანაწილდება:

შინაგან საქმეთა სამინისტრო - **ირაკლი ღარიბაშვილი;** თავდაცვის სამინისტრო - **ირაკლი ალასანია** (ამავე დროს ვიცე-პრემიერი); იუსტიციის სამინისტრო - **თეა წულუკიანი;** სასჯელაღსრულების სამინისტრო - **სოზარ სუბარი.**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - **კახა კალაძე** (ამავე დროს მეორე ვიცე-პრემიერი). სოფლის მეურნეობის სამინისტრო - **დავით კირვალიძე;** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - **ლევან ყიფიანი;**

საგარეო საქმეთა სამინისტრო - **მაია ფანჯიკიძე;** კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - **გურამ ოდიშარია;** ჯანდაცვის სამინისტრო - **ამირან გამყრელიძე.**

დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - **კოტე სურგულაძე;** ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - **ალექსი პეტრიაშვილი.** რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - **პაატა ზაქარეიშვილი;**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორი - **რევაზ შავიშვილი;** ეროვნული ბანკის პრეზიდენტი - **ნოდარ ჯავახიშვილი;** გენერალური პროკურორი - **არჩილ კბილაშვილი.** გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი - **მაია მიმინოშვილი.**

ფინანსთა, ეკონომიკის, განათლების, გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და ლტოლვილთა მინისტრობის კანდიდატურები ბიძინა ივანიშვილს დღეს არ დაუსახელებია, არაფერი უთქვამს დასაქმების სახელმწიფო მინისტრზეც.

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ბიძინა ივანიშვილმა დავით უსუფაშვილი წარადგინა

ივანიშვილის თქმით, პირველი მოადგილის პოსტზე კანდიდატია **მანანა კობახიძე.** მოადგილეები კი - **ზვიად ძიძიგური, ზურაბ ტყემალაძე** და **ზურაბ აბაშიძე.**

ივანიშვილმა აგრარულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე **გიგლა აგულაშვილი** წარადგინა; ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი - **ეკა ბესელია;** განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტი - **ვანო კილურაძე;** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი - **გია ცაგარეიშვილი;** დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი - **ნოდარ ხადური;** დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი - **გუბაზ სანიკიძე;** ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი - **ვიქტორ დოლიძე;** თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი - **ირაკლი სესიაშვილი;** იურიდიულ საკითხთა კომიტეტი - **ვახტანგ ხმალაძე;** რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი - **ირაკლი ტრიპოლსკი;** საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი - **თედო ჯაფარიძე;** საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი - **ირინა იმერლიშვილი;** საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი — **დავით ონოფრიშვილი;** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი - **ლერი ხაბელოვი;** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი - **დიმიტრი ხუნდაძე.**

# მსოფლიო პრესის მიხედვით

საქართველომ ცვლილებებს დაუჭირა მხარი. თუმცა არჩევნებისშემდგომ მყიფე სიმშვიდეს საფრთხე ემუქრება — „ქართული ოცნების“ მომხრეები აპროტესტებენ არჩევნების შედეგებს ზოგიერთ რაიონში, უტევენ საოლქო კომისიის შენობებს, ცდილობენ გააუმჯობესონ კოალიციის შედეგები.

## ivaniSvili gmiria, magram rasaWiroa saarCevno komisiebze Seteva

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ივანიშვილის მოულოდნელი და უპირობო გამარჯვება — ეს არის საქართველოში ახალი ეპოქის დასაწყისი და სუსტი დემოკრატიის წინგადადგმული წარმატებული ნაბიჯი, წერს ესპანური **El Pais**. „თვითონ ფაქტი, რომ საქართველომ მოახერხა ოპოზიციის არჩევა და მისთვის ძალაუფლების გადაცემა, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ისტორიაში საეტაპო მოვლენაა. ამ მოვლენის სათანადოდ შეფასებაა საჭირო, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ ახლახან გამართულ არჩევნებს ბელორუსში, სადაც ლუკაშენკოს ოპონენტებმა ერთი მანდატიც კი ვერ მიიღეს“, — ვკითხულობთ წერილში.

„ქართული ოცნების“ ტრიუმფი და სააკაშვილის მიერ საკუთარი დამარცხების აღიარება ქართული დემოკრატიის გიგანტური ნაბიჯია, წერენ **The International Herald Tribune**-ში ჯობ ჰენინგი (**Center for the Study of the Presidency and Congress, ÑØ À**) და ნინო ჯაფარიძე (ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის გლობალური პოლიტიკის კათედრის წარმომადგენელი). რაც მოხდა, ყველას სასიკეთოდ წაადგება, განსაკუთრებით კი — ქართველ ხალხს.




1-ლ ოქტომბერს გამართულმა საპარლამენტო არჩევნებმა დაასრულა დაშინების პოლიტიკა: ხალხი ხელახლა ცდილობს თავის დამკვიდრებას. რა როლი აკისრია ამ საქმეში ივანიშვილის ფინანსებს? ავტორთააზრით, უცხოეთში მოპოვებული დამოუკიდებელი ფინანსები პოლიტიკური ცვლილებების შანსი იყო: „საქართველოში პოლიტიკური პროექტების დაფინანსება ადგილობრივი, სამამულო სახსრებით მეთოდურად ისჯებოდა: შანტაჟით, საგადასახადო ინსპექციის შემოწმებებით, საბანკო ანგარიშების დაყადაღებით“.

ივანიშვილის გამარჯვება სააკაშვილს სათავისოდ შეუძლია გამოიყენოს: იგი ოპოზიციაში შესანიშნავად გრძნობს თავს. ამასთან, „ძალაუფლების ბერკეტების განაწილება — ნორმალური მოვლენაა. სწორედ ეს სჭირდება საქართველოს“, — ასეთია წერილის ავტორთა აზრი.

საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური ნების აღორძინება ამერიკის შეერთებული შტატების გამარჯვებაც არის — „ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა გაამყარებს რეგიონულ სტაბილურობას და მნიშვნელოვან პრეცედენტად იქცევა.

დაბოლოს, „ქართული ოცნების“ გამარჯვება რუსეთელთა გამარჯვებაცაა: ახლა პუტინს გაუჭირდება, საქართველო წარმოადგინოს როგორც რუსეთის მტერი ქვეყანა.

მულტიმილიარდერი ივანიშვილი პრემიერი იქნება, ხოლო სააკაშვილი, რომელსაც უსასრულოდ სურდა ხელისუფლებაში ყოფნა და მისი პარტია — ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში მიდიან. უახლოესი ერთი წელიწადი არც ისე დალხინებული იქნება, წერს **Die WelT**. „დარჩენილ დროში მოქმედ პრეზიდენტს შეუძლია, თვითონ წარუდგინოს პარლამენტს პრემიერის კანდიდატურა. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, საქართველო ხდება საპარლამენტო რესპუბლიკა და პრემიერ-მინისტრს ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის უფლებამოსილებებს ანიჭებს“.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მოქმედი პრეზიდენტი სრულად დაუჭერს მხარს პრემიერის ახლანდელ კანდიდატურას.

ივანიშვილი დაჰპირდა ხალხს, რომ იგი ქვეყანაში „საინტერსო საინვესტიციო გარემოს“ და უამრავ სამუშაო ადგილს შექმნის. რაც შეეხება დაპირებულ უფასო სამედიცინო მომსახურებას, ივანიშვილის თქმით ეს პროგრამა ბიუჯეტის დეფიციტის პირობებშიც ამოქმედდება: იგი მზად არის, საამისოდ საკუთარი ფინანსური რესურსი დახარჯოს.

„გამარჯვებული კოალიცია ხმების ხელახლა დათვლას ითხოვს“, — ასეთია **The New York Times**-ის წერილის სათაური. „არჩევნების შემდგომი სიმშვიდე დაირღვა, როცა კოალიციამ საეჭვოდ მიიჩნია ხმების დათვლის შედეგები. ზოგიერთ რაიონში აქტივისტებმა იმ შენობაში შეღწევა სცადეს, სადაც ბიულეტენებს ითვლიდნენ.

კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მოუწოდა მომხრეებს, შეწყვიტონ ქუჩის აქციები და ცვლილებებს კანონის გზით მიაღწიონ. მსგავსი მოწოდებით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი, რომელიც დაესწრო ხალხის საპროტესტო გამოსვლას საქართველოს დასავლეთში მდებარე ქალაქ ზუგდიდში.

გარდა ამისა, ივანიშვილის მომხრეებში პოპულარულია მიმავალი ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეთა პასუხისგებაში მიცემის იდეა. „ისინი უნდა წარდგნენ სასამართლოს წინაშე, უნდა უპასუხონ შეკითხვებს. თუ ბრალი არ მიუძღვით, არავინ დასჯის მათ. დაე, ხალხმა დასვას შეკითხვები და მათზე პასუხიც მიიღოს“.

## saakaSvilis damarcxeba — moZvelebuli politikuri aliansisa da dasavleTis gardauvali ganxeTqileba

### ხელისუფლების გადაბარება საქართველოში არ არის „ცივ ომთან“ დაბრუნება

დასავლეთის მედიასაშუალებების წარმომადგენლებმი ჩაებღაუჭნენ მომხიბლავ იდეას, თითქოს არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ საქართველოში რუსეთის გავლენა გაიზრდება, წერს **The Independent**-ის მიმომხილველი მარტა ფორესტი.

თუმცაღა, არ ღირს რუსეთის როლზე ასე ყურადღების გამახვილება, აპროტესტებს ავტორი. საპარლამენტო არჩევნების შედეგები არც ისე მოულოდნელი იყო: მართალია, სააკაშვილი დაუმარცხებელი ჩანდა, მაგრამ საქართველოს ბევრი მოქალაქე დაღალა მისმა ავტორიტარულობამ და ახლა მათ ცვლილებები სურთ.



ივანიშვილი პირველი არ არის, ვინც სააკაშვილი გამოწვევის წინაშე დააყენა, მაგრამ ადრე ოპოზიციური პარტიები სუსტი იყო, არ ჰქონდათ მკაფიო იდეოლოგია და თანამიმდევრული პოლიტიკური პროგრამები. „რაც მთავარია, მათ არ ჰქონდათ ფული, მაშინ, როცა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას გააჩნდა დიდი ფინანსური რესურსი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური მხარდაჭერა“, — წერს მიმომხილველი.

ივანიშვილს ფინანსების პრობლემა არ ჰქონია — იგი ბანკირია. მას არ გასჭირვებია თბილისი გარეთ მცხოვრებ ელექტორატთან ურთიერთობა — ის სოფელშია დაბადებული. თუკი მის ოპონენტებს ვენდობით, მას არც რუსეთთან უნდა გაუჭირდეს კრემლთან ურთიერთობის დამყარება.

დასავლეთის დამკვირვებლები არ იზიარებენ ივანიშვილის ოპონენტთა მოსაზრებას, თითქოს კავკასიაში საბჭოთა კავშირის აღორძინება სურთ. ეს ფანტაზიაა და სხვა არაფერი. „ჯერ ერთი, საქართველოში რუსეთის მიმართ დამოკიდებულება ისეთია, რომ ძნელი წარმოსადგენია საბჭოთა ცხოვრების წესის დაბრუნება“. ივანიშვილი იძლევა მკაფიო დაპირებას, რომ მისი კურსი ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობაა. მეორე მხრივ — რუსულ-ქართულ ურთიერთობებში აუცილებელია მნიშვნელოვანი კომერციული საკითხების მოგვარება.

„ეს ყველაფერი არ ჰგავს „ცივი ომის“ პერიოდის დაბრუნებას“, — ვარაუდობს ავტორი. მაგალითად, სააკაშვილის დამარცხება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მოძველებული პოლიტიკური ალიანსისა და დასავლეთის გარდაუვალი განხეთქილება. „საქართველო არ არის ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელსაც უახლოეს წლებში შესაძლოა, ბევრი რუსეთელი მეგობარი დასჭირდეს“, — ვკითხულობთ წერილში.

თუკი ამიერიდან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესი უფრო ღია, დაბალანსებული და ფრთხილი გახდება, ეს იქნება არა კრემლის ან კაპიტოლიუმის ბორცვის, არამედ თვითონ ქართველების დამსახურება.

**The Independent**

## revanSis safrTxe saqarTveloSi

საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, თუმცა „კუდიანებზე ნადირობის“ ნიშნები აზარალებს ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემის პროცესს. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სამინისტროების თანამშრომელთა 80 პროცენტს შეინარჩუნებს, მაგრამ მინისტრებს გადააყენებს. „ხალხს ეშინია“, — ამბობს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელე. ვრცელდება ათასნაირი ჭორიც. მინისტრს, რომელიც თანამდებობას დატოვებს, უკვე ემუქრებიან ტელეფონით.



„დააღწევს თუ არა თავს საქართველო რევანშიზმს? ამის აბსოლუტური გარანტია არ არსებობს“, — აღნიშნავს წერილის ავტორი. ამ დღეებში ოპოზიციურმა გაზეთმა გამოაქვეყნა თბილისის იმ ციხის 316 თანამშრომლის სია, რომელიც წამების სკანდალის მიზეზი გახდა. ასეთი მოქმედებები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ ენდობა გამოძიებას, რომელიც წარმავალმა ხელისუფლებამ დაიწყო. „ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნება, თუკი ხალხი თვითონვე აღასრულებს მართლმსაჯულებას“, — აცხადებენ **Human Rights Watch**-ის წარმომადგენლები.

„ბოლოდროინდელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებას გადაცემა არ იქნება ისეთი მშვიდი, როგორსაც ვარაუდობდნენ მაშინ, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა დამარცხება აღიარა. არჩევნების შედეგები არ არის საბოლოო, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ დარღვევების გამო მრავალი სარჩელი შეიტანა. გარდა ამისა, მიმავალმა ხელისუფლებამ „ქართული ოცნება“, დამატებითი 6-7 ადგილის მოსაპოვებლად, იმ საარჩევნო უბნების ბლოკირებაში დაადანაშაულა, სადაც ხმის დათვლა მიმდინარეობდა. „ქართულმა ოცნებამ“ რომც მიიღოს ის 7 ხმა, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს, კვალიფიციური უმრავლესობისთვის (100 ადგილი პარლამენტში) საკმარისი მაინც არ არის.

ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრია. არასტაბილურობა, სავარაუდოდ, 2013 წლის ოქტომბრამდე გასტანს — სწორედ იმ დროს ამოქმედდება რეფორმა, რომელიც პრემიერის უფლებამოსილებებს ზრდის და პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლებას ართმევს.

**Liberation**

**მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# ტელეკომპანია „კავკასიის“ მესვეურებო, ყველაფერი უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ მართლმადიდებლობას გამოსარჩლებული 9 ქართველი ახალგაზრდა დროულად გამოუშვან ციხიდან...

თითქმის 3 წლის წინ მთელი საქართველო გაოგნებული შესცქეროდა ტელეკომპანია „კავკასიაში“ უპრეცედენტო პროვოკაციას, რომელიც არც მეტი და არც ნაკლები, პირდაპირ ეთერში 8 ადამიანის დაპატიმრებით დასრულდა!

საპროვოკაციო თემა ვინმე „მწერლის“ ერეკლე დეისაძის წიგნის „საიდუმლო სირობის“ გარშემო განვითარდა, რომლის პრეზენტაციაც ილიას უნივერსიტეტში მოეწყო და რომელსაც უკვე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგალითად „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი ესწრებოდნენ.

ახლა აღარ გავიმეორებ, რა ეწერა „დეისაძის სირობაში“, მაგრამ ამ ფაქტით აღშფოთებული საზოგადოება და სტუდენტობის ერთი ნაწილი ქუჩაში რომ გამოეფინა ეს ყველას კარგად გვახსოვს. ისინიც კარგად გვახსოვს, როგორი მკვეთრი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს საპატრიარქომ დეისაძის მხრიდან მარიამ ღვთისმშობლის შეურაცხყოფაზე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ ფაქტით აღშფოთებული სამღვდელო პირები, როგორ შეუერთდნენ საპროტესტო აქციებს. მეტიც, დღეს უკვე დეპუტატი ეკა ბესელია დაპატიმრებული 8 ქრისტიანის მხარდამჭერ აქციაში მონაწილეობდა ამაში და გაოგნებული მეუბნებოდა: „ეს რა ჰქნა „კავკასიამ“, პირდაპირ ეთერში ამდენი კაცი როგორ დააპატიმრებინა, ასეთი რამ საქართველოში ჯერ არ მომხდარა, გაოგნებული ვარო. ასე იყო თუ ისე,



მართლმადიდებლური მრწამსის დამცველი პიროვნება, მათ შორის კი მედია ჰოლდინგ „ჯორჯიან-თაიმსის“ გამომცემელი მალხაზ გულაშვილი, დღემდე პატიმრობაში არიან!

„ჰო, ჰო, მალხაზ, შენმა მომხრემ დამარტყა გარეთ, გეუბნები, რა?“ — ასევე პირდაპირ ეთერში უკეთებდა ვიღაცას „დაკლადს“ დათო აქუბარდია და არ ვიცი, სადღებავის, თუ სისხლის მოწმენდას ლამობდა ხელით... „მაგას ხელი არ ახლოთ, მაგას არაფერი დაუშავებია“, — ბოლო ხმაზე კიოდა ჯანგირაშვილი და პოლიციას თავისი ძმისშვილისთვის ხელის გაშვებას უბრძანებდა. „აი, ამან, აი, ამან და აი, ამ პირებმა მოგვიწყვეს პროვოკაცია, ლევან, არ გინდა, ახლა თავის მართლება რა? შენც ჩხუბობდი გარეთ, აღიარე, რა?“ — აგრძელებდა ჩაშვებას „დემოკრატიის ბუტკიდან“ აქუბარდია და ურცხვად უმტკიცებდა ლევან ჩაჩუას იმას, რაც მას არათუ არ ჩაუდენია, არამედ სტუდიიდან არც კი განძრეულა და არც არსად გასულა!

როგორც თვითმხილველებმა მიამბეს, იმ ავადსახსენებელ დღეს 2010 წლის 7 მაისს მართლმადიდებლობის დამცველები კი არა, პირიქით, ტელეკომპანიის თანამშრომლები იქნევდნენ ხელ-ფეხს და დაუნდობლად ურტყამდნენ არათუ სტუმრებს, არამედ ეზოში მომლოდინე სამღვდელო პირებსაც. განსაკუთრებით კი, თურმე, ძალიან აქტიურობდნენ ნინო ჯანგირაშვილის ოპერატორი ძმისშვილი, ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი და სხვა ოპერატორები! მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდებოდა, მართლმადიდებლურ ქვეყანაში სწორედ მართლმადიდებელი ადამიანების უფლებები შელახა სატანურმა „ნაცმოძრაობამ“, მათზე დამყნობილმა ე.წ. „დამოუკიდებელმა“ მედიამ და იმ სასამართლომ, რომელსაც „დამოუკიდებელი“ ფასადურად ჰქვია. თორემ, რაც სასამართლო სხდომებზე მოვისმინე და ვნახე, ცალკე განხილვის თემაა.

**მოკლედ, „ნაცმოძრაობამ“, „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და ტელეკომპანია „კავკასიამ“ კიდევ ერთხელ ჩაგვაფურთხეს ქართველებს რწმენაში, ხელებიც პილატესავით სასწრაფოდ დაიბანეს — ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მაგრამ იმას სად გავექცეთ, 9 ჯანმრთელი, 9 პატრიოტი და 9 ოჯახიდან გასული მართლმადიდებელი ქრისტიანი კაცი მათი გამოისობით დღემდე რომ უკანონო პატიმრობაში არიან და მათ ხან სინდისის პატიმრებს და ხანაც რელიგიის დამცველ პატიმრებად რომ იხსენიებს საზოგადოების უდიდესი ნაწილი?**

მე თუ ვინმე მკითხავს — დღესვე და დაუყოვნებლივ უნდა გაანთავისუფლონ ეს ადამიანები, რადგან მათ არაფერი დაუშავებიათ გარდა იმისა, რომ თავის დროზე ყველას და ყველაფერს თავთავისი სახელი დაარქვეს! მათ არავინ უცემიათ — პირიქით კი იყო, მათ არავისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ — პირიქით კი, რამდენჯერაც გნებავთ.



**რაც შეეხება, გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემლის მალხაზ გულაშვილის დაპატიმრებას და მისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთას — ესეც გაუგონარი ცინიზმია,**

რადგან მალხაზს მხოლოდ იმისთვის მიუსაჯეს, რომ „ნაც.მოძრაობის“ მიერ დადგენილ, ანტიმართლმადიდებლურ ზღვარს გადააბიჯა და თავისი სამშობლოს რელიგიისთვის, არათუ საკუთარი, არამედ შვილის სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ დააყენა! მახსოვს, როგორ ქილიკობდნენ მაშინ არათუ ჟურნალისტები, არამედ ხელისუფალნიც, როცა მალხაზი ამბობდა:

**„შვილის მოკვლით და გაუპატიურებით დამემუქრნენ, ბავშვს მანქანით აეკიდნენ და მასაც იგივეთი დაემუქრნენო“.**

ახლა?

ახლა ხომ ცხადად დაინახა ყველამ, რომ ამგვარ „მესიჯებს“ ნაქები პოლიცია „რეფორმირებული ციხე“ და იქ მომუშავე ფაშისტები ტყუილუბრალოდ არ აგზავნიდნენ?

ანდა, ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ უკვე მერამდენედ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჯოჯოები და ვირთხები — ჩვენივე ქვეყანაში ერთგვარ ნორმებს გვიწესებენ რელიგიაზე, ქცევაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე და ზოგადად, ცხოვრების წესებზე?

რატომ ხდება, რომ თუკი ვინმე მათი „სასტავიდან“ ჩაიწიხლა, ეგრევე ქუჩაში გამორბიან და ტოლერანტობაზე გვიკითხავენ ლექციებს? ანდა რატომ ხდება, რომ მართლადიდებლურ ქვეყანაში მართლმადიდებლების გარდა ყველა რელიგიური აღმსარებლის უფლებები არის ხოლმე დაცული მათი მხრიდან, მიპასუხონ დღეს უკვე დეპუტატმა დავით ზურაბიშვილმა, თინა ხიდაშელმა და გუბაზ სანიკიძემ (რომლებიც მაშინ „კავკასიაში“ მივარდნენ და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით დაგვმოძღვრეს — „უცოდინარობის“ ბრალია ყველაფერი, „არ უნდა შერჩეთ ამ ადამიანებს და უნდა დაისაჯონო“). რატომ იხდის გრძელვადიან პატიმრობას 9 ქართველი, რომელთა „ბრალდებაში“ 32 „მოწმიდან“ 2 პიროვნება პოლიციის თანამშრომელი იყო, ხოლო დანარჩენები კი ტელეკომპანია „კავკასიის“ თანამშრომლები და „თავისუფლების ინსტიტუტის“, ჯოჯოები? თანაც, სასამართლო სხდომებზე ჟურნალისტ-ბრალმდებლებმა „პლასტინკა“ რომ შეცვალეს და თავს დაზარალებულად უკვე აღარ თვლიდნენ, რაშია საქმე? გამცეს პასუხი დეპუტატმა გუბაზ სანიკიძემ. რატომ და ვისი გამოისობით გაუსკდა გული და მოკვდა 147-ე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის პატიმარ კობა გურჩიანის მამა? მიპასუხოს „ჯანგირამ“, „აქუმ“ და გუბაზამ რატომ იზრდებოდა უმამოდ ამდენი წლის განმავლობაში პატიმარი ლევან ჩაჩუას ახალშობილი შვილი? რატომ არ გაითვალისწინა მოსამართლე მილერ ხარებავამ ყველა ე.წ. „დაზარალებულის“, ამ შემთხვევაში ნინო ჯანგირაშვილის, დავით აქუბარდიას, ალეკო ელისაშვილის მიერ უკვე სასამართლოში გაჟღერებული ჭეშმარიტი ჩვენება ამ პატიმართაგან ჩვენთვის არავის შეურაცხყოფა არ მოუყენებია, არ



დაგვინახავს, ვინ დაიწყო პროვოკაცია და ა.შ. ანდა, დღეს განა, სამართლიანი არ იქნება, იგივე ტელეკომპანია „კავკასიის“ ე.წ. „დემოკრატიის მჭედელმა“ შემადგენლობამ თავად მოითხოვოს საკუთარი დანაშაულის საკომპენსაციოდ 9 ქართველი მართლმადიდებლის უპირობო გათავისუფლება?

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს პატიმრობაში მყოფი პატიმრების ადვოკატი, საჩხერის დეპუტატი („ქართული ოცნებიდან“) მანანა კობახიძე გახლდათ და მინდა მასაც მივმართო:

**ქ-ნო მანანა! იქნებ დადგა ის დრო, როცა ყოველგვარი „საქმის გადასინჯვის“ გარეშე, რწმენისთვის დაპატიმრებული გარეთ, ანუ სახლებში უნდა დააბრუნოს ხელისუფლებამ?! მოვუწოდებ ყველა წესიერ ჟურნალისტს დღესვე, ამ წუთიდან მოვთხოვოთ ახალ ხელისუფლებას, ჩვენი კოლეგის მალხაზ გულაშვილის და ზოგი თანამოაზრის უპირობო განთავისუფლება. დღესვე, ამ წუთიდან მივმართოთ საქართველოს საპატრიარქოს, რათა მათ ხმა აიმაღლონ და ამჯერად უკვე კატეგორიულად მოითხოვონ ახალი ხელისუფლებისგან ქრისტესთვის წამებულთა უპირობო გათავისუფლება.**

რაც შეეხებათ ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელ-წამყვანებს — ნინო ჯანგირაშვილს, რომელიც თითით მიანიშნებდა პოლიციელებს — „აი, ეს დაიჭირეთო“, დავით აქუბარდიას („ჰო, ჰო, ლევან აი, იმ ბიჭმა დამარტყა, არ გინდა ახლა თავის მართლება“) და ალეკო ელისაშვილს (რომელიც „გახეული“ მთვრალი იყო და ცეცხლზე ნავთს ასხამდა), დღესვე გამოყონ თავი თავიანთი „ბუტკიდან“ და ბოდიში მოუხადონ ქართველ საზოგადოებას 2010 წლის 7 მაისის მათივე დაგეგმილი და განხორციელებული პროვოკაციის გამო. ბოდიში მოიხადონ იმ 9 პატიმრის და მათი ოჯახის წინაშე, ვინც ასე გულცივად, ასე ულმერთოდ და მავანთა გულის მოსაგებად გაუშვეს გლდანის და რუსთავის საპატიმროებში.

იმედს ვიტოვებ, რომ ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანსაც იგივე მოთხოვნა ექნება და ამიტომ, სინდისის პატიმრები:

**ლევან ჩაჩუა**
**მალხაზ გულაშვილი**
**შოთა აფხაიძე**
**დავით შალამბერიძე**
**ავთანდილ ზუმბაძე**
**ზვიად ბლიაძე**
**გიორგი გაბედავა,**
**რატი მაისურაძე**
**ჯაბა გურჩიანი**

არაუგვიანეს 1 კვირისა, სახლებში უნდა დაბრუნდნენ!

აქვე, დავძენ იმასაც, რომ მართლმადიდებელი რელიგიის დამცველი, ამჟამად კი პატიმარი დავით შალამბერიძე, სასულიერო სემინარიის I კურსის სტუდენტი გახლდათ მაშინ, როცა დააპატიმრეს!

აგრეთვე, სასულიერო სემინარიის I კურსის სტუდენტი იყო გიორგი გაბედავაც! ჰოდა, ძალიანაც უპრიანი იქნება სემინარიის რექტორატმა საპატრიარქოს ადვოკატ ბესარიონ ქარცივაძესთან უსწრაფესად გაიარონ კონსულტაცია (ბატონი ბესარიონი ზემოთჩამოთვლილი სტუდენტების ადვოკატი გახლდათ — ი.გ.) და მათი უდანაშაულო სტუდენტების გათავისუფლების მოთხოვნით, ასევე სწრაფად დააყენონ შუამდგომლობა ახალ ხელისუფლებასთან.

**ირინე გოგოსაშვილი**



# luba eliaSvilis `bavSvebi~ da `info-9~ frontis wina xazze!

არცთუ დიდი ხნის ტელებაზარზე სრულიად უცნობი ახალგაზრდების გუნდი გამოჩნდა, „ინფო 9“ — ეწერა მიკროფონზე და მორჩა, არც ცნობილი გვარები, არც სახელები, არც სახეები... არავინ იცოდა, როდის და ვის წაასწრებდნენ მისთვის არასახარბიელო ფაქტზე. ხსენებული გუნდი იმდენად ოპერატიულად მოქმედებდა, იმდენად დაუკარგა მოსვენება მანამდე არხეინად მყოფ ბევრ მეტნაკლებად წონიან პირს, რომ მეთვალყურეებიც კი მიუჩინეს, რომლებიც ლანდივით დასდევდნენ მათ ნაკვალევს. ფსიქოლოგიურმა ტერორმა რომ ვერ გაჭრა, არც ფიზიკურ დაპირისპირებას მოერიდნენ, არადა, ისინი მხოლოდ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ პირნათლად და მეტი არაფერი. ამ გუნდმა, ფაქტობრივად, სამოქალაქო გმირობის ტოლფასი ქმედება ჩაიდინა — ისინი იყვნენ ყველგან, სადაც კი რამე გაფაჩუნდებოდა. საიდან გამოჩდნენ ეს თავდაუზოგავი ბავშვები, სად იყვნენ აქამდე, ან ვისები არიანო, — აინტერესებდა ხალხს. ბუნებრივიცაა, საზოგადოებას დიდი ხანია ენატრება (აღარც კი ახსოვთ, ან საერთოდ თუ უნახავთ) ობიექტური ჟურნალისტები, ისეთები, შავს რომ თეთრად არ მოგაჩვენებენ; ისეთები, მხრებს ფარული სამხრეები რომ არ უმშვენებთ; ისეთები, რომელთაც ვინმეს ვალი არ უმძიმებთ ზურგს და არც ვისიმე ცოდვას ატარებენ კამერის ერთი მიშვერის გამო; ისეთები, სული რომ არ მიუყიდიათ ვინმესთვის გარკვეული საზღაურისა და პრივილეგიების გამო... — ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ეს ახალგაზრდები ქალბატონი ლუბა ელიაშვილის „ბავშვები“ არიან.

ალბათ, ამ ბოლო ფრაზით ყველაფერია ნათქვამი, თუმცა, მცირედ მაინც განვმარტავ, ქალბატონი ლუბა იმ იშვიათთაგანი ჟურნალისტია, რომელიც „ვარდების რევოლუციამდეც“ იგივე იყო, რაც მას შემდეგ, იგივეა დღესაც და მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ასეთივე შეურიგებელი დარჩება ბოლომდე ნებისმიერი უსამართლობის მიმართ.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ სააკაშვილის რეჟიმი პირველად „იბერიაში“ შევარდა დასარბევად და არა „იმედში“; პირველი ე.წ „წონიანი“ ჟურნალისტი ქალბატონი ლუბა იყო, რომელსაც რეჟიმმა მათთან თანამშრომლობა შესთავაზა, რა თქმა უნდა, მაღალი ანაზღაურებით, მაგრამ უარი თქვა სწორედ იმ პრინციპების გამო, რა პრინციპებითაც ახლა ახალგაზრდებს ხელმძღვანელობს. ქალბატონი ლუბაც რომ იმავე „ბუდიდან“ ყოფილიყო, საიდანაც ბევრი მოქმედი ჟურნალისტი მოგვევლინა „არწივად“ და მათსავით ნახუნდარი ხელ-ფეხი ჰქონდეს, მისი დაფრთიანებული ჟურნალისტები არც ასეთი ლაღები იქნებოდნენ და არც ასეთი თავგამოდებულები, როგორმე ისინიც „მოახერხებდნენ“ ე.წ „დაბალანსებული ჟურნალისტიკის“ წარმოებას და საქმის პროფესიონალურად კეთებაზე კი არა, საკუთარი თავის გაპიარებაზე უფრო იზრუნებდნენ...



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9“-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ტელეჟურნალისტი ქალბატონი ლუბა ელიაშვილი.**

**— ქალბატონო ლუბა, მოგეხსენებათ, რა სიტუაციაა საქართველოში, ფაქტობრივად, უსისხლო ომია. როგორც მრავლისმომსწრე და მრავლის გადამტანი ჟურნალისტი, რას იტყვით, რას ნიშნავს ამ დროს საქართველოს რეალობისთვის ე.წ „დაბალანსებული ჟურნალისტიკა“.**

— აქ მთავარია, ვინ რა შინაარსს დებს ამ ტერმინში, რომელიც დასავლურია და მოიტანა დემოკრატიამ. ყველა ქვეყანას და ყველა სოციუმს თავისი მიმართულება აქვს დაბალანსებულ ჟურნალისტიკაში. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში გაზეთები რომ გამოდის, ყველამ იცის, რომელია „მემარცხენე“ და რომელი „მემარჯვენე“, ისინი ერთმანეთს იმიტომ აბალანსებენ, რომ ბაზარზე ერთზეცაა მოთხოვნილება და მეორეზეც და მკითხველი ყიდულობს რომელიმე კონკრეტული მიმართულების გაზეთს, ისევე, როგორც რომელიმე არხის ყურებისას, ვთქვათ, როდესაც ამერიკელი უყურებს ამერიკულ არხებს. მან იცის, რომ რომელიმე ერთი არხი უფრო მეტად არის კეთილად განწყობილი, ვთქვათ, „რესპუბლიკელებისკენ“, ხოლო მეორე „დემოკრატებისკენ“. არსებობს ბრიტანული მოდელი, როდესაც ერთ გაზეთში ორივე პოზიცია შეიძლება იყოს დაფიქსირებული. მე არ მგონია, „დაბალანსებული ჟურნალისტიკა“ იმას გულისხმობდეს, რომ მეორე მხარე არსებობს თუ არ არსებობს, ჟურნალისტმა მაინც გამოიგონოს და მაინც გააშუქოს. ჩვენთან არის ხშირად, რომ მეორე მხრიდან არც ერთი არ პასუხობს და გამოდის, რომ შენ ხარ მარგინალი. კი, ბატონო, მაგრამ მაშინ ბაზარი უნდა განთავისუფლდეს, იყოს ყველა მიმართულების და მე, როგორც მაყურებელი, ერთსაც შევხედავ, მეორესაც და საკუთარ აზრს ასე გამოვიტან. როდესაც ქუჩაში გავალ და ორ ძირითად პოზიციას მოვისმენ, რატომ ვარ ვალდებული, მესამე მხარეც მოვისმინო, ისეთი, რომელიც იმდენაც ცოტაა იმიტომ, რომ, ვთქვათ, მარგინალურ აზრს წარმოადგენს და შეიძლება ვერც ვიპოვო? — ესეც გამიგონია ჟურნალისტებისგან. ასე, რომ, მე ვფიქრობ, ყველაფრის საფუძველი არის თავისუფლება. მერე ეთიკური ნორმაც იმუშავებს, დასაბალანსებელი თუ რამეა, ისიც თავისით დაბალანსდება და ა.შ.

**— ე.წ ტელედაბალანსებაზე რას იტყვით, როდესაც თითქმის ყველა ე.წ ოპოზიციურ ტელევიზიებში და ყოველ მეორე დღეს ერთი და იგივე სახეები ჩანან სტუმრად, ვთქვათ, მიშა თავხელიძე ან გიგა ნასარიძე — იქნებ განმარტოთ, რას აბალანსებენ მათი სტუმრობით.**

— მე, მაგალითად, ძალიან მსიამოვნებს, როცა ვუყურებ, რა უსუსური არგუმენტები აქვთ და ვის სახეს წარმოადგენენ. მე ვფიქრობ, ნასარიძემ, თავხელიძემ, ჩიორა თაქთაქიშვილმა, ბევრად მეტი დაუშავეს ნაცმოძრაობას, ვიდრე მთელმა ოპოზიციურმა სპექტრმა ერთად, იმიტომ, რომ თავიანთი ცინიზმით და სიძულვილით, საზოგადოებისთვის გახდნენ ოდიოზურები და მიუღებლები. ესენი უკვე კონკრეტული ადამიანები კი აღარ არიან, არამედ განზოგადდნენ ნაციონალური მოძრაობის სახედ. ადამიანებზე ცუდად მოქმედებს სიძულვილი...

**— მგონი, მართალს ბრძანებთ...**

— 2003 წელთან მინდა გავავლო პარალელი — მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა, აგერ არის ჩემი მატარებელი, ახლა გადის, ვინც შემოახტებით, ხომ კარგი, ვინც არა, დარჩებით დაბლა და დამთავრდა თქვენი ამბავი, ვეღარ დაეწევითო. 2012 წელია — ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ვინც „5-იანი“ შემოხაზეთ, ნუ გეშინიათ, ნურც მათ, ვინც ნაციონალების მხარეს იყავით, ყველანი საქართველოს მოქალაქეები ხართ, მხოლოდ პროფესიონალიზმი გვჭირდება და არა პარტიული ნიშანი, თუ კონკრეტული დანაშაული გაქვთ ჩადენილი, მაგისთვის მოგეთხოვებათ პასუხი და არა იმიტომ, რომ ვიღაცას მხარს უჭერთო — ვერ ხედავთ განსხვავებას?

— მე ვხედავ.

ლიდერის პიროვნულ თვისებებს, შეიძლება, მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი განაპირობებს ქვეყნის განვითარების გზას და ელფერს. როგორც ვხედავ, მიხეილ სააკაშვილი მუშაობდა ელექტორატის და საზოგადოების ქვენა გრძნობებზე: შურზე, ჯიბრზე, სიძულვილზე „ნურას უკაცრავად!“ „ჩვენ მას დავამარცხებთ!“ „გული გაუსკდებათ!“ „ჩვენ მათ ვაჩვენებთ!“ — ეს იყო, ყვირილით მოჰქონდა უარყოფითი ემოცია. ივანიშვილი წყნარად, მშვიდად ეპატიჟება ყველას, რომ ერთად ვაშენოთ, სიკეთე გავაკეთოთ, სიყვარული ვაჩვენოთ — ამ ადამიანს კეთილი საწყისი მოაქვს და, მე ვფიქრობ, ჩვენი შემდგომი განვითარება, აი, ამ სიკეთის და სიყვარულის ნიშნით იქნება დამახასიათებელი — „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“...

იმ დღეს ვამბობდი, ჯერ რამდენი გაღიმებული ადამიანი დავინახე ქუჩაში და მერე მეცინებოდა, ამ ბოლო დღეებში მიხეილ სააკაშვილის გაკეთებული საქმეებიც დავინახე, მანამდე ვერ ვხედავდი, იმიტომ, რომ იმდენ საშინელებებს ვხედავდი, სინათლეს ვერ ვხედავდი — ახლა დავინახე.

**— მერე, მოგეწონათ?**

— გავიარე, გამოვიარე, კი, მომეწონა. როგორც ამბობენ, ნაწილი გიფსოკარდონიაო, მაგრამ რაც კარგადაა გაკეთებული, ლამაზია, რაღაცები მომეწონა, მაგალითად, კონკა სადაცაა, მომეწონა. შეიძლება, დრო რომ გავა, კიდევ მომეწონოს რაღაცები, იმიტომ, რომ ამოვისუნთქე ამ კაბალისგან და გულზე აღარ მაწევს სიმძიმედ ნაციონალების სიხარბე და ხალხის გატყავების დაუოკებელი სურვილი, აღარ არის ეს პრობლემა, ალბათ, მე იმედი მაქვს. არის მეორე მომენტი, ძალიან დიდი ხანია არ გამიმარჯვია და გავიმარჯვე, ვმონაწილეობ გამარჯვებაში და როგორც ჟურნალისტი და როგორც მოქალაქე, ვგრძნობ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას. არანაირი ეიფორია არ მაქვს, პირიქით, ძალიან მძიმედ და დაფიქრებული ვარ, როგორმე გავიაროთ ღირსეულად ეს ბეწვის ხიდი, რომ არც ზედმეტი მოუვიდეს ვინმეს, მაგრამ არც დაუსჯელი დარჩეს ის, ვინც ამდენი ხნის განმავლობაში ბევრი ადამიანი გაამწარა და ბევრი ცუდი გაუკეთა ქვეყანას. ეს იქნება ეკლიანი გზა მათთვის, ვინც პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო. ახლა გადაწყვეტილებების მიღებისას, როცა ამდენი გამწარებული ხალხია, ბევრად უფრო ძნელია ღირსების შენარჩუნება... პატარა მაგალითს გეტყვით, მოხდა ისე, რომ „ინფო9-ის“ ჟურნალისტმა „რეალ.TV-ის“ ჟურნალისტის ჭამის რაღაც კადრები ჩაწერა. რამდენადაც ვიცი, ბევრი შეეჭიდა, არაეთიკურიაო, არ შეიძლება, ჩვენც „რეალ.TV“ ხომ არ გავხდებითო, მაგრამ, მეორე მხრივ, იმდენად გამწარებული ჰყავდა იმ „რეალ.TV-ს“ ეს ჟურნალისტი — ესეც ადამიანია. კი, გადაუღო, მაგრამ არ აუტვირთავს... დღეს უდიდესი პასუხისმგებლობაა თითოეულ ჩვენგანზე, რასაკვირველია, ფხიზლად უნდა ვიყოთ, ვამხილოთ, რაც სათქმელია უნდა ვთქვათ, უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა, მაგრამ ვიყოთ ჰუმანური, არ დავემსგავსოთ სხვას, არ მოვიქცეთ ისე, როგორც ისინი იქცეოდნენ, არ ვიყოთ გამწარებულის პოზაში...

**— თქმა ადვილია, მაგრამ... მოდით, გავიხსენოთ პრეზიდენტის სიტყვები, რომ გადადის ოპოზიციაში, — მართალია, ეს ფრაზა ალოგიკურია, მაგრამ მაინც, რას უნდა ველოდოთ პრეზიდენტისგან, რომელიც თავისივე ხალხის ნებისა და თავისივე მთავრობის ოპოზიციაში იქნება...**

— მაშასადამე, უნდა გადადგეს, ხომ ასეა, აბა, თუ პრეზიდენტი ხარ, ოპოზიციაში როგორ ხარ — სრულიად გაუგებარია. არსებობს ასევე სრულიად გაუგებარი გაბუქებული მითი სააკაშვილის განსაკუთრებულ პოლიტიკოსობასა და განსაკუთრებულ პიარშჩიკობაზე — კადრების საკითხია, თორემ... თუ იკადრებ, მერე ყველაფერი იქნები.

**— შევხედოთ სწორედ ისე, როგორც ბრძანა, პარლამენტსგარეთ ხომ ჰყავს გუნდი, უკანონო, მაგრამ ძალისმიერის ჩათვლით, აქვთ საკმაო ფინანსური რესურ-**

საინფორმაციო სააგენტო
INFO 9
www.info9.ge

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**სიც და რაც მთავარია, უდიდესი გამოცდილება რევოლუციური მუხტის შექმნისა და გამოყენებისა, აგერ, თქვენ ბრძანეთ, კადრების საკითხიაო... მე მახსოვს მისი სიტყვები, თუ არ ვცდები, 2007-ში. ამ ოპოზიციას არაფრის შნო არ აქვს, თორემ, ახლა მე რომ ოპოზიციაში გადავიდე, სამ თვეში დავამხობ ამ ხელისუფლებასო...**

— ქართველებს გვაქვს შესანიშნავი თვისება, მოთმინების უნარი.




**— ძალიან ცუდი ავადმყოფობაც რომ აღმოგვაჩნდა მოკლე მეხსიერების სახით?**

— არ გვაქვს მოკლე მეხსიერება! ოთხი წელიწადი საერთოდ ხმა არ ამოუღია ხალხს, ოთხი კი არა, რვა წელი ველოდეთ, რომ რაღაც კარგი გვენახა — ძალიან დიდხანს აცალეს და ბოლოს და ბოლოს, რომ დაინახეს ამაო იყო ლოდინი, აღარ დაელოდნენ. შეუძლებელია, სამ-ოთხ თვეში ახალი ხელისუფლებისგან მოითხოვონ ის, რაც არ მოუთხოვიათ არავისთვის.

**— რატომ, ზვიად გამსახურდიას სწორედ 8-10 თვეში მოსთხოვეს შეუძლებელი... თქვენ ფიქრობთ, რომ ხალხი ფსიქოლოგიურად მზად არის იმისათვის, რომ იგივე აჩქარება არ გამოხატოს და კვლავ არ აკენკოს სატყუარა?**

— იმ დროს საზოგადოებას არ ჰქონდა დემოკრატიული ცხოვრების არანაირი გამოცდილება, ის იყო კონკრეტული ისტორიული კატაკლიზმები და არავინ არ იცოდა, როგორი დიდი პასუხისმგებლობაა ისტორიულ პროცესებში მონაწილეობის მიღება.

დღეს რასაც შეჰპირდნენ, რა თქმა უნდა, დიახაც, უნდა შეასრულონ! უცბად, რა თქმა უნდა, დანგრეული ვერ აშენდება, მაგრამ ტენდენცია, რომ უკეთესისკენ მიდის საქმე, უცბადვე უნდა დავინახოთ. მე რომ ის დამენახა მიშასთან, რომ უკეთესისკენ მიდის, ვინ ოხერი იყო ხმის ამომღები.

2003 წელი იყო, შევარდნაძესთან რომ დავინახე უკეთესობის ტენდენცია, აღარც პოლიტპატიმარი ჰყავდა, აღარც გატაცებული ადამიანი, ცხინვალში შევდიოდით და ლარი ლარობდა, გზა არ ვარგოდა, თორემ რაჭაში ცხინვალის გავლით დაიწყეს ძველებურად სიარული, ავი იყო თუ კარგი იყო, თავისი პატარა ლუკმა ყველას ჰქონდა, იქით, ბაქო-ჯეიჰანი დაიწყო, ანუ, იმ ქაოსში რეალურად იხატებოდა რაღაც უკეთესობისკენ სვლის ტენდენცია — იმიტომ შემეშინდა და არ მომეწონა ამათი ასე უცებ შემოჭრა და იმიტომ არ ველოდი დიდ სიკეთეს რევოლუციით მოვარდნილი ხელისუფლებისგან. თუმცა გამიხარდებოდა, რომ მაშინ აღმოვჩენილიყავი შემცდარი, მაგრამ აღმოვჩნდი მართალი, ამათ სიკეთისკენ არ წაიყვანეს ქვეყანა...

დღეს რომ არის საუბარი, ქვეყანა კურსს ხომ არ შეიცვლისო, ეს კურსი ამათი მოგონილი ხომ არ არის, შევარდნაძემ მაშინ დაიწყო, რუსული ტანკები რომ მძვინვარებდა ამ ქვეყანაში. ისე მიიღო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაზე და ნავთობსადენის პროექტზე თანხმობა და მილიარდიანი ინვესტიციები რომ გამოეპარათ ეგ ამბავი რუსებს. ვინ გამოიყვანა რეალურად იმ გავლენებიდან და როგორ მიიღეს 1998 წელს სტამბულის სამიტზე რუსული ბაზების გაყვანის გადაწყვეტილება, შესანიშნავად მახსოვს...

ახალი ხელისუფლების ლიდერის რაც მომწონს, ესაა მოთმინების უნარი, გონიერება და შრომის სიყვარული — ეს ის სამი თვისებაა, რომელიც დღეს ქართველებს ძალიან გვჭირდება. პირველივე დღეს ყველა რომ ეიფორიაში იყო, მაშინვე თქვა, ემოციები დავძლიოთ, სერიოზული შრომა გვჭირდებაო — აბსოლუტურად რეალურად აფასებს მოვლენებს, არ ჰგონია, რომ რაღაცები თავისით მოხდება, მშვენივრად იცის, რა ძალისხმევაა საჭირო.

7-ში ზუსტად ერთი წელი გახდა, რაც ვრცელი განცხადება გააკეთა და ყველაფერი, რაც თქვა, მშვიდობიანი გარდატეხის სახით გაკეთდა, მართლა ერთ მუშტად შეკრა საქართველო, ამიტომ, მგონია, რომ ქვეყანასაც გაიყვანს სამშვიდობოს...

**— ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. გუნდზე რას იტყვით.**

— იმ გუნდის იმედიც მაქვს, რომელიც ამ ერთი კაცის გარშემოა შემოკრებილი, იმ ადამიანების იმედიც, ვინც გამოვიდა ქუჩაში და დადგა, რომ თავის არჩევანს არავის აღარ გაატანს და არ გააფარჩაკებინებს




იოლად, იმ დასავლური სამყაროს იმედიც მაქვს, რომელმაც, აღმოჩნდა, რომ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას მიხეილ სააკაშვილის შესახებ არ ანაცვალა საქართველო.

**— თქვენ ფსიქოლოგიც ხართ პროფესიით, რას იტყვით, ხალხის ფსიქოლოგიური განწყობა რას გეუბნებათ.**

— იმედს, იმედს! თავდადებას ვხედავ — იმ დღეს ხალხი რომ გამოვიდა, იქით ზეიმი იყო, მაგრამ არ მიდიოდნენ და ქუჩაში, შტაბებთან იდგნენ ღამით და იცავდნენ თავიანთ ხმებს, ესეც ვნახეთ ეს არის ძალიან სერიოზული შედეგი.

ვფიქრობ, გავალთ მშვიდობიან ნაპირზე. შვილებს რომ დავუტოვებთ, ვიცი, მაგრამ, იქნება, მეც მოვესწრო ისეთ ბედნიერ საქართველოს, სადაც სისტემა იქნება ისეთი მყარი, კონკრეტული ლიდერი ველარაფერს დააშავებს...

**მაია ჭელიძე**

# zviad ZiZiguri: axla mTavaria, ramdenad, ivaJkacebs `qarTuli ocneba~ da misi politikuri gundi



*პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის მართვაზე პასუხიმგებლობა ოპოზიციამ იტვირთა. მათ „ნაციონალური მოძრაობა“ 312254 ხმით დაამარცხეს და ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვიდნენ.*

*რა გეგმები აქვს „ქართულ ოცნებას“ და რა იქნება მათთვის პრიორიტეტული ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ? „საერთო გაზეთს“ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი **ზვიად ძიძიგური** ესაუბრა.*

**— ბატონო ზვიად, ცესკომ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, „ქართულ ოცნებას“ ხმების 54,85 პროცენტი ხვდა წილად, „ნაციონალურ მოძრაობას“ 40,43 პროცენტი. არსებული შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა?**

— იმის თქმის საფუძველი, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა ნამდვილად არ გვაქვს. წინასაარჩევნო კამპანია უხეში დარღვევებით, პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლით ხასიათდებოდა. ამას გარდა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა უკანონოდ დაუყადაღა „ქართულ ოცნებას“ ანგარიშები, ვერც ერთი ადამიანი ვერ ახორციელებდა შემოწირულობას, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა ზედმეტია. თუმცა პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა თავიდან მოიცილა მიხეილ სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმი, რომელიც რვა წლის განმავლობაში აწამებდა და ჩაგრავდა ქართველს ერს.

**— გასაგებია, რომ შეიცვალა სააკაშვილის ხელისუფლება, მაგრამ არჩევნების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მანდატების სხვაობა მხოლოდ 16 დეპუტატია. როგორ ფიქრობთ, ასეთ პირობებში კოალიცია შეძლებს ცვლილებების განხორციელებას?**

— ჩვენ ქვეყანაში რეფორმები, რეალურად, გატარდება, რადგან ხელისუფლებამ არჩევნებში დამარცხება უკვე აღიარა და მზადაა, რომ მთავრობის დაკომპლექტების საკითხში პრობლემები არ შეგვიქმნას.

პროპორციას, რომელსაც ცესკო „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის აფიქსირებს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება და არ ასახავს საზოგადოების



განწყობას. თუმცა არსებული შედეგებით კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გააჩნია რესურსი, რომ თავად დააკომპლექტოს მთავრობის შემადგენლობა.

**— ექსპერტების ნაწილი საუბრობს, რომ მიხეილ სააკაშვილის გუნდი პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად ემზადება. რეალურად მიიჩნევთ ამ პოზიციას?**

— მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური კრიზისს ვერ შექმნის, რადგან პროცესების მართვასთან დაკავშირებით, სრული ბერკეტი „ქართულ ოცნებას“ გააჩნია. კოალიციის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს მოვლენების მართვა ეფექტურად და ადეკვატურად შეუძლია, რადგან ის კარგი მენეჯერია. ამიტომ, მთავარია, რამდენად ივაჟკაცებს „ქართული ოცნება“ და მისი პოლიტიკური გუნდი.

**— საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების მიუხედავად, პრეზიდენტად კვლავ მიხეილ სააკაშვილი რჩება, როგორ წარმოგიდგენიათ მასთან ერთად ქვეყნის მართვა?**

— ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ქართველ ხალხს სჭირდება. ამიტომ ჩვენი ამოცანაა ქვეყანა ფეხზე დავაყენოთ და თითოეული მოქალაქის ოჯახში შევიდეს წინსვლა და წარმატება. მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობასა და თვალებში ჩახედვას, რაც შეეხება პოლიტიკოსების მხრიდან, ვფიქრობ, ნაკლებად განსხვავებული საკითხი უნდა იყოს. საჭირო იქნება, შევხვდებით მიხეილ სააკაშვილს, არ იქნება აუცილებელი, არ შევხვდებით.

**— საქართველო და ქართველი ერი ბევრი პრობლემის წინაშე დგას, რა იქნება მთავარი რეფორმა, რასაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განახორციელებს?**

— პირველ რიგში, მედია და სასამართლო უნდა გათავისუფლდეს ზეწოლისგან და თავიანთი მოვალეობა დამოუკიდებლად განახორციელონ. ვფიქრობ, მედიის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობა ის ძირითადი ქვაკუთხედია, რასაც ქვეყნის განვითარება უნდა დაეფუძნოს.

**მირანდა ნაბახტეველი**





# Cadenili danaSaulisTvis Tuki saakaSvili ar davsajeT, saqarTvelo fexze ver dadgeba!

*ინტერვიუ პოლიტოლოგ*
***ჰამლეტ ჭიპაშვილთან***

**— ბატონო ჰამლეტ, გახსოვთ, წინასაარჩევნოდ სააკაშვილი რომ ამბობდა, მოწინააღმდეგეს ბეჭებზე დავცემთო? ჩვენს აშენებულს არავის დავანგრევინებთო? სააკაშვილმა ასე უბრძოლველად დათმო პოზიციები?**

— საქმე ისაა, რომ, მიხეილ სააკაშვილი დამფრთხალი კურდღლის მდგომარეობაშია, რადგან ხედავს, რომ, შეიძლება, დადგეს როგორც მისი, ასევე მისი გარემოცვის პასუხისმგებლობის საკითხიც. ბიძინა ივანიშვილს შეუძლია ამის გაკეთება, რადგან ხალხიც ამას მოითხოვს, ხვდება ამას სააკაშვილი და ცდილობს იყოს დამთმობი, მიმტევებელი, დემოკრატი. მას დღეს სხვა გამოსავალი არ აქვს და აირჩია ის გზა, რომ იქნება ტექნიკური საკითხების მომგვარებელი — პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ხელს მოაწერს.

ამასთანავე, მან უნდა გაითვალისწინოს მოქმედი პრემიერ-მინისტრის წინადადებებიც. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ,

**„გაფარჩაკებულ“ სიტუაციაშია დღეს მიშა და შიში იმისა, რომ მავნეობას მოიმოქმედებს, გამორიცხულია.**

ამ ეტაპზე ის ვერაფერს ვეღარ მოიმოქმედებს, ძალიანაც რომ უნდოდეს.

ცხადია, ნაციონალები ისევ წამოყოფენ თავს, როცა თანამდებობების განაწილების დრო დადგება. თანაც ჩასაფრებულის მდგომარეობაში იმყოფებიან. ელიან, როდის დადგება მომენტი „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი სუბიექტები რომ გათიშვას დაიწყებენ, რათა ნელნელა დაიწყონ თავიანთი პოზიციების რეაბილიტაცია.

**— თქვენი აზრით, მისცემს საშუალებას „ქართული ოცნება“ ნაციონალებს კვლავ აღორძინდნენ?**

— ნაციონალები ყოველთვის შეეცდებიან ამას, ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი და ადექვატური ნაბიჯი „ოცნების“ კოალიციიდან იქნება ის, რომ დადგება საკითხი დამნაშავეების დასჯის თაობაზე.

**— ხომ არ უნდა დასვას ახალმა მთავრობამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი?**

— ეს იმდენად რთული პროცედურაა, არ ეყოფა მხოლოდ „ქართული ოცნების“ რესურსი. ისინი პარლამენტში უბრალო უმრავლესობით არიან მოსული. თანაც ეს საკითხი პროცედურულად არის რთული და ხანგრძლივი.

ვფიქრობ, გაცილებით უკეთესი იქნება, „ქართულმა ოცნებამ“ შექმნას ჯგუფი სახელმწიფო დანაშაულებათა გამოსაძიებლად. მაგალითად, 2008 წლის საომარი ჯგუფი კონფლიქტზე, როცა პატივცემულმა სააკაშვილმა ცეცხლი გაუხსნა თავისსავე ქვეყანას და თავისივე მოქალაქეები მძინარე დაბომბა. მან დაიწყო ომი, რომელსაც მოჰყვა ტერიტორიების დაკარგვა, დაიხოცნენ ადამიანები, შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო და ქვეყანა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ეს არის სახელმწიფო დანაშაული!

ამ საქმეების გამოძიებისთვის საჭიროა არა ერთი და ორი თვე, ხოლო იმპიჩმენტის გამოცხადებისთვის ასეთი საქმეები მთავარი საფუძველი უნდა იყოს.

**ხელისუფალი ისჯება კორუფციისთვის, ადამიანების ცხოვრების გაუარესებისთვის, სახელმწიფო ღალატისთვის (ომის გაჩაღებისთვის, ტერიტორიების დაკარგვისთვის), ყველა ეს დანაშაული სააკაშვილს ჩადენილი აქვს. თუკი საქართველო ამისათვის პასუხს არ მოთხოვს, დამერწმუნეთ, ეს ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება.**

1993 წელს შევარდნაძე რომ შევარდა აფხაზეთში, გააჩაღა ომი, დაიხოცა 30 000 ადამიანი, დავკარგეთ აფხაზეთი, მაშინ ქართველ ხალხს კატეგორიულად რომ მოეთხოვა ომის ინიციატორის დასჯა, 2008 წლის ტრაგედიაც არ მოხდებოდა...

**სააკაშვილი უკვე ბეჭებზე დადებულია, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ასეთი სამართლებრივი ნაბიჯები რომ არ გადაიდგას, კვლავ წამოიმართონ და ახალი ძალით მოგვევლინონ.**

ნაციონალური მოძრაობის წევრები და ლიდერები უნდა დაისაჯონ იმისთვის, რაც ჩაიდინეს.

**9 ტრაგიკული წელი, რაც გავიარეთ, აღარ უნდა განმეორდეს!**

**— თქვენ თუ ფიქრობდით, რომ ნაცმოძრაობა ამ არჩევნებში დამარცხდებოდა?**

— მიუხედავად წინასაარჩევნოდ გამომზეურებული ციხის






კადრებისა, ნაციონალებმა დემაგოგიური პროპაგანდით შეძლეს გაექარწყლებინათ ხალხში აგრესიული განწყობა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ მოახერხეს ეს.

**ვფიქრობდი, რომ აბსოლუტური უმრავლესობით ვერ მოვიდოდნენ, მაგრამ ასეთი ანგარიშით თუ წააგებდნენ, ვერ წარმომედგინა.**

საერთოდ, მიმაჩნია, რომ 1 წლის შემდეგ კვლავ უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, რადგან ეს არჩევნები მიხეილ სააკაშვილის სიძულვილის ფონზე ჩატარდა, რაც ნაწილობრივ მაინც გავლენას მოახდენდა არჩევნების შედეგებზე.

**დღეს პარლამენტში ორი პარტიაა წარმოდგენილი. 2013 წელს კი საპარლამენტო მოდელზე გადადის ქვეყანა. ამიტომ, წესით, მთავრობა მრავალპარტიული უნდა იყოს.**

**— „რას ამბობს“, ბატონო ჰამლეტ, დასავლეთი, ქართველმა ხალხმა „დემოკრატიის შუქურას“ ზურგი რომ შეაქცია?**

— ვფიქრობ, რომ ამერიკელებიც შოკში არიან. ქართველი ხალხის გადაწყვეტილება შოკისმომგვრელი ამბავია დასავლეთისთვის.

ისინი ფიქრობდნენ, რომ ნაციონალები მოგებას შეძლებდნენ.

აშშ-ი მთელი ერთი წლის განმავლობაში **IRI** და **NDI** საშუალებით ჩაგვჩიჩინებდა, რომ ნაციონალები მიიღებდნენ უმრავლეს ხმებს, ცოტას „ქართული ოცნება“, უფრო ნაკლებს ქდმ. ასეთი იყო ამერიკული „ოცნება“.

დღეს „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ იმდენი იმუშავეს, დაარწმუნეს დასავლეთი მიშას ცუდკაცობაში. ეს გამორიცხულია. აშშ-ს ვერავინ დაარწმუნებს, რომ მიშა ცუდი ბიჭია.

ის იყო ადამიანი, რომელიც ნებისმიერ ამერიკულ დავალებას ასრულებდა დიდი გულმოდგინებით.

ამ დღეებში ყველამ ვნახეთ ვიდეოკადრები, რომელიც **HTB** გადმოსცა. იქ კარგად ჩანს სააკაშვილის მარჯვენა ხელი გივი თარგამაძე როგორ თათბირობს რუს ოპოზიციონერებთან ახალი რუსული ხავერდოვანი რევოლუციის მოსახდენად. ეს უსერიოზულესი ფაქტია.

მოკლედ, ასეთ როლს ასრულებდა რეგიონში მიხეილი და მისი გუნდი და ამ „ბაჯაღლო ოქროს“ ხელიდან გაშვება ამერიკას არ სურს.

ამიტომაც იყვნენ თანახმა იმაზე, რომ შეეცვალა სააკაშვილს სახე და თანამდებობა და გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი.

კი ლაპარაკობდნენ ძალაუფლების გადაბარება-გადმობარებაზე, მაგრამ ეს სიტყვის მასალად სჭირდებოდათ.

დემოკრატიულმა ამერიკამ თვალი დახუჭა, როცა სააკაშვილმა ორი წლის წინ თავის სასარგებლოდ შეცვალა კონსტიტუცია, რადგან ყოველივე ეს აშშ-თან იყო შეთანხმებული. როგორ უნდა ეცხოვრა მომავალში ქართველ ხალხს, ამას ამერიკა წყვეტდა მიშასთან ერთად და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნაციონალ ბიჭებს „ჩაუშვებს“, ძალიან ცდება. ჩვენ რომ ვგეგმავთ სააკაშვილის მთავრობის გასამართლებას, ნახავთ ყველა, პირველი მოწინააღმდეგე, ვინც გამოვა, აშშ-ი იქნება.

აშშ-ი ცდილობს „ოცნებამ“ პარლამენტში არ მოიპოვოს ორი მესამედი, ანუ 100 პლუს 1 დეპუტატით და ნაციონალებს ჰქონდეთ მყარი პოზიცია, თან იყვნენ ჩასაფრებულ მდგომარეობაში. „ქართული ოცნება“ კი არ იყოს იმ რაოდენობით წარმოდგენილი, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელოს. უბრალო უმრავლესობით, რაც ამჟამად აქვს „ქართულ ოცნებას“, კონსტიტუციის ფორმირებას ვერ მოახერხებს ეს ამერიკელთა დამსახურებაა. ისინი ბოლომდე უპატრონებენ „პირმშოებს“...

**ირანდა კალანდაძე**



# `naciona l i~ po l icie l ebi patim rebis wamebis meTodebs e r TmaneTis winaaRmdegac iyenebdnen?

## ახალაიამ რამდენიმე თანამშრომელი ყელამდე მიწაში ჩააფლვევინა — ესენი ვანოს სპეცრაზმელები იყვნენო...

პოლიციის საქმეებში კარგად ჩახედული ჩემი ანონიმი წყაროს მტკიცებით, ციხის ჯალათებზე ნაკლები ჯალათები ნაცხელისუფლებას პოლიციაში არ ჰყავდა, ისინი სისასტიკითა და ბინძური აზროვნებით ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდნენ საპატიმროების ვაითანამშრომლებს.

ე.წ. სამართალდამცავები თუ ქვეყნის უშიშროების დამცველნი ყველა ხერხით აიძულებდნენ და შეიძლება, დღესაც აიძულებენ ადამიანებს მათთან თანამშრომლობას. ზოგს ნარკოტიკსა და იარაღს ჩაუდებდნენ, სხვას გაუპატიურებას, ყაჩაღობას ან ქურდობას დააბრალებდნენ, მითუმეტეს, რომ ცრუ მოწმისა და დაზარალებულის პოვნა არ წარმოადგენდა მათთვის დიდ პრობლემას. ისე, „უცხო" მოწმე არც სჭირდებათ, ისეთი კანონმდებლობა შემოიღეს, რომ ამ როლს პოლიციელებიც მშვენივრად ასრულებენ. ცივილიზებულ სამყაროში საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პოლიციელის ჩვენების საფუძველზე უდანაშაულო ადამიანებს ციხეში ამწყვდევენ. კომუნისტებსაც კი არ მოსვლიათ აზრად, პოლიციელისთვის, ანუ დაინტერესებული პირისთვის, მოწმის სტატუსიც შეეთავსებინათ. სააკაშვილის რეჟიმის პოლიცია-პროკურატურა ურჩ „ეჭვმიტანილებს" ემუქრებოდა, თუ თანამშრომლობაზე უარს იტყვით, გაგაუპატიურებთ, ამ ყველაფერს გადავიღებთ და თქვენი ოჯახის წევრებს ვაჩვენებთ, თქვენ კი „ქათმების" კამერაში ჩაგაგდებთო. ამ ბინძურ კამპანიაში პოლიციის თითქმის ყველა მაღალჩინოსანი აქტიურად იყო ჩართული.

პოლიცია ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ უფრო „გააქტიურდა". „საერთო გაზეთს" სანდო წყარომ პოლიციის მუშაობის გეგმაც გაუშიფრა. აქცენტი ძირითადად, ახალგაზრდებზე კეთდებოდა. მათ ნარკოტიკს ჩაუდებდნენ, დააკავებდნენ და შემდეგ იწყებოდა მათი „დამუშავება", რომ თანამშრომლობაზე დაეთანხმებინათ. ეს თანამშრობლობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ „საეჭვო" პირებზე პოლიციისთვის ინფორმაციები უნდა მიეწოდებინათ. „დავერბოვკებულებს" შესაბამის ხელწერილებსაც აწერინებდნენ. იმ ახალგაზრდებს, ვისაც კომპიუტერთან მუშაობა შეეძლო, აიძულებდნენ, რომ პოლიციის მიერ მითითებული პირებისთვის კომპიუტერებში „ჩიპები" ჩაედგათ. ზოგს ავალდებულებდნენ სააშკარაოზე გამოეტანათ ვინმეს პირადი ცხოვრება, მათთვის სურათები გადაეღოთ და სხვა მტკიცებულებებთან ერთად მიეტანათ. მერე ამ ყველაფრით იმ „კომპრომეტირებულ" ხალხს აშანტაჟებდნენ და თავიანთ საიდუმლო აგენტებად აქცევდნენ. ეს ხალხიც, იმის შიშით, რომ ოჯახები არ დანგრეოდათ, იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ. ეს ადამიანები, იქნებ, ახლა მაინც გამოვიდნენ და თქვან, რა წნეხისა და მუქარის ქვეშ უხდებოდათ პოლიციის სასარგებლოდ ცრუ ჩვენებების მიცემა. ამით მათი ცრუ ჩვენების გამო დასჯილ ადამიანებსაც დაეხმარებიან და საკუთარ უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფენ. სანამ ისინი ამის შესახებ საჯარო განცხადებებს არ გააკეთებენ, ახალაიებისა და მათი მსგავსი ჩინოსნებისგან მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ყველამ ისედაც იცის, რა და როგორ ხდებოდა, მაგრამ, ჯობს, თვითონ აღიარონ და გამოძიებას ობიექტური ჩვენება მისცენ.

ყველა თანხმდება იმაში, რომ ნაცმოძრაობის ლიდერები ასე უმტკივნეულოდ არ დათმობენ ძალაუფლებას. ისინი, ალბათ, ყველა ზომას მიმართავენ, რომ არეულობა მოახდინონ და მათი ჭკუით, ახალი ხელისუფლების კომპრომეტირება გამოიწვიონ. გავიხსენოთ თუნდაც ბანკისა და მაღაზიების ე.წ. დაყაჩაღების ფაქტები. „საერთო გაზეთს" ამ საკითხებთან დაკავშირებით, საინტერესო ინფორმაციები მიაწოდეს. რაღაცა ინციდენტის დროს გამოძახებულ პატრულებს მოსახლეობისთვის უთქვამთ, ახლა ამაზე



უკმაყოფილოც, ბევრი იქნებოდა, მაგრამ ხალხს ასე ადვილად ვეღარ მოატყუებენ. თურმე ყველა იმას ამბობდა, ნაციონალები ამას სპეციალურად აკეთებენ, რომ ვიფიქროთ, თუ ესენი წავლენ, დავიღუპებითო. ასე, რომ, ნაციონალო „მურტალოებო", მოგიძველდათ მეთოდები.

სარწმუნო წყარომ კრიმინალური ვითარების ვითომ დაძაბვასთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა, რაც, სხვათა შორის, დადასტურებული ყოფილა, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე პოლიციის უფროსებისთვის დაუვალებიათ, რომ მოენახათ ჯიბის ქურდები, ავტომანქანის მაგნიტოფონებისა და სარკეების ე.წ. მომპარავები და ორგანიზებულად დაეწყოთ მასიური ქურდობის ინსცენირება, ანუ ხელოვნურად უნდა შეექმნათ ფონი, რომ, ხომ ხედავთ, „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლას კრიმინალის აღორძინება მოყვებაო. ისიც ხომ გამჟღავნდა, რომ კრიმინალური ფონის ხელოვნურად დაძაბვის გეგმაში ავადსახსენებელი უდესიანი და მისი ზონდერებიც მონაწილეობდნენ. დამეთანხმებით, რომ ეს არის, რეაგირება ჩვენ აღარ გვეხებაო. როგორც ჩანს, მათ თავი ნაციონალების პოლიცია ჰგონიათ და ფიქრობენ, რომ წესრიგის დაცვა აღარ მოეთხოვებათ. დაძაბული ფონის შექმნაში, როგორც ჩანს, დედაქალაქის სატრანსპორტო სამსახურიცაა ჩართული. 6 ოქტომბერს, დილით, მეტროსადგურ „ახმეტელში" რამდენიმე მატარებელი გაურკვეველი მიზეზით ცარიელი გაუშვიათ. სადგური ხალხით იყო გადაჭედილი და ცხადია, ფაქტობრივად, საბოტაჟი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. თუკი პოლიცია მართლაც არ რეაგირებს გამოძახებაზე და თვით დანაშაულის ფაქტზეც, იურისტები ამას საბოტაჟად აფასებენ, რასაც ნაცმოძრაობა განვლილი 9 წლის განმავლობაში ისედაც სჩადიოდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

პოლიციის გულგრილობამ და უმოქმედობამ უკვე ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილი იძულებული გახდა შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზღულაძე და მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა დაებარებინა და ტელეკამერების წინ მიეცა მითითებები. ნაცმოძრაობის მიერ ინსპირირებული ასეთი კრიმინალური „გამოხტომები", სავარაუდოდ, კვლავაც მრავლად გველოდება.

აქვე იმ სკანდალური ფაქტების შესახებაც გვინდა გიამბოთ, რომელიც ჩვენმა წყარომ მოგვაწოდა. სისასტიკით ცნობილი ბაჩო ახალაია მარტო პატიმრების მიმართ არ ყოფილა დაუნდობელი. ბატონ ბაჩანას, როგორც კი შს მინისტრად დაინიშნა და მისი წინამორბედის კაბინეტი დაიკავა სპეცრაზმელების საბუთები მოუთხოვია იმის გასარკვევად, ვის რა პრემია ჰქონდა მიღებული და როგორ იყო წახალისებული. ახალაიას ამის შემდეგ შეურჩევია რამდენიმე სპეცრაზმელი (ეტყობა, ისინი თვალში არ მოუვიდა), რომლებსაც, თურმე, ის და მისი დამქაშები საშინელ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

**ამ სადისტმა პიროვნებამ ზოგიერთი სპეცრაზმელი მიწაში ისე ჩააფლვევინა, რომ მხოლოდ თავები უჩანდათ, დანარჩენებს კი აიძულებდნენ, რომ ზემოდან ერბინათ. ამის შემდეგ ისინი მიწიდან ამოჰყავდათ და წყლის მაგივრად ფეკალურ მასებს ასხამდნენ. ასეთ წამებაში იმიტომ ჰყავდათ, თქვენ ვანოს სპეცრაზმელები იყავითო.**

მათ ჯერ ეს რეპრესიები მოუწყვეს, შემდეგ კი სამსახურიდან გაყარეს. არადა, რომ ჰკითხოთ, ერთი გუნდი არიან, სინამდვილეში კი ერთმანეთის მიმართ ბიოლოგიური ზიზღი აქვთ.

ჩვენი ანონიმი რესპონდენტის თქმით, მას, მართალია, არ აქვს ამ სპეცრაზმელების რეპრესიებთან დაკავშირებით ფაქტობრივი მტკიცებულებები, მაგრამ ეს ინფორმაცია იმდენად სანდო წყარომ მომაწოდა, რომ მის სიმართლეში ეჭვის შეტანა გამორიცხულიაო. წესით, ეს სპეცრაზმელებიც უნდა გამოვიდნენ და თქვან სიმართლე, რა ხდებოდა, ვისი მითითებით, აწამებდნენ და შეურაცხყოფდნენ ამ ხალხს.

წყარომ ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებითაც მოგვაწოდა საყურადღებო ინფორმაცია. ეს ინციდენტი რომ არჩევნებს უკავშირდებოდა, ამაზე ექსპერტები უკვე ღიად საუბრობენ. ისიც ითქვა, რომ ნაცხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავდა, რაზეც ჩვენი გაზეთი უკვე წერდა. წყაროს ცნობით, მიმდინარე წლის თებერვალში, ახალაიებისა და მეგის ქარდავას თავყრილობაზე გაიჟღერა ვინმე ზარაევის გვარმა, ზარაევი ჩამოვა და თუ ვერავინ შეძლო, ეგ შეძლებს და დააგვირგვინებსო. რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინას ლიკვიდაციის საკითხს განიხილავდნენ და მოსახლეობის მიმართაც სასტიკ რეპრესიებს გეგმავდნენო. საბედნიეროდ, მათ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. არჩევნებში ნაცმოძრაობის დამარცხებასთან დაკავშირებით, ერთმა ჩემმა მეგობარმა ენამოსწრებულად თქვა: თუ 1945 წლის 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა, 2012 წლის 1 ოქტომბერი ქართული საზოგადოების სადიზმსა და ძალადობაზე გამარჯვების დღეედ შეიძლება ჩაითვალოს. ამისთვის კი მადლობა ჯერ უფალს უნდა ვუთხრათ, მერე ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც შეძლო ქართველი ხალხი ამ გამარჯვებამდე უსისხლოდ მიეყვანაო.

**მანანა სუხიშვილი**

ნაციონალებს, მხოლოდ ერთადერთი რამ თუ დაუბრუნებს სიცოცხლის სუნთქვას : დაუსჯელობის სინდრომი და ხელშეუხებლობის გარანტიები!! თუ ბატონი ბიძინა ასე აპირებს პოლიტიკური კალოს ლეწვას, დარწმუნებული იყავით, რომ, ხვალვე, უდიდეს წინააღმდეგობას მიიღებს პასუხად ხალხისგან. რადგანაც, ქართველებს, პირველ რიგში, სამართლის აღსრულება გვწყურია და არა ლაღიძის წყალი.

ვასიკო მაღლაფერიძის არ იყოს... პრეზიდენტი ოპოზიციაში ვის გაუგია, თუ პრეზიდენტი ხარ, შე ოჯახ დალოცვილოო... ოპოზიცია რამფერ ხარ? ავოეეე, მიხააა.

დამნაშავეები აუცილებლად უნდა დაისაჯონ და დაისაჯონ არა ფულის გადახდით, არამედ რამოდენიმეწლიანი პატიმრობით,მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ციხეში იქნებიან დაცულნი




ყოველგვარი ძალადობისგან, განსაკუთრებით რეზინის ხელკეტებისგან და ცოცხებისგან! ამას სრული სერიოზულობით ვამბობ..

ეხლა გამოვიდეს რუსუდან კერვალიშვილი და თქვას, რატო გადაყარეს ამდენი ხალხი. სააკაშვილზე რომ იყო „ცენტრ პოინტი", ამოფარებული და ხალხის რომ დასცინოდნენ, ეხლა ვინღა დაკრიშავს.

გული მიგებს, თბილისის მერის არჩევნები დროზე ადრე ჩატარდება!

დღეს ბიძომ იმ მოსამართლეს საქმეს აღვუძრავ, რომელმაც ის 200 მილიონი ლარი ჯარიმა დაგვადო ჩვენს პარტიასო))) საღოლ, ჩემს მოსამართლესაც დაერხევა, იმედია, რომელმაც იგივე საქმეზე 80 ათასი ლარი ჯარიმა დამაკისრა.)))

ხალხნო, გეხვეწებით ისე ნუ მომკლავთ, ბოცო წიკლაურის სახე რომ არ მანახოთ.... ნუგზარ რამდენი ხანია ამ წუთს ველოდები, როცა გაბრწყინებული თვალებით დაიწყებ ნაცების გაპრავებაზე ლაპარაკს. ან კიდევ „ჩემი" ჩიორა ვინ იცის როგორ მომენატრება......ეჰჰ.

ეეეხ, ბიძინა, ეს რა მიქენი ეს არის კერძო საკუთრების დაცვა??? ლაზიკაში პლაჟზე კაი ხუთოთახიან ბინაში მქონდა ფული შეტანილი „ცენტრ პოინტში" და აღარ ვაშენებო, არადა, მაგის იმედი მქონდა :))))

# prezidenti saakaSvili unda gadadges, xolo `nacionaluri moZraoba~ politikuri rukidan unda gaqres!

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი არჩევანის“ თავმჯდომარე, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წევრი მანანა ბიწაძე-მიქელაძე:***

**— ქალბატონო მანანა, სრულიად საქართველო 1 ოქტომბრის არჩევნების მოლოდინში იყო. როგორ ფიქრობთ, გაამართლა ამ მოლოდინმა?**

— 2012 წლის არჩევნებისადმი დიდი მოლოდინი იყო, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ძალიან დიდი ფინანსური და პიროვნული რესურსების მქონე ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა. მდორე პოლიტიკური სივრცე, რაც ხელისუფლებას უზურპირებული ჰქონდა, უცებ ძალიან საინტერესო, ბობოქარი გახდა, თუმცაღა ძალიან ცალმხრივი და უსამართლო. იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმარა, რათა ივანიშვილი ფინანსების თუ სხვა კუთხით შეეზღუდა. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ მომხრეებზე ზეწოლა, შანტაჟი ხორციელდებოდა. ხელისუფლებამ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ უღირსი მეთოდებით გაილაშქრა. ივანიშვილს, ფაქტობრივად შიშველი ხელებით მოუწია ბრძოლა. გია ნოდიამ უნამუსოდ განაცხადა — ფულმა გაიმარჯვა დემოკრატიაზეო. მინდა მას ვუპასუხო — თავად არიან ფულით მოსულნი და ფულზე გაყიდულნიც.

**— როგორ შეაფასებთ 2012 წლის არჩევნებს, რამ განაპირობა ასეთი შედეგი?**

— ეს იყო ჩუმი დემოკრატიული ბუნტი, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ საარჩევნო ყუთებთან განახორციელა. ამ ყველაფერში ციხის კადრებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. კაციჭამია, ბოროტი ხელისუფლების სახე რეალურად დავინახეთ. ცხადია, 1 ოქტომბერი შედგა, მაგრამ ეს არ არის დასასრული, არამედ დასაწყისის პირველი ნაბიჯებია. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის ეფექტია. აღმოჩნდა, რომ წინა ხელისუფლებას, რომელიც პრაქტიკულად, უმცირესობაში უნდა იყოს, ჰყავს პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე — კუბლაშვილი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ქალაქის მერი. მაშინ რა გამარჯვებაზეა საუბარი?! ასევე, პრეზიდენტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული „ქართულ ოცნებას“ მისცემს თუ არა საშუალებას ძალოვანები თავის სურვილისამებრ დააკომპლექტონ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ახალი კონსტიტუცია მხოლოდ და მხოლოდ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა ძალაში. მანამდე კი მოქმედებს ისევ ძველი კონსტიტუცია, რომელიც ძლიერი პრეზიდენტის მოდელს წარმოადგენს და იგი ჯერჯერობით, მთელი თავისი ძალაუფლებით კვლავ თავის ადგილზე რჩება. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ მისი გუნდის წევრები ტელე-ეკრანებიდან ცინიკური, მომღიმარი სახეებით ულტიმატუმების ენით გვესაუბრებიან. პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა — 6 თვის განმავლობაში დაგაკვირდებით და მერე საერთოდ დავშლი ამ პარლამენტსო. გიგა ბოკერიამ და დავით ბაქრაძემ პრაქტიკულად, ჩვენზე მუქარა განახორციელეს. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ყველაფერი რაც დღეს ხდება, საბოტაჟის ელემენტებს შეიცავს. ამ აზრს ისიც მიმტკიცებს, რომ ცესკო, რომელიც ამ ხელისუფლების ნაწილია, პროცესს აჭიანურებს. სწორედ აქედან გამომდინარეა ის დარღვევები, რაც 1 ოქტომბერს დაფიქსირდა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა კომისიის თავმჯდომარე, რომელთა დიდი ნაწილი „ნაც.მოძრაობის“ წევრი იყო, ყველა მოძრაობაზე გარეთ გაგდებით იმუქრებოდა. ამ ბუნდოვანი საარჩევნო კოდექსის თანახმად, კომისიის თავმჯდომარეს გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად შეუძლია. დარღვევების უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ძალიან ბევრი სპეცუბანი გახსნეს, რაც აქამდე საქართველოს ტერიტორიაზე არასდროს დაფიქსირებულა. საზღვარგარეთის ხმებს სპეც.უბნის, ანუ ავლანეთის საჯარისო ნაწილების ხმები შეურიეს და აქედან ისე მიიღეს, თითქოს „ნციონალურმა მოძრაობამ“ მოიგო. ეს ყველაფერი უსამართლობის ზღვარს სცილდება. აბსოლუტურად მესმის, ამ ფონზე საზოგადოების აღშფოთება — როცა ჩვენ ვეუბნებით, რომ თითქოს გავიმარჯვეთ, ხალხი ამას ვერ აღიქვამს. როგორ გავიმარჯვეთ, როცა ხალხს საკუთარი არჩევანი წაართვეს. ამის ნათელი მაგალითია ხაშურში განვითარებული მოვლენები. ჩემი აზრით, ის რაც ხაშურში მოხდა მთელი საქართველოსთვის იყო გამიზნული. ეს ჩანაფიქრი არსებობდა, უბრალოდ არჩევნებზე ხალხის უპრეცედენტო რაოდენობით მისვლამ, მათ ამის საშულება არ მისცა. ამიტომ გადავიდნენ სათადარიგო ვარიანტზე, რასაც ახლა აქვს ადგილი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ამ სათადარიგო ვარიანტით ლელოს გაიტანენ. ხელისუფლების კომენტარები იგივე მესიჯია მათი მომხრეების მიმართ — ნუ გეშინიათ, ჩვენ ისევ მოვალთ. სააკაშვილის



სახელისუფლებო ტელევიზიებში არაფერი შეცვლილა, ამ ტელევიზიებში ჩვენ ისევ სააკაშვილის ქვეყანაში ვცხოვრობთ. ვხედავთ კვლავ სააკაშვილის, გიგი უგულავას ვოიაჟებს, ასევე გიგა ბოკერიას, ბაქრაძეს და ა.შ. „ქართული ოცნება“ კი, რომელიც ქართველი ხალხის არჩევანია, საუბნო საარჩევნო კომისიებზე ძალმომრეობაში სდებენ ბრალს. ამ ფონზე რა გასაკვირია, რომ ხალხს უსამართლობის განცდა უჩნდება.

**— სახელისუფლებო არხებმა ბანკების გაძარცვაზეც დაიწყო აპელირება.**

— დიახ, ზუსტად ეს არის საბოტაჟი, მათი პროგრამის ნაწილი. ამით უნდათ გვაჩვენონ — აი, ჩვენ წავედით და ხედავთ, მეორე დღესვე, ბანკების ძარცვა დაიწყეს (!) უსუსურ სცენარებს დგამენ. ეს საბოტაჟია. ივანიშვილმა საზოგადოებას სიმშვიდისკენ მოუწოდა, იგი სხვაგვარად ვერც მოიქცევა. მაგრამ, ვთვლი, რომ თუ საჭირო გახდა, ჩვენ პროტესტის გამოხატვის თავისუფლებას ვერასდროს ვერავინ აგვიკრძალავს.

**— ანუ, თქვენ ვთვლით, რომ საზოგადოებამ პროტესტი უნდა გამოხატოს?**

— დიახაც, პროტესტი უნდა გამოვხატოთ იმ ნაძირალა, კაციჭამია ხელისუფალის მიმართ, რომელსაც ხელისუფლებიდან წასვლა აღარ უნდა და შეურაცხყოფას აყენებს ქართველ საზოგადოებას, რომელსაც მონაპოვარს ართმევს. ძალიან მარტივია იმის მიხვედრა, თუ რატომ ჭიდაობს ხელისუფლება თითოეულ ხმაზე — ჯერ ერთი იმიტომ, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტს კონსტიტუციური უმრავლესობის ასი ხმა ანუ ორი მესამე სჭირდება. დღეის მონაცემებით „ქართულ ოცნებას“ 83 ხმა აქვს. ხელისუფლება თითოეული ხმისთვის იბრძოლებს და ყველაფერს გააკეთებს, რათა ივანიშვილის კოალიციის ხმები ასს არ გაუტოლდეს და საკონსტიტუციო უმრავლესობა არ შედგეს. სამართლიანობის აღსადგენად სხვა საშუალებებიც არსებობს, მაგრამ უმოკლესი, უმარტივესი გზა კონსტიტუციური უმრავლესობაა, რაც მიღწეული არ არის. სწორედ ამისთვის იბრძვის „ნაციონალური მოძრაობა“, რათა „ქართული ოცნება“ კონსტიტუციური უმრავლესობით ვერ შევიდეს პარლამენტში, რაშიც მას ხელს ცენტრალური საარჩევნო კომისია უწყობს. არადა ცესკო ვალდებულია ქვეყანაში დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნები ჩაატაროს, რაც მან ვერც ტექნიკურად და ვერც მორალურად ვერ უზრუნველყო. როცა ადამიანებს უსამართლობის განცდა უჩნდებათ ეს ნიშნავს, რომ არჩევნები დემოკრატიულად არ ჩატარებულა. როგორ შეიძლება როლანდ ახალაიამ, ორი სადისტი შვილის მამამ 57 პროცენტი აიღოს, ალასანიამ — 43 და ეს დემოკრატიულად ჩაითვალოს?! ნაცისტების სატელევიზიო არხებზე გამუდმებით ტრიალებს კადრები — როლანდ ახალაიას გოდება — ალასანიამ ყოფილი მხედრიონელი მომიგზავნაო. წარმოგიდგენიათ, რით სპეკულიანტობს კაცი, რომელმაც ორი სადისტი გაზარდა?! ვთვლი, რომ ხალხისგან უპირველესი დავალება ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების მიმართ იქნება ის, რომ ყველა დამნაშავეს უმკაცრესად აგებინოს პასუხი. არამარტო მათ, ვინც ციხეებში პატიმრების სასტიკი წამება განახორციელა, არამედ ციხის გარეთ მყოფ დამნაშავეებსაც. თქვენ როგორ ფიქრობთ, მხოლოდ ციხეებში დააზარალეს ადამიანები?! — შიგნით ფიზიკურად, გარეთ კი — მორალურად დაგვაზარალეს. ქართველი მამაკაცების უმრავლესობა უმუშევრები დატოვეს, ხალხი ფსიქიკურად შეშალეს, ეს მათ როგორ უნდა შერჩეთ, ამისთვის ვიბრძოდით?!

**— რაც შეეხება კონკრეტულად გაყალბების ფაქტებს, რა შეგიძლიათ გვითხრათ?**

— პირველი, როგორც აღვნიშნე სპეც.უბნებიდან ჩაყრილი ხმები იყო, თუმცა, ხალხის მასიურად მოსვლის გამო, რესურსი, რაც კარუსელების სახით ხელისუფლებას ჰქონდა, სასურველი ეფექტით ვერ წარიმართა. დაფიქსირდა ცალკეული მცდელობები. ასევე არსებობს ე.წ. „სომხური კარუსელის“ ვიდეომასალა. მაგრამ მასიური გაყალბება



ოქმების გადაწერით მოხდა. ზუგდიდის ერთ-ერთ უბანზე პირდაპირაა ოქმში ციფრები გადასწორებული, ეს საოცარია. ანუ, ძირითადად ოქმები გადაკეთდა. მაგალითად, ლაგოდეხში არაქართველი მოსახლეობისთვის წინასწარ ჰქონდათ ფული გადახდილი, რათა 5-იანი შემოეხაზათ.

**— წელან ახსენეთ, რა დროს სასამართლოებში გასაჩივრებააო, აბა, რისი დროა ახლა?**

— ხომ გაგიგონიათ, სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო. გაუპატიურებული კონსტიტუციით, რომელიც როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, სააკაშვილის ხელისუფლებამ უბის წიგნაკად აქცია, რასაკვირველია ამ ლაბირინთში გზის გაკვლევა და სამართლიანობის აღდგენა, ძალიან ძნელია. ჩემი აზრით, უპირველესად, ცესკომ ზუსტად ის ციფრები უნდა დადოს, რა სურათიც რეალურადაა ქვეყანაში, რათა ადამიანებს უსამართლობის შეგრძნება არ დარჩეთ. აქედან უნდა დავიწყოთ სამართლიანი ქვეყნის მშენებლობა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასე აზროვნება — არჩევნები გამიყალბეს, მაგრამ არაუშავს ხომ გავიმარჯვეთო. გამარჯვებისგან ჯერ ძალიან შორს ვართ. დღეიდან, უკვე უნდა გვქონდეს იმის შეგრძნება, რომ სამართლიან, დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, სადაც ნებისმიერი უსამართლობა, თუნდაც ერთი ხმის მოპარვა, კანონით ისჯება.

**— თავად თქვენ რომელ უბანზე აკვირდებოდით არჩევნებს და რა ვითარება იყო?**

— ჩვენი ორგანიზაცია — „თავისუფალი არჩევანი“ 1200 უბანს აკვირდებოდა. პირადად, ციხეში გახლდით. წელს, პირველად დაიშვა პატიმრებისთვის ხმის მიცემის პრეცედენტი. ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ მათ, ვისაც 5 წელზე ნაკლები მიესაჯა. მთელ საქართველოში ასეთი იყო 2150 პატიმარი. ჩემს უბანზე 1000-დან მხოლოდ 233 პატიმარს მისცეს ხმის მიცემის უფლება. ეს კანონმდებლობის ხარვეზია. დღეს, ყოველი მეხუთე მამაკაცი პატიმარია. ეს ხომ ერის გენოფონდის მორალური გაძარცვაა. გესმით, რას აკეთებენ, ეს ნაძირლები?! ავიღოთ მოქალაქეთა კავშირის შესახებ ორგანული კანონი და წავიკითხოთ რა შემთხვევაში შეიძლება პარტია აიკრძალოს. დავინახავთ, რომ ყოველი პუნქტი აბსოლუტურად მიესადაგება „ნაციონალურ მოძრაობას“. ვთვლი, რომ ქართველმა საზოგადოებამ, დიახაც, სწორედ ამაზე უნდა იფიქროს — „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ უნდა წავიდეს, გაქრეს პოლიტიკური რუკიდან.

**— ივანიშვილმა პრეზიდენტს გადადგომაც კი ურჩია...**

— ივანიშვილი უკვე აღარ არის ქუჩის პოლიტიკოსი, მისი ყოველი სიტყვა არამარტო აქ, არამედ საზღვარგარეთ იზომება. ჩვენ, საზოგადოებას არანაირ სლოგანებზე, არავის წინაშე ვალდებულება არ გვაქვს. ამიტომ, ქართველმა ხალხმა უნდა ვთქვათ, რომ არ გვინდა ასეთი პრეზიდენტი. დიახაც, პრეზიდენტი უნდა გადადგეს, დიახაც „ნაციონალური მოძრაობა“ ქართული პოლიტიკური რუკიდან უნდა გაქრეს, მორჩა და გათავდა. ამის გაკეთება ძალიან მარტივი და აუცილებელია. იმიტომ, რომ მათ არ უნდა შერჩეთ ამ 9 წლის მანძილზე ქართველი ერის მიმართ განხორციელებული გენოციდი. ქართველმა საზოგადოებამ ისინი პირდაპირ ერის გენოციდში უნდა დაადანაშაულონ. კიდევ ვიმეორებ, გადავხედოთ პოლიტიკური გაერთიანების ორგანულ კანონს: ამ ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიები დაკარგა, საკუთარ ხალხს გენოციდი მოუწყო, ერში განხეთქილება შეჰქონდა, პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ წევრებს მუმიებს ეძახდა, იგი სულ გაიძახოდა — მე სინათლე ვარ და თქვენ ბნელი წარსულიო; პრეზიდენტი ვერასდროს ჩემი ვერ გახდა, ვერ გავუზიარე მას ჩემი ტკივილი. იგი მთელი ცხოვრება 10 პროცენტის პრეზიდენტი იყო და არის; ასევე, მან განხეთქილება შეიტანა ქართულ

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ეკლესიაში და ჩვენი ეკლესია სხვა კონფესიებს დააპირისპირა, თბილისი შეიძულა და დედაქალაქის მცხოვრებნი ქუთაისელებს გადაჰკიდა. აღარაფერს ვამბობ პატიმრების მდგომარეობაზე, უმოწყალოდ ქუჩებში დახვრეტილ ბიჭებზე, 2008 წლის ომზე და ა.შ. მეტი, რაღა უნდა ექნა?! გეკითხებით, ამ ყველაფრის გამკეთებელი ხელისუფლება რატომ უნდა იყოს თუნდაც ოპოზიციაში? რა უფლება აქვს ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეულ ახალ ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგეს?! მართალია, გვიმტკიცებენ ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ ვიცით, რომ ბიუჯეტი განულებულია. ამაზე მოწმობს ამ დღეებში დამწვარი „ლიბერთი ბანკის“ სათაო ოფისიც, საიდანაც მანქანებით რაღაცები გაჰქონდ-გამოჰქონდათ. ამათ საზოგადოება ბრმა ჰგონიათ თუ სულელი?! ჩვენ ყველაფერი შესანიშნავად ვიცით. ამიტომ, ვთვლი, ხელისუფლებაში მოსულ ახალ გუნდს საზოგადოების პულსზე მუდმივად უნდა ეჭიროს ხელი და ზუსტად შეასრულოს ხალხის მოთხოვნები. ახალი გუნდი სწორედ იმიტომ ავირჩიეთ, რომ ქვეყანაში სამართლიანობამ იზეიმოს. ქართული საზოგადოება სამართალს ითხოვს. საზოგადოებას აქვს გამოხატვის თავისუფლების

და რომ არ გაუცრუვდეს, ცესკომ რეალური სურათი უნდა დადოს, ანუ კონსტიტუციური უმრავლესობა უნდა ავიღოთ.

**— თუმცა, ამ ეტაპზე შედეგს ვერ ვაღწევთ, „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ხმები თითქმის ერთმანეთს უტოლდება. ასე, „ნაც.მოძრაობაც“ ხომ გამარჯვებული გამოდის?**

— „ნაც.მოძრაობა“ კიდევაც თვლის თავს გამარჯვებულად. ამბობენ, რომ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეძლეს. ამ დროს, ეს ტოტალურად გაყალბებული არჩევნები იყო. სურათი, რაც ამჟამად გვაქვს — 83 ხმა „ქართულ ოცნებას“, ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის სამოქალაქო გმირობის შედეგია. ცესკოს რაც შეეხება, მან ვერანაირად ვერ უზრუნველყო ეს არჩევნები. ვიმეორებ, ეს ტოტალურად გაყალბებული არჩევნებია.

**— რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ 40 პროცენტს, საუბრობდნენ, რომ რეალური გათვლებით, მათ 15-20 პროცენტზე მეტი ვერ უნდა აეღოთ. საიდან მოვიდა ეს 40 პროცენტი?**

— სწორედ ეს არის გაყალბება —ქვემო ქართლი, მარნეული, წალკა, გარდაბანი, ლაგოდეხი, ახალციხე, ნინოწმინდა მთლიანად გაყალბდა. ასევე, ტოტალურად გააყალბეს სამეგრელო და ამ ფონზე 40 პროცენტი კიდევ ცოტაა. სწორედ ამას



უფლება. დიახაც, ცესკომ უნდა იცოდეს, რომ იქ ვიდგებით და არცერთ ხმას არ დავთმობთ. სანამ ჯერ კიდევ ბოგინობენ, უნდა იცოდნენ, რომ მათ ხალხი არცერთ უსამართლო ნაბიჯს არ შეარჩენს. შემდეგ, სამართლიანი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან და ალბათ ერთი ნიურნბერგის პროცესი საქართველოშიც ჩატარდება. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ნუ მოვდუნდებით, ეს არ არის საბოლოო გამარჯვება, არამედ დასაწყისის პირველი ნაბიჯია. დასაწყისი მაშინ დასრულდება, როცა „ქართული ოცნება“ მთელს ხელისუფლებას ხელში აიღებს. აქეთკენ სავალი გზა ჯერ კიდევ დიდია. მანამდე აღმშენებლობაზე პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს. პირიქით, „ქართულ ოცნებას“ ყოველდღიურ ბრძოლაში უნდა დავეხმაროთ, რათა მათ ძალაუფლება მოიპოვონ. დღეს, ჯერჯერობით უბრალოდ მოვახერხეთ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება. იმედი მაქვს, ის თითოეული ხმა, რომელიც ჩვენ უნდა დავიცვათ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოგვცემს, რაც ბოლოსდაბოლოს კონსტიტუციის შეცვლისკენ გაგვიხსნის ხელ-ფეხს. კონსტიტუციის ცვლილება აუცილებელია, რადგან იგი „ნაც.მოძრაობას“ საკუთარ თავზე აქვს მორგებული. იქ ისეთი ნაღმებია ჩადებული, არავინ იცის რომელი, სად აგვიფეთქდება. ამიტომ, ასე რომ არ მოხდეს, დღეს მაქსიმალურად უნდა ვიბრძოლოთ. ივანიშვილს სხვა „ლაზეიკებიც“ აქვს შემონახული იმ შემთხვევისთვის, თუ კონსტიტუციური უმრავლესობა ვერ ავიღეთ. ხალხს სამართლიანობის განცვამბობ, ვიცით, რომ ეს ხმები გაყალბებულია და ქართველ ხალხს სწორედ ამ უსამართლობის გრძნობა არ უნდა დაუტოვონ. თბილისში ვერ გაბედეს გაყალბება და ხედავთ რამხელა პროცენტები დაუფიქსირდა „ქართულ ოცნებას“?! სწორედ, ეს არის რეალური პროცენტები. ნაცებმა შემდეგნაირად მოიპოვეს ხმები — მართლაც ნატურალური მხარდამჭერებით, ვთქვათ 100 ათასი მიშა თავხელიძით, მაგრამ ვთვლი, რომ ერის ტრაგედიაა, როცა ქვეყანას ამდენი თავხელიძე ჰყავს. ასევე, ჰქონდათ საჯარო მოხელეების რესურსი და სპეც.უბნები. მაშინ, როცა სააკაშვილმა 116-ე — პატიმრების უბანზე ვერ მოიგო, 115-ე უბანზე, სადაც ხმას ციხის ადმინისტრაცია აძლევდა, მიშამ მოიგო, წარმოგიდგენიათ? ასევე, ვესწრებოდი ცესკოში ავლანეთის უბნის გახსნას, სულ 1078 ხმიდან — 1008-მა 5-იანი შემოხაზა. გესმით, რაშია საქმე?! — ესაა მისი რესურსი. ისეთ ოლქებში გახსნეს სპეც უბნები, სადაც ჯარისკაცი არასოდეს ყოფილა. ვთქვათ მესტიაში და სწორედ ამ სპეც.უბნებით მოხდა პროცენტების გადაფარვა. ძირითადად, გაყალბება სპეც. უბნებით და გადაწერილი ოქმებით მოხდა. ამის გვირგვინი იყო ხაშური, სადაც პირდაპირ შევარდნენ, დალუქეს ყუთი, ესროლეს ხალხს, მეტი რაღა უნდა ექნათ? ერთდერთი რასაც ვითხოვ უსამართლობის განცდა არ დამიტოვონ. მე ხმა მივეცი თავისუფლებას, დემოკრატიულ, სამართლიან ქვეყანას და არა უსამართლობას.

**თამარ შველიძე**

# `nacionaluri moZraoba~ xelisuflebaSi dabrunebis ramdenime scenars amuSavebs



***გვესაუბრება ყოფილი სახალხო დამცველი, ჟურნალისტი ნანა დევდარიანი***

**- ქალბატონო ნანა, გაყალბდა თუ არა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები?**

- გაყალბება მოხდა და როგორ, იცი?- 40% დაიწერა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და გჯერა შენ, რომ ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ ათიდან ოთხმა ადამიანმა მაგათ მისცა ხმა? ეს არის არარეალური. მაქსიმუმ 10% ჰქონოდათ თავისი საახლობლოთი, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ხალხით. 30% როგორც არაფერი ისე ჩაიდეს ჯიბეში და ცხადია, ამ 30%-ში სხვა პოლიტიკური სუბიექტების ხმებიც იყო. შეუძლებელია, რომ ორი პოლიტიკური პარტიის გარდა, ყველა დანარჩენი პარტია 1%-ის ქვემოთ იყოს. აი, ეს ხმებია მოპარული. მაგრამ ამ შემთხვევაში დავას არც არავინ არ აპირებს, რადგან „ოცნებას“ უყურებენ, როგორც გადამრჩენ ძალას და ვინ იდავებს ახლა, რომ არჩევნები გაყალბდა? კიდევ ერთხელ ვამბობ, წარმოუდგენელია, საქართველოს მოსახლეობა იყოს მორალურად ისეთი მახინჯი, რომ იმის გამკეთებელს, რაც ვიდეოკადრებში ვნახეთ, კიდევ ათიდან ოთხმა ამომრჩეველმა მისცეს ხმა.

უკვე ძალიან შეიზღუდნენ „ნაციონალები“ და აქ მხოლოდ ხმებში არაა საქმე. ხალხი დარწმუნდა, რომ ამათი მოშორება შესაძლებელი ყოფილა. ამიტომ, როდესაც რევანშზეა ლაპარაკი, რევანშისტული განწყობილება იმდენად პოლიტიკურ ძალებს არა აქვთ, რამდენადაც თავად მოსახლეობას. მათ რეალური ცვლილებების მოთხოვნილება აქვთ და არა რაღაც „ზრდილობიანი მიხრა-მოხვრის“.

**-როგორც ვნახეთ, ბიძინა ივანიშვილმა „ეგზიტპოლების“ გამოქვეყნებისთანავე მიულოცა თავის ამომრჩევლებს გამარჯვება და განაცხადა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. იყო თუ არა ეს განცხადება ნაჩქარევი, იქიდან გამომდინარე, რომ „დემოკრატიული არჩევნების“ აღიარებით, მან საშუალება მისცა „ნაციონალურ მოძრაობას“ 40% დაეწერათ?**

-არც ეს განცხადება ყოფილა შემთხვევითი და არც მთელი მოქმედების სტილი. მათ შორის, არც ის არის შემთხვევითი, რომ ჩვენი ამერიკელი მეგობრები წინ და უკან დაიარებიან, ხან მიშასთან მიდიან, ხან ბიძინასთან. შეერთებულ შტატებს არანაირად არ აწყობდა აქ მოვლენების რევოლუციური განვითარება, ამიტომ იყო ბიძინა ივანიშვილი სულ რომ ამბობდა, მოვალთ არა რევოლუციით, არამედ არჩევნების გზით. ამერიკელებს არც ის არ აწყობდათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ეს სიტუაცია ძალიან აძლევს ხელს ამერიკელებს, რადგან ორი ძალა ჰყავთ. უმნიშვნელო უპირატესობით არის „ქართული ოცნება“ და ეს მათი მანევრის სივრცეს აფართოვებს. სხვა ყველა პარტია გადარეცხეს ამ ეტაპზე, მაგრამ, მოდი დავუკვირდეთ, რა ძალა არსებობს მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“, სახით. მათ არასოდეს არაფერი დაუთმიათ და სულ იმის დემონსტრირებას ახდენდნენ, რომ არა, არ დავთმობთო, ხომ? ახლა რა მოუვიდათ, რა დაემართათ ამისთანა, რომ ასე მორჩილად აღიარეს დამარცხება და ოპოზიციაში გადასვლა?! აქ შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიმე სცენარი; ერთი ის, რომ ამერიკელმა პარტნიორებმა სხვა გზა არ დაუტოვეს და უთხრეს, რომ შენ ეს შედეგები უნდა აღიარო და მე-



ორე ცუდი სცენარი, წარმოიდგინე, შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური კრიზისი. პირველი ექვსი თვე ვერც პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და ვერც პარლამენტი გამოუცხადებს პრეზიდენტს იმპიჩმენტს. ამ საპროტესტო ელექტორატს ხომ წარმოგიდგენია, როგორ გაალიზიანებს ის, რომ რადიკალური ცვლილებები პირველივე კვირეებში არ მოხდება. თუ მართლაც შეიქმნა კრიზისი, სააკაშვილს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები და აქ უკვე „ხელების გადაგრეხვით“ აიღოს უმრავლესობა. შემდეგ იტყვის, რა გინდათ, როცა წავაგე ხომ ვაღიარე, ახლა მოვიგე და რას მერჩითო.

**- კიდევ რა ფორმით და საშუალებებით შეიძლება მოახერხოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში დაბრუნება?**

- ერთი სცენარი გითხარით უკვე, თუმცა არსებობს სხვა სცენარებიც. ხომ არ გგონიათ, რომ შემთხვევითია ეს ბანკების დაყაჩაღებები ან ვინმეს ხომ არ ავიწყდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯერ კიდევ სააკაშვილისა და „ნაც-მოძრაობის“ ხელშია? აქ ერთი ვარაუდია მხოლოდ, ან ეს არის პროვოკაცია „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციისთვის, რომ აი, ჯერ არ მოსულან და უკვე მძარცველები და ქურდები მოვიდნენ და მეორეს მხრივ, ალბათ არის გარკვეული საბოტაჟის ელმენტებიც. საბანკო სისტემას შენ თუ ისეთ მდგომარეობაში ჩააგდებ, რომ რამდენიმე ბანკს ფულადი რესურსი აღარ ექნება, გართულდება მთელი რიგი ოპერაციების წარმოება ქვეყანაში. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არავინ იცის, რა დღეში დახვდებათ ხაზინა.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ საბოტაჟია ის „ყულფი“, რითაც „ნაციონალური მოძრაობა“ „ოცნების“ მოხრჩობას აპირებს?**

-კი, საბოტაჟის ერთ-ერთი ფორმა ეს არის, როდესაც შენ საშუალებას არ აძლევ ახლადმოსულ ძალას ხელისუფლებაში განახორციელოს ის ცვლილებები, რომლის მოთხოვნილებაც საზოგადოებაში ძალიან მაღალია. მით უმეტეს, რომ ასე ერთ წუთში და ერთ დღეში არ ხდება ხელისუფლების გადაბარება. წარმოიდგინე, უზარმაზარი ვერტიკალია მართვის და სოფლის რწმუნებულამდეც კი უნდა ჩახვიდე. არადა, როგორ არის, იცით? სოფლის რწმუნებული შეიძლება იყოს ძალიან პატივცემული ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალებზე“ მუშაობდა. ეს არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად დამნაშავეა ან მტერია. ძალიან ძნელია, ამ დროს დაიცვა ობიექტურობა და განსაზღვრო ეს ადამიანი დასატოვებელია თუ არა. მერე იქ არჩევითი საკრებულოები, არჩეული გამგებლებია და ამ სისტემის დალაგებას ერთ დღეში ვერავინ ვერ შეძლებს. ეს არის გრძელი პროცესი და რამდენად განწყობილია ჩვენი მოსახლეობა ამ პროცესს დაელოდოს, ეს გამოჩნდება.

**ლელა არაბული**

## ბიძინა ივანიშვილი საზღვარგარეთ რიგით მეორე ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვევა



კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი და საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი საზღვარგარეთ რიგით მეორე ვიზიტით, აშშ-ს შემდეგ აზერბაიჯანს ეწვევა. ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია აზერბაიჯანში საქართველოს ელჩ თეიმურაზ შარაშენიძეზე დაყრდნობით იუწყება. შარაშენიძის განცხადებით, საქართველოში ხელისუფლების შეცვლით ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლება. მისი თქმით, საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობები ყველა მიმართულებით გაგრძელდება. "აშშ და აზერბაიჯანი საქართველოს მთავარი სტრატეგიული მოკავშირეები არიან", - განაცხადა მან და დასძინა, რომ ივანიშვილი აშშ-ს შემდეგ აზერბაიჯანს ეწვევა.

ივანიშვილის მიერ ბაქოში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ ამ დროისთვის ინფორმაციას არ ფლობენ "ქართულ ოცნებაში". როგორც "მედიანიუსს" ივანიშვილის პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა სოზარ სუბარმა განუცხადა, მას ამის შესახებ არაფერი სმენია. ცნობისთვის: ბიძინა ივანიშვილი თავის პირველ საგარეო ვიზიტს შეერთებულ შტატებში გეგმავს.

**„მედიანიუსი“**



# ratom gauCnda erTbaSad yvela biznesmens survili `nacmoZraobisTvis~ kolosaluri Tanxebi SeewiraT, ramac, jamSi, 18 milioni lari Seadgina

*გვესაუბრება კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი* **დავით ნარმანია:**

**— ბატონო დავით, ციხის კადრებით გამოწვეული მღელვარება მოსახლეობაში დღემდე არ ჩამცხრალა. თუმცა როგორც ირკვევა ამ სადისტური ქმედების მიღმა ხელისუფლება დაპატიმრებებით მოსახლეობის უძრავი ქონების „შეწოვას“ ახდენს. რამდენად სერიოზულია ეს საფრთხე და ზოგადად რას იტყოდით ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე?**

— პირველ რიგში, იმ საკითხით დავიწყოთ, რასაც ეკონომიკური დანაშაულის სახით ბიუჯეტში ფულის მობილიზების პოლიტიკა ჰქვია, ანუ ციხეში მყოფი ადამიანების გარკვეული კატეგორია ეკონომიკური დანიშნულების მუხლითაა მსჯავრდებული. აქედან გამომდინარე, მათი საქმეები ორი მიმართულებით ვითარდება: ერთი — ხელისუფლებასთან შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ისინი, შეიძლება გირაოს გადახდით გათავისუფლდნენ, მეორე — როცა ფინანსური შეთანხმება ვერ ხერხდება და მათ ციხეში ყოფნა უწევთ. ნებისმიერი ბიზნესმენისთვის ციხეში ყოფნა პირდაპირ მის ბიზნესზე დარტყმას ნიშნავს იმიტომ, რომ იგი ინიციატივიანი ადამიანია, მან საქმის კეთებაში უნდა მიიღოს მოგება. როცა ერთ ადამიანს იჭერენ, მას მეორე, იდენტურად ვერ ანაცვლებს, რადგან ყველას ერთნაირი სამეწარმეო უნარ-ჩვევები არ გააჩნია. ამიტომ, თუ ბიზნეს-იდეის მქონე ადამიანს აპატიმრებენ ან დიდ ჯარიმას აკისრებენ, ეს ბიზნესზე ნეგატიურად აისახება. მეორე საკითხია, თუ როგორ შოულობს ხელისუფლება ფულს, ეს ბიუჯეტის შევსებასაც ეხება. ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი სწორედ ამგვარი გზებით ფორმირდება — ჯარიმებით, ხელისუფლებასთან გარიგების საფუძველზე გადახდილი თანხებით. თუმცა, ადამიანს ყოველთვის არ აქვს ფული, რათა ჯარიმები იხადოს. ამიტომ იგი იძულებული ხდება თავისი უძრავ-მოძრავი აქტივი გაყიდოს და შეაკოწიწოს ის რესურსი, რითაც ხელისუფლებისგან თავის დაღწევას შეძლებს. დაახლოებით, 10 დღის წინ ციხის კადრების პარალელურად, დაპატიმრებული ბიზნესმენების სია გამოქვეყნდა, რომელთა რაოდენობა ერთ ასეულზე მეტია. ბიზნესმენების ნაწილი ხელისუფლების მიერ დაისაჯა და შედეგად, დღეს მათი ბიზნესი საქართველოში წარმოდგენილი არ არის, კომპანიები ან გაკოტრდა, ან მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და სხვა მფლობელის ხელში გადავიდა. არის შემთხვევები როცა ქონება სახელმწიფოს ხელში გადადის. ეს, რა თქმა უნდა, ბიზნეს-გარემოზე უარყოფითად მოქმედებს. გლობალური კონკურენტუნარიანობის მხრივ, 2012 წლის ინდექსს თუ მოვიშველიებთ, საქართველო 144 ქვეყნიდან საკუთრების უფლების დაცვის კუთხით 131-ე ადგილზეა, რაც ძალიან არასახარბიელო პოზიციაა. იგივე ინდექსის მიხედვით 144 ქვეყნიდან, საქართველო სამართლებრივი დამოუკიდებლობისა და სასამართლოს ეფექტიანობის კუთხით 95-ე ადგილზეა. ამიტომ ბევრი ერთმანეთთან დაკავშირებული პრობლემაა, რაც საბოლოოდ ბიზნეს გარემოზე უარყოფითად აისახება და ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული ბიზნესმენების პრობლემა, არამედ საინვესტიციო გარემოზეც უარყოფითად მოქმედებს. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, ეკონომიკურ ფონზე გავლენა ორმა ფაქტორმა მოახდინა: პირველი — ეს იყო ძალიან დაძაბული წინასაარჩევნო ვითარება, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად ჩიხში შევიდა იმიტომ, რომ საკუთრების უფლებები ხშირად ირღვეოდა, ხდებოდა „ქართულ ოცნებასთან“ გარკვეულ კავშირში მყოფ ბიზნესმენთა უკანონო დაჯარიმება, მათი ანგარიშების დაყადაღება. აქედან გამომდინარე, 2012 წლის მესამე კვარტალში საინვესტიციო აქტივობა წინა ორ კვარტალთან შედარებით ძალიან — 5-ჯერ და მეტად შემცირდა, რაც ამ დაძაბული წინასაარჩევნო მდგომარეობის დამსახურებაა. მეორე — ციხის კადრებმა, დაპატიმრებული ბიზნესმენების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო ხელისუფლების პოლიტიკისთვის ნიღაბის ჩამოხსნას. ამიტომ, ჩვენთან ბოლო პერიოდში საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნადაა შეფერხებული. ასევე, ამას ხელი შეუწყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს დახარჯულმა რესურსებმაც. ეს ეხება ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ, ასევე სოციალურ პროექტებს — პენსიების მომატებას, ვაუჩერებს, დაზღვევას და ა.შ. ამიტომაც ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ გამოყენება უპრეცედენტოდ მაღალი იყო, რაც ძალიან ბევრმა ორგანიზაციამ, დამკვირვებელმა თუ ექსპერტმა გამოავლინა. მესამე — თვითონ ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებული საკითხია. ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ ძალიან ბევრი ვალდებულება აიღო, სამუშაოს შემსრულებლებთან ანგარიშსწორება კი გვიან ხდება, ანუ მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს, რაც ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა, რათა ამომრჩევლებისთვის მათი გულის მოსაგებად ძალიან ბევრი დაწყებული პროექტი დაენახვებინა. ამ დროს არ გაითვალისწინა, რომ ამ ყველაფერს ბიუჯეტიდან დაფინანსება სჭირდება. ხელისუფლებას ბევრი ვალდებულება აქვს აღებული, რომლის გასტუმრებაც შესაძლოა ამ საბიუჯეტო მოწყობის პირობებში გაჭირდეს და გარკვეული ვალდებულებები მომდევნო წლის ბიუჯეტში გადავიდეს. ინვესტორები დააკვირდებიან როგორ ითანამშრომლებს ყოფილი ხელისუფლება კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“, რამდენად დემოკრატიულ ჩარჩოებში წარიმართება პროცესები და ა.შ. ეს მომავლის საქმეა და პერიოდულად შეგვიძლია შევაფასოთ მიდის თუ არა ეკონომიკური პოლიტიკა სწორი გზით.

**— საგარეო ვალის მაჩვენებელი ხომ ისედაც დიდია, რამდენად მიზანშეწონილია დამატებით ვალის აღება?**

— საგარეო ვალის მაჩვენებელი არც ისე მცირეა და რა თქმა უნდა, დამატებითი ვალდებულების აღება მიზანშეწონილი არ არის, თუმცა, თუ ეს გარდაუვალი აუცილებლობაა, ხელისუფლებას სხვა გზა არ ექნება. მთავარია ვალის სახით აღებული თანხა ისეთ ღონისძიებებს მოხმარდეს, რამაც ეკონომიკური აქტივობა უნდა წაახალისოს. სხვა შემთხვევაში, თუ იგი მხოლოდ და მხოლოდ მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრებას მოხმარდება, უკუგება მცირე იქნება და ამ პირობებში დამატებითი ვალის აღება მიზანშეწონილი არ იქნება.

**— ხშირ შემთხვევაში საგარეო ვალი არამიზნობრივად იხარჯება, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია რას ხმარდება ესა თუ ის თანხები. თავად უცხოური ორგანიზაციები რატომ არ უწევენ კონტროლს თუ რაში ჩაიდო მათ მიერ ვალად მოცემული თანხა?**

— არსებობს გარკვეული ქვეყნები და ორგანიზაციები, რომელთა მიერ გაცემული კრედიტები მიზნობრივია. თუმცა, არის ვალი, რომელსაც მიზნობრიობა არ გააჩნია და თავად ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას თანხა რას მოახმაროს. დავასახელებდი ორ პროექტს, რომელთა დაფინანსება არსებული რესურსების პირობებში მიზანშეუწონელი იყო: ესაა ქუთაისის პარლამენტი და ლაზიკა. შეიძლება ეს ვალით არ დაფინანსებულა და ამაზე ბიუჯეტში მობილიზებული თანხა დაიხარჯა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. როცა ვალის აღების პირობებში გვიწევს ორი სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსება, უმჯობესი იყო ხელისუფლებას ის თანხა, რასაც ლაზიკას მშენებლობაში და ქუთაისის პარლამენტის აშენებაში დახარჯა, დაერეზერვებინა და სხვადასხვა ვალდებულების დაფინანსებისთვის მოეხმარა, რასაც დღეს უცხოეთიდან მოზიდული კრედიტებით აფინანსებს.

**— ის გეგმა, რასაც ხელისუფლება ახორციელებს მის თავში იხარშება თუ ხელისუფლება მხოლოდ შემსრულებელია. ქვეყანა საგადასახადო ინსპექციას დაემსგავსა.**

— არამგონია, ჩვენი ხელისუფლება საგარეო აქტორების ან პარტნიორების ყველა მითითებას პირნათლად ასრულებდეს. რაღაც ინტერესები რუსეთთან მიმართებაში ნამდვილად აქვთ, სხვა შემთხვევაში ძალიან ბევრ სტრატეგიულ ობიექტს მათ არ ჩააბარებდნენ. ამას პირდაპირ შეიძლება რუსეთსა და ჩვენს ხელისუფლებას შორის ალიანსი დავარქვათ. მეორე, რაღაც თამაშის წესები მართლაც არის შემოთავაზებული, მაგრამ არა გლობალურად. მაგალითად, გამოვრიცხავ, რომ რომელიმე პარტნიორი ქვეყნის პრეზიდენტი ან საერთაშორისო ორგანიზაცია ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას მკაცრი სადამსჯელო პოლიტიკის გატარებისკენ ან მკაცრი საგადასახადო ადმინისტრირებისკენ მიუთითებდეს. ფორმალურად რაც დეკლარირებულია ესაა ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილეობა, აშშ-სთან ეკონომიკური თანამშრომლობა და ა.შ., რომელსაც ლეგალური საფუძველი გააჩნია. ის პოლიტიკა რაც ტარდება, მაინც ქვეყნის შიგნით, რამოდენიმე ადამიანის თავში იხარშება, მათ შორის ეკონომიკური პოლიტიკაც. ფაქტია, რომ ლიბერტარიანულმა მიდგომამ, ბენდუქიძის გუნდის პოლიტიკამ არ გაამართლა, რის შედეგსაც რამდენიმე წელია ვხედავთ. ეს მთავრობამაც აღიარა მეორეც, ეს არის მკაცრი ხელის ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ შიშის ქვეშ მყოფი ბიზნესი, რომელიც ხელისუფლების მორჩილია და ძალიან ხშირად მის დაკრულზე ცეკვავს. სხვანაირად, ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდა გადაერიცხათ ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში 300-ზე მეტ ბიზნესმენს 5-დან 60 ათას ლარამდე მმართველი პარტიის ბიუჯეტში შემოწირულობის სახით. ამ ადამიანების უმეტესობა საშუალო და მსხვილი კომპანიების დამფუძნებლებია, რომელთაც რატომღაც ყველას ერთდროულად სურვილი გაუჩნდათ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ კოლოსარული თანხები შეეწირათ. ჯამში შეწირულობამ 18 მილიონი ლარი შეადგინა, რისი დიდი ნაწილიც სწორედ ბიზნესმენებმა გადაიხადეს. სხვა შემთხვევაში ბიზნესმენი ყოველთვის, კარგი გაგებით, ძუნწია, ცდილობს დაზოგოს ხარჯები, რათა მეტი მოგება მიიღოს.

**— ხელისუფლების პროექტი ქვეყანა სიღარიბის გარეშე, ფაქტობრივად პირიქით შესრულდა. ასევე დაემართა სხვა პროექტებსაც. როგორი ეკონომიკა გვაქვს?**

— ჩვენ გვაქვს ეკონომიკა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის წესებს არ ემორჩილება, არამედ მკაცრი ხელის პოლიტიკით იმართება, რასაც ხშირად ეკონომიკაში შოკებამდე მივყევართ. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, რომ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკებს შორის კავშირი არ არსებობს. ორივე, ცალ-ცალკე დამოუკიდებლად ხორციელდება. ამიტომაა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ გარკვეული რეფორმების გატარებით მაღალ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია, თუმცა იგი ადამიანის სოციალურ მდგომარეობაზე არ აისახა. ანუ როცა ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდა იყო, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვი იზრდებოდა. ასევე, იზრდებოდა უმუშევრობა. ამიტომ, რადიკალურად გადასახედია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა. ეკონომიკური ზრდა სახელმწიფოს თვითმიზანი არ უნდა იყოს. ხალხმა რეალურად უნდა ნახოს მეტი სარგებელი და არა დეკლარირებულ დონეზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პენსიის ოდნავ მომატებას, 4 წლის მანძილზე 1000 ლარიანი ვაუჩერის დარიგებას და საჯარო დაზღვევას გულისხმობს. ეს ნამდვილად არ არის მეტი სარგებელი ხალხს, არამედ ლოგიკური გაგრძელებაა იმ ლოზუნგისა, რასაც ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე ჰქვია.

**— კიდევ ერთი პრობლემა უცხოტომის მოსახლეობაზე მასობრივად გასხვისებული მიწებია. რამდენად საფრთხის შემცველია ეს ქვეყნისთვის?**

— ხელისუფლებას ამგვარი ნაბიჯების გადადგმისას ამოძრავებს ერთი რამ — ბიუჯეტში შემოსავალი მიიღოს. ამიტომ მას არ აინტერესებს ვინ შეიძლება იყოს მიწის მესაკუთრე. ადრე კანონით იკრძალებოდა უცხოელი მოქალაქეებისთვის მიწის მიყიდვა, მაგრამ მეორე მხრივ, ძალიან მარტივი იყო შპს-ს დაფუძნება — ეს მხოლოდ 150 ლარი ჯდებოდა. უცხოელები შპს-ს აფუძნებდნენ და შემდეგ ეს უკანასკნელნი მიწას იძენდნენ. სულ რამდენიმე თვის წინ საკონსტიტუციო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო, რის მიხედვითაც უცხოელზე მიწის მიყიდვა დასაშვებია. ამით კიდევ უფრო მოხდება იმის სტიმულირება, რომ უცხოელებმა ქართული მიწები შეიძინონ. მითუმეტეს, რომ ეს მიწები ძვირადღირებული არ არის და მასზე ხელი ბევრს მიუწვდება. ჩინელების, ბურების, ინდოელების მხრიდან ინტერესი დიდია. როცა ქართველი გლეხი ხედავს, რომ სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკა არ გააჩნია და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას უცხოელებზე ჰყიდის, რა თქმა უნდა, უკმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია. უცხოელებზე მიწის შესყიდვა უნდა შეიზღუდოს. ასეთი რამ ქვეყნის აბსოლუტურ უმრავლესობაში შეზღუდულია.

**— რამდენად საფრთხის შემცველია ის, რომ საქართველოდან გასულ მოქალაქეებს უკან დაბრუნება აღარ შეუძლიათ, სამაგიეროდ კარი ღიაა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ესეც ხომ უწყობთ მათ ხელს აქ დამკვიდრებაში?**

— ჩვენი საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია პრინციპზე, რომლის მიხედვითაც ჩვენს მოქალაქეებს ძალიან ბევრ ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებით შეზღუდვები აქვთ დაწესებული. საქართველო, პირიქით, 90 დღემდე ვადით ძალიან ბევრი ქვეყნის მოქალაქეს საერთოდ ათავისუფლებს ვიზისგან. რიგი ქვეყნები, ჩვენთან შემოსასვლელად საერთოდ არ საჭიროებენ ვიზას. ძალიან გამარტივებული სავიზო რეჟიმი გვაქვს, რასაც დადებითიც აქვს და უარყოფითიც. დადებითია ის, რომ ტურისტები თავისუფლად ჩამოდიან. ასევე, ინვესტორებს ყოველგვარი ბარიერის გარეშე შეუძლიათ შემოსვლა თუმცა, მეორე მხრივ, მათ ასევე ადვილად შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების ხელში ჩაგდება და მესაკუთრეობა.

**— რა თანხები აქვს ამ ყველაფრით ხელისუფლებას „შეწოვილი“?**

— ასეთი გლობალური ციფრები ცნობილი არ არის. თუმცა, ცნობილია პრივატიზაციიდან ყოველწლიური შემოსავლები, ანუ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ჯამური მოცულობა ახლავს თან, რომელიც ყველაზე მეტი 2006-2007 წლებში იყო, როცა ბენდუქიძე აგრესიული პრივატიზაციის პოლიტიკას ატარებდა. მაგალითად, 2007 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ პრივატიზაციიდან შემოსავლების სახით მილიარდზე მეტი მიიღო. იმავე წელს ბიუჯეტის 33 პროცენტი ანუ ერთი მესამედი თავდაცვაზე და შსს-ს ორგანოების დაფინანსებაზე დახარჯა. ანუ ხელისუფლება წლების განმავლობაში გრძელვადიან აქტივს ჰყიდდა და ამ ფულს მოკლევადიან ღონისძიებებზე ხარჯავდა, რასაც უკუგება ნაკლებად ჰქონდა. ამიტომ ჩვენთან ქონება ნელ-ნელა ამოიყიდა და სულ უფრო მცირე ქონება რჩება და მეორეც — რაც უკვე გაყიდულია, იგი კერძო მესაკუთრეების ხელშია და სახელმწიფოს უკან ვეღარ დაუბრუნდება.



**თამარ შველიძე**

„საერთო გაზეთის“ დღევანდელ ნომერში გვსურს წარმოგიდგინოთ ადამიანი, რომელიც 2008 წლის 27 მარტს ე.წ. „ციხის ბუნტის“ დროს გარდაცვლილი 2 პატიმრის ადვოკატია და რომელიც „ვარდების“ ხელისუფლებამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მოსამართლის თანამდებობიდან გაანთავისუფლა.

მაშ, ასე, ჩვენი დღევანდელი სტუმარია აბაშის სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად ადვოკატი **მიტროფანე (მიტო) სტურუა**.

**— ბატონო მიტო, ე.წ. ციხის ბუნტის დროს გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ეს იყო ხელოვნურად შექმნილი ქაოსი, რომლის დროსაც ოფიციალური მონაცემებით 7 პატიმარი გარდაიცვალა...**

— მე ვერ გეტყვით ხელოვნური იყო თუ ბუნებრივი მაშინდელი ციხის ბუნტი, მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია, კერძოდ სახელმწიფომ, პატიმრების წინააღმდეგ გამოიყენა ჭარბი ძალა, რის შედეგადაც 7 პატიმარი გარდაიცვალა!

ექპერტების დასკვნით დადასტურებულია, რომ პატიმრებს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები ჰქონდათ, რის შედეგადაც ისინი გარდაიცვალნენ!

**— სხეულის რა მიდამოებში დაფიქსირდა ტყვიების კვალი? და აქვე, რამდენი ტყვია აქვთ მოხვედრილი გარდაცვლილ პატიმრებს?**

— ზოგს 2 ტყვია აქვს მოხვედრილი, ზოგს მეტი და ზოგსაც ერთი... რაც შეეხება იმას, თუ სად აღენიშნებათ პატიმრებს ნატყვიარები, ეს სასიკვდილო ჭრილობები მათ ზურგის და კეფის მიდამოებში აქვთ მიყენებული!

**— ე.ი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პატიმრები დახვრიტეს?**

— ჰო, შეიძლება, ასეც ვიფიქროთ... ამ 7 გარდაცვლილი პატიმრიდან მე ორის ადვოკატი ვარ. ესენია ზურაბ კუხალაშვილი და არსენ ბუხრაშვილი. ამ პიროვნებების მშობლებისგან მე ბუნტიდან 2 კვირაში მივიღე მინდობილობა და მივმართე პროკურატურას, რათა მათ ეცნოთ დაზარალებულად — დაზარალებული მხარე, ჩაეტარებინათ მიუკერძოებელი გამოძიება და დაესაჯათ დამნაშავეები, მაგრამ... პროკურატურამ მოგვწერა შემდეგი სახის წერილი, რომ: „გარდაცვლილი პატიმრები იყვნენ დამნაშავეები, აგრესორები, მათ წინააღმდეგ ძალა შესაბამისად იყო გამოყენებული და დაზარალებულად ვერ გცნობთო“.

**— ამ დასკვნამდე პროკურატურა გამოძიების მასალებით მივიდა თუ ეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერება იყო მათი მხრიდან?**

— მაგაშია სწორედ საქმე. პროკურატურამ ძიების მასალები არ გაგვაცნო, მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, არადა, კანონით მონიჭებული უფლებით, მათ ჩემთვის აუცილებლად უნდა ემცნოთ თუ რა პროცედურების მიხედვით აღგენდნენ ისინი გარდაცვლილი პატიმრების — კუხალაშვილის და ბუხრაშვილის ბრალეულობას და რატომ იყო მათ მიმართ ასეთი უკიდურესი ზომის გამოყენება საჭირო. ანუ პროკურატურისგან დაჟინებით ვითხოვდი მოეცათ ძიების მასალები, ე.ი. ამ დასკვნამდე პროკურატურა რის საფუძველზე მივიდა, გამიგეთ?

**— ვინ იყო მაშინ პროკურორი?**

— ზურაბ ადეიშვილი. იგი რესპუბლიკის პროკურორი იყო მაშინ. ამის შემდეგ მივმართე სასამართლოს დადგენილების გაუქმების შესახებ, მაგრამ სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამის



# მიტროფანე სტურუა:

# dadasturebulia, gardacvlil patimrebs cecxlsasroli iaraRiT hqondaT Wrilobebi miyenebuli...

შესახებ სააპელაციოში გავასაჩივრეთ და როგორც წესია, დავიცავით ყველა მოთხოვნა, საქართველოში გავიარეთ ყველა ინსტანცია და მხოლოდ ამის შემდეგ გადავაგზავნეთ საქართველოში. გავიარეთ ყველა ინსტანცია და მხოლოდ ამის შემდეგ გადავაგზავნეთ საქმე სტრასბურგის სასაართლოში.

**— სასამართლომ რა მოტივით არ გცნოთ, უფრო სწორად კი რა მოსაზრებებით არ ცნო თქენი დაცვის ქვეშ მყოფები დაზარალებულად?**

— სასამართლომ ძალიან მშრალად და მოკლედ განაცხადა, რომ ვერ გცნობთ დაზარალებულ მხარედო და როგორც უკვე მოგახსენეთ, რადგან საქართველოში გამორიცხული იყო სიმართლის დადგენა, ამიტომ მივმართეთ სტრასბურგს! არადა, როგორც ფაქტი მეტყველებდა, უხეშად იყო დარღვეული პატიმრის სიცოცხლის უფლება, სახელმწიფოს მხრიდან ჭარბი ძალა იქნა გამოყენებული და სტრასბურგის სასამართლომ სწორედ ამ კრიტერიუმების უხეშად დარღვევის ფაქტზე, ჩვენს მიერ გადაგზავნილი სარჩელი მალევე მიიღო წარმოებაში განსახილველად. ანუ, ჩვენ ჩვენს სარჩელში მკაფიოდ მივუთითეთ, ვთხოვეთ სტრასბურგის სასამართლოს რომ საქართველოს მხარე ეცნოთ დამნაშავედ, ამ პატიმრების სიცოცხლის მოსპობაში!

**— ბატონო მიტო, თუ შეიძლება დამიკონკრეტეთ, როდის შეიტანეთ სარჩელი სტრასბურგში და ვინ მიიღო იგი კონკრეტულად?**

— ჩვენი სარჩელი მალევე 2007 წლის 27 იანვარს გავაგზავნეთ, და საქმე მიიღო თეა წულუკიანმა, რომელიც მაშინ სტრასბურგში მუშაობდა.

ამის შემდეგ დაახლოებით 6 თვეში ჩვენს საქმეს მიანიჭეს პრიორიტეტი და (მინდა გითხრათ, რომ ასეთი რამ ასე სწრაფად არ ხდება ხოლმე) სტრასბურგმა დაიწყო მოქმედება, რის შემდეგაც საქართველოს მხარეს გადმოუგზავნეს შეკითხვები პაუხის გასაცემად. აღმოჩნდა, რომ, საქართველოს მხარემ მათ შეკითხვებს პასუხი კი გასცა, მაგრამ ამ პასუხებში ისევ ჯიუტად მჭირდებოდა, საქართველოში ჩვენთვის გაცემული პასუხები, რაც მდგომარეობს შემდეგში, რომ ისინი ჩვენ მხარეს დაზარალებულებად კვლავ არ ცნობდნენ, ასე რომ საქართველოში ჩატარდა გამოძიება, რომლითაც დადგინდა შემდეგი — დაზარალდა ციხის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პატიმრების მხრიდან მოხდა მათზე თავდასხმა და ა.შ. ე.ი. ქართული მხარე სტრასბურგის სასამართლოს იგივეს უმეორებდა, რასაც ჩვენ, მაგრამ აქ არის ერთი სერიოზული ლაფსუსი, კერძოდ თუკი საქართველოს პროკურატურამ მართლაც ჩაატარა მიუკერძოებელი გამოძიება, მაშინ რატომ არ გაგვაცნეს ეს მასალები ჩვენ?! აქვე, მოგახსენებთ იმასაც, რომ სტრასბურგის სასამართლომ, ქართული მხარის პასუხები, ჩვენც გადმოგვიგზავნა და შეგვეკითხა — აი, ეს არის მათი პასუხი და როგორია ამ შემთხვევაში, თქვენი პოზიციაო? ჩვენ, რა თქმა უნდა, კვლავ ვაუწყეთ, მათ, რომ ვრჩებოდით ჩვენს პოზიციაზე, არ ვენდობოდით და არ გვაკმაყოფილებდა ქართული მხარის მიკერძოებული გამოძიება და რადგან ისინი არ აღიარებენ თავიანთ ჩადენილ დანაშაულს, ამიტომ გთხოვთ გამოიტანოთ გადაწყვეტილება, ცნოთ ქართული მხარე (ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა) დამნაშავედ და მისცეთ პასუხისგებაში!

**— ვინ იყო მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი?**

— ვანო მერაბიშვილი!

**— სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი?**

— ბაჩო ახალაია, რესპუბლიკის პროკურორი კი ზურაბ ადეიშვილი.

**— ბატონო მიტო, მე თავშიც გკითხეთ და ახლაც გეკითხებით — პატიმრებს ზურგის მიდამოებში რომ ჰქონდათ ტყვიები მოხვედრილი, ეს გარკვეულ ეჭვებს არ აღძრავს?**

— რა გარემოებებსა და რა ვითარებაში მოხდა ეს ყველაფერი, მიუკერძოებელ გამოძიებას უნდა დაედასტურებინა, ქალბატონო, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ ახლო-მახლოსაც კი არავინ გაგვიკარა... სხვათა შორის, ჩვენს მიერ გადაგზავნილ ამ საქმეზე, ამას წინათ ქალბატონმა წულუკიანმაც ისაუბრა...

**— გავიდა 6 წელი... არ გეჩვენებათ, რომ ცოტა დაუგვიანდა სტრასბურგს ვერდიქტი?**

— მათ მიერ რამდენიმე თვის წინ გამოგზავნილი წერილი, სადაც გარკვევით წერია, რომ აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული იქნება 2012 წლის ბოლომდე.

**— ე.ი. თქვენ დღე-დღეზე ელოდებით ამ გადაწყვეტილებას, ხომ?**

— დიახ, ასეა...

**— პროცედურულად, როგორ არის, მხოლოდ თქვენ გადმოგიგზავნიან აღნიშნულ გადაწყვეტილებას, თუ?**

— არა, ყველას, ე.ი. პროკურატურასაც, მთავრობასაც და მეც. ეს გადაწყვეტილება მათ ვებ-გვერდზეც გამოქვეყნდება მაშინვე...

**— ბატონო მიტო, თუ სწორად მიგიხვდით, მაშინდელი ჩინოვნიკების ბრალეულობის დამტკიცებას ითხოვთ და რა მითხარით, იცით? ბაჩო ახალაიას ბრალეულობა, ზურაბ ადეიშვილის და ვანო მერაბიშვილის ბრალეულობას, სტრასბურგის სასამართლო როგორ გამოკვეთავს? ანუ, თქვენი სარჩელის საფუძველზე, მათი დანაშაული ცხადი როგორ გახდება?**

— როგორც უკვე მოგახსენთ, ჩვენ სტრასბურგისგან ვითხოვთ, რომ პატიმრების მიმართ ჭარბი ძალის გამოყენების გამო, საქართველოს ხელისუფლება სცნონ დამნაშავედ. თუკი სტრასბურგიდან დადებით პასუხს მივიღებთ, მაშინ საქართველოს დღევანდელი მთავრობის დავალება ჩაატაროს ხელახალი გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე, გამოიძიონ, ვინ მიიღო ჭარბი ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, ვინ გასცა ბრძანება და ვინ მოუსპო სიცოცხლის უფლება პატიმრებს, გამიგეთ? შეიძლება მცირე დეტალია, მაგრამ მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ზურაბ კუხალაშვილს მისჯილიც კი არ ჰქონდა...


EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ბ-ნ მიტროფანე სტურუას
გლდანის მასივი, V მ/რ
VI კორპ., ბინა 125
0107, თბილისი, საქართველო
0107, Tbilisi, GEORGIE

THIRD SECTION

ECHR-LE1.3R
GBI/msh

14 March 2012

Application no. 41891/07
Chitashvili v. Georgia

Application no. 45729/05
Stouroua v. Georgia

Application no. 8938/07
Kukhalashvili and Gordadze v. Georgia

Dear Sir,

I acknowledge receipt of your letter of 28 February 2012.

As regards the applications nos. 41891/07 and 8938/07 the Court will resume their examination in the course of 2012.

As for the application no. 45729/05 it is not possible to provide you at this stage with a precise date on which the Court will resume its examination of the admissibility of the above application.

You will be informed in due course of any decision taken by the Court in regard to the applications.

Yours faithfully,
For the Registrar

Giorgi Badashvili
Legal Secretary

**— ეს, როგორ?**

— მოგახსენებთ, მაშინ ორთაჭალის ე.წ. ციხე, საგამომძიებო იზოლატორი გახლდათ და გარდაცვლილი კუხალაშვილისთვის სასამართლო ვერდიქტი სასამართლოს ჯერ გამოტანილი არ ჰქონდა!

**— რაზე იყო დაჭერილი?**

— ქურდობაზე... იგი 24 წლის იყო მაშინ!

**— მეორე პატიმარი არსენ ბუხრაშვილი?**

— ის ხულიგნობაზე იყო დაკავებული... 22 წლის გახლდათ.

**— იცით, რა მაინტერესებს? ვთქვათ სტრასბურგიდან დადებითი გადაწყვეტილება გამოიგზავნა და საქართველოს მხრიდან ხელახალი გამოძიება მოითხოვეს აღნიშნულ საქმეზე. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა გამოიძიოს ეს ყველაფერი და სად არის იმის გარანტია, რომ ამჯერად მაინც მიუკერძოებლად იქნება წარმოებული გამოძიება?**

— მწამს, რომ ახალი ხელისუფლება ხელახალ გამოძიებას აუცილებლად ჩაატარებს და მე დიდი მოკრძალებით მოვუწოდებ მათ, რომ აღნიშნული საქმის გამოძიება მათ არა მარტო ბაჩო ახალაიას ბრალეულობამდე მიიყვანს, არამედ სხვა მაღალი თანამდებობის პირებამდეც! ანუ, ძალის გადამეტებისას ახალაიამ ვისი ბრძანება შეასრულა, ამ გამოძიებით აუცილებლად დადასტურდება. მე ვიდრე სტრასბურგიდან საბოლოო გადაწყვეტილება არ მოვა, მეტს ვერაფერს დავამატებ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ხელახალი გამოძიების ჩატარება მოსთხოვა ქართულ მხარეს სტრასბურგმა, ამათმა, ე.ი. ძველმა ხელისუფლებამ არ ჩაატარა. მაგრამ დღეს სულ სხვა მთავრობა ჰყავს საქართველოს და მჯერა, ციხის ბუნტის და სხვა 7 საქმეზე, რომელიც მე სტრასბურგში გავასაჩივრე, მალე ყველაფერი ცხადი გახდება.

**— რა საქმეებია დანარჩენი, თუ საიდუმლო არ არის?**

—გახსოვთ „უცნობი“ პოლიციის სამმართველოს ღობეზე, რომ გადახტა და იქიდან რეზინის ტყვიები დაუშინეს ხალხს? ამ ფაქტის დროს 2 ადამიანმა თვალი დაკარგა. მაშინაც ჭარბი ძალა გამოიყენა ხელისუფლებამ და ამის გამო მოქალაქე დავით ჩანტლაძემ მხედველობა დაკარგა. ხოლო ზვიად ძიძიგურს შუბლის არე ჰქონდა დაზიანებული, სხვათა შორის ჩანტლაძესთან ერთად ზვიად ძიძიგურის ადვოკატიც მე ვარ სტრასბურგში. გახსოვთ რიყეზე კერძო საკუთრებები წაართვეს მოქალაქეებს, მაშინ დაზარალთა მოქალაქე ციცინო ბოჭორიშვილიც. დღეს ამ საქმესაც სტრასბურგი იძიებს. გადავაგზავნი და ვასაჩივრებ პატიმარ დემურ ანთიას საქმეს რომელსაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჩაუდეს. განხილვის საგანია რევაზ კლდიაშვილის საქმე, რომელიც აწამეს რუსთავის მე-6 საპყრობილეში. ასევე სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი მაქვს დაზარალებული მალხაზ ჩიტაშვილის საქმე, რომელსაც გააჩნდა მიწის ნაკვეთი გლდანის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე და როცა სამედიცინო დაწესებულება საპატიმროდ გადააკეთეს ამ „რეკონსტრუქციას“ შეეწირა მალხაზ ჩიტაშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთი. ნაკვეთი დღესაც ჩიტაშვილის სახელზეა გაფორმებული. ვითხოვთ შესაბამის კომპენსაციას, რასაც დღემდე ვერ მივაღწიეთ. ეს არჩევნები, სტრასბურგს ჩაბარდა 2010 წელს და 2009 წელს. ასე, რომ ამ საჩივრებზეც გელოდები პასუხს...

**ირინე გოგოლაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# specrazmis Sevardna yvela ubanze igegmeboda, magram masiuri areulobis mowyoba ver gabedes, radgan icodnen, am SemTxvevaSi rusuli jari Tbilisisken daiZreboda



**როგორც „საერთო გაზეთს“ სანდო წყარომ აცნობა ხაშურის მსგავსი ინციდენტები, როდესაც სპეცრაზმი საარჩევნო უბანზე შევარდა და დაარბია, მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმებოდა, თუმცა ველარ გაბედეს. როგორც „საერთო გაზეთს“ სანდო წყარომ აცნობა, ახალგორში მდგომ რუსეთის ჯარს ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან მობილიზებული ჰყავდა ჯავშანტექნიკა და მასიური დარბევის დაწყებების შემთხვევაში, თბილისისკენ დაიძვრებოდნენო.**

**გვესაუბრება საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი.**

— საქართველოს ხელისუფლებას მართლაც გეგმავდა პროვოკაციის მოწყობას და ეს პოლიციელიც იმიტომ დაიჭირეს. ლაფანყურის სისხლიანის სპეცოპერაციაც არჩევნებს უკავშირდება, ესეც პროვოკაციისთვის იყო გამიზნული. ალბათ, გეხსომებათ, სანამ ეს ინციდენტი მოხდებოდა, ერთ ღამეს ცხინვალის მიმართულებით სროლები ატყდა (სანდო წყაროს ინფორმაციით, ამ ე.წ. ოპერაციის დროსაც სამი ქართველი ძალოვანი დაიღუპა, თუმცა ხელისუფლებამ ეს ფაქტი არ გაახმაურა — მ.ს.). ამის შემდეგ კომპრომატების ომი დაიწყო, ამომრჩევლებზე რა ძალადობაც ხორციელდებოდა, კარგად ვნახეთ. საზოგადოებამ ბევრი რამ ბოლომდე არ იცის. ღამღამობით, ასე ათი საათის შემდეგ ოჯახებში 1000-ლარიანი ვაუჩერები და კონვერტებით ფული მიჰქონდათ, 200, 500, 1000 ლარის ოდენობით, ზოგს დასაქმებას პირდებოდნენ, ზოგსაც აშინებდნენ. მარნეულის რაიონის ერთ-ერთ აზერბაიჯანულ სოფელში ოპოზიციურად განწყობილ ადგილობრივ მცხოვრებს მამა გარდაეცვალა. დასაფლავებაზე ვინც მივიდა, ყველა დაიჭირეს. ხელისუფლება ისეთ გარემოს ქმნიდა, რომ ოპოზიციონერების მიმართ თანაგრძნობა კი არა, მათთან ნაცნობობაც სახიფათო იყო.

რაც შეეხება ხაშურის ინციდენტს, ეს ერთიანი გეგმის ნაწილი იყო, ყველა უბანსა და ოლქში, სადაც ოპოზიცია იმძლავრებდა (ნაციონალების აქტივისტები და კოორდინატორები ყველა თავისიანს, ვინც წლების განმავლობაში მათ აძლევდა, ხომ კარგად იცნობენ), იქ სპეცრაზმები უნდა შესულიყო. ხაშურის მსგავსი ინციდენტი ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთ უბანზეც, კერძოდ, კინოთეატრ „საქართველოს“ სიახლოვეს მოხდა. საღამოს 7 საათზე, ანუ როცა უბანი არცკი იყო დახურული, სპეცდანიშნულების რაზმი უნომრო სამარშრუტო მიკროავტობუსით მივიდა. როგორც ჩანს, მათ ინფორმაცია გადასცეს, რომ ბევრი უცხო ამომრჩეველი მივიდა, რომლებსაც წლების მანძილზე ნაციონალებისთვის ხმა არ მიუციათ. რამდენადაც ვიცი, იქ მარტო ამ უბნის მცხოვრებლები კი არა მთელი „ნახალოვკა“ გამოვიდა, სპეცრაზმელებს ავტომანქანიდან გადმოსვლის საშუალება არ მისცეს და სტვენით გააცილეს.



**— თქვენი აზრით, რატომ არ განხორციელდა ეს გეგმა, რუსი სამხედროების ფაქტორმაც ხომ არ ითამაშა გარკვეული როლი?**

— მოგეხსენებათ, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სააკაშვილი აშშ-ში იყო წასული, ხოლო იმავე პერიოდში გიგა ბოკერია მოსკოვში გააგზავნეს სერგეი ლავროვთან შესახვედრად. რამდენადაც ვიცი ლავროვმა ის არ მიიღო, თუმცა დიმიტრი მედვედევთან შეხვედრა მოახერხა. ამერიკელებმა გააფრთხილეს სააკაშვილი, რომ თუ ის არჩევნებს გააყალბებდა, ამას მოჰყვებოდა სამოქალაქო დაპირისპირება და რუსეთი ამ პროცესში აუცილებლად ჩაერეოდა. ამ შემთხვევაში, ამერიკის ხელძღვანელობა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იხსნიდა, სააკაშვილს პირდაპირ უთხრეს, ჩვენ ვერ დაგეხმარებითო. კრემლი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება გაკოტრებულია და გაყალბების გარეშე ნაციონალები ვერ გაიმარჯვებდნენ, ამიტომაც ელოდებოდნენ არჩევნების გაყალბებას და ხალხის შემდგომ რეაქციას. რუსები ქართული ოპოზიციისა და ხალხის ინტერესების დასაცავად კი არ იყვნენ მობილიზებული, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიზანი ნამდვილად არ იყო ნაცხელისუფლების დამხობა, მათ ის აფიქრებდათ, რომ მიხეილ სააკაშვილს კავკასიური ომი არ გაეჩაღებინა და ჩრდილო კავკასიაში არსებული ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო არ დაემძიმებინა.

**— ბატონო ზაალ, თქვენ ლაფანყურის სპეცოპერაციაც არჩევნებს დაუკავშირეთ, იქნებ ამ თემაზე უფრო კონკრეტულად გვესაუბრა?**

— ეს საკითხი ციხის ამბებით გადაფარეს, თორემ ეს ისეთი სკანდალი იყო, რომ ნაცხელისუფლება ამას გადაყვებოდა. როგორც ადრე გითხარით, დაღესტნიდან აქ არავინ გადმოსულა. ევროპიდან რამდენიმე ჩეჩენი ბიჭი თავად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩამოიყვანეს, დანარჩენები აქ ცხოვრობდნენ. მადლობა ღმერთს, რომ უკვე შესაძლებელი გახდა ობიექტური გამოძიების ჩატარება და სიმართლეს ფარდა აეხდება, მით უმეტეს, რომ იმ მებრძოლებიდან ოთხნი გადარჩნენ და ხვალ თუ ზეგ ისინი გამოძიებას ჩვენებას მისცემენ. არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ გარკვეულ ინფორმაციას მაინც გავამჟღავნებ. მე რამდენადაც ვიცი, საუბარი იყო წინასაარჩევნოდ კახეთის მხარეში ოპოზიციის ლიდერების მოტაცება-ლიკვიდაციაზე, სოფლებში ნიღბებით სიარულსა და ხალხის დაშინებაზე, არ არის გამორიცხული ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციაზეც იყო საუბარი, მაგრამ ამ ბიჭებმა ყველაფერზე უარი თქვეს და შესაბამისად, გასამრჯელოზეც უარი მიიღეს. კონფლიქტი ამის შემდეგ დაიწყო, მერე იყო ტყეში გასვლაც.



**— თუ ეს ამბავი ციხის სკანდალით გადაფარეს, გამოდის, თვითონ ხელისუფლება ყოფილა დაინტერესებული იმ ამაზრზენი კადრების გამომზეურებით.**

— დიახ, რადგან ამით ახალაიების კლანი მოიშორეს. ციხეებში არსებული საშინელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ისედაც ჟონავდა, ამიტომ მიხეილ სააკაშვილმა ისარგებლა და ზომაზე მეტად გაძლიერებულ ახალაიების დაჯგუფებას დაარტყა. არ ვიცი, ეს ვანო მერაბიშვილის ხელით მოხდა თუ სხვის, მაგრამ, არ მგონია, იქ მარტო მერაბიშვილის ინტერესი ყოფილიყო. ყველა ჯგუფის ინტერესი იყო უკონტროლო, სისასტიკით ცნობილი კლანის დაშოშმინება. ბოლოს ახალაიები ისე გაძლიერდნენ (როგორც ფინანსურად, ისე საზოგადოებრივად), რომ „მეფის კარზე“ პირობების კარნახი დაიწყეს, რაც არც „მეფეს“ მოწონდა და არც სხვა „ვეზირებს“. სააკაშვილის ინტერესიც იყო, თორემ მარტო ვანო მერაბიშვილი ამ კადრების გამოტანას და გახმაურებას ვერ გაბედავდა. ერთი სიტყვით, სააკაშვილს ორი კურდღლის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ლაფანყურის საკითხშიც ამხილა საზოგადოებამ და ციხის სკანდალმაც მძიმე დარტყმა მიაყენა, საბოლოოდ კი არჩევნებშიც მწარედ დამარცხდა. სად არიან ახლა ახალაიები ვერ გეტყვით, მაგრამ მაინც მგონია, რომ ყველა ის ადამიანი (ნაცმოძრაობის წევრი იქნება თუ მხარდამჭერი), რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი, ადრე თუ გვიან იმ ქვეყნებში გაიქცევიან, სადაც კაპიტალი აქვთ გატანილი და დაბანდებული. თბილისის აეროპორტში მაღალჩინოსანთა აქტიური მოძრაობაც ამას ადასტურებს. მათ მოპარული კაპიტალი, რა თქმა უნდა, არ უნდა შერჩეთ, მაგრამ ამაზე მკვეთრი პოზიცია ახალმა საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა დაიკავოს. ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა მოექცეს, არავითარი კერძო ინიციატივა და პიროვნული შურისძიება. გადაწყვეტილება ობიექტურმა პროკურატურამ და სასამართლომ უნდა გამოიტანონ. დამნაშავეები, სადაც არ უნდა გაიქცნენ, მათი მოძებნის პრობლემა არ არსებობს, ინტერპოლიც არ გვჭირდება, ყველგან მოვძებნით. უკვე მაქვს ინფორმაცია, რომელ ქვეყნებში გამოჩნდნენ, ჯერ არ მინდა ყველაფრის თქმა, მაგრამ სამ ქვეყანას მაინც დაგისახელებთ, ეს არის უკრაინა, ბელორუსია და ავსტრია.

**მანანა სუხიშვილი**

## ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს!

ხომალდს ჯერ ღუზა არ ჩაუშვია...

თქვენ წარმატებას, რომელიც საპარლამენტო არჩევნებით მოუპოვეთ მთელ საქართველოს, დიდი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. ჯაჭვის პერანგებით შემოსილი მთელი საქართველო უნდა შემოგერტყათ და დაიცვას "ქართული ოცნების" გამარჯვება.

ბატონო ბიძინა! თქვენ შესანიშნავი, ერთგული და ლამაზი ოჯახის პატრონი ბრძანდებით, გყავთ ჭკვიანი და კოპწია მეუღლე, უფლისგან გამორჩეული ნიჭით დაჯილდოვებული შვილები, ყველაზე უმცროსი მეოთხე შვილისთვის ეროვნული გმირის ცოტნეს სახელი დაგირქმევიათ. თქვენს მიერ აშენებული სამების ტაძარში, რომელიც თქვენ ქართველ ხალხს აჩუქეთ, ვნახე პატარა ცოტნე ივანიშვილი, ნამდვილ შემოფრენილ ანგელოზს ჰგავდა. ესეც უფლისგან დიდი მხილებაა . ამიერიდან თქვენი დიდი ოჯახია პატარა საქართველო.

თქვენი პოლიტიკური ხომალდი შემოსულია ნავსადგურის ყურეში, მაგრამ ღუზა ჯერ კიდევ არ ჩაუშვია. ჯერ კიდევ დიდი პრობლემები გვაქვს გადასაჭრელი!

თქვენი გამარჯვება, ბატონო ბიძინა, მთელი საქართველოს გამარჯვებაა, ამიტომ მთელი საქართველო უნდა დაუდგეს მოპოვებულს ერთგულ დარაჯად. დაიყენეთ გვერდით მთელი საქართველო ერთგული მეომრები, ქართველი ერი მზად არის ქვეყნის გადასარჩენად და ასაღორძინებლად ყველაფერი გააკეთოს.

ბედნიერები ვართ, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერი თქვენ არ გიღალატებთ და არც თქვენ უღალატებთ ქართველ ერს, ეს დიდი თანხვედრა უსათუოდ გააოცებს მსოფლიოს და აუხდენს ჩვენს ხალხს თქვენს მიერ ალთქმულ ოცნებასაც.

ბატონო ბიძინა, აამოქმედეთ მთელი ქართული ენერგია. ეს იქნება გამთლიანება ქართველი ერისა თაობებად გათიშულისა და დაქუცმაცებულისა იმ ხელისუფლების მიერ, რომლისგანაც თქვენ გაგვათავისუფლეთ.

ოხ, როგორი ბედნიერი, გაგვხადეთ.

ახლა კი მინდა დიდი ილიას ლექსის პირველი სტროფი გავიმეორო:

"ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?"

მადლობა მთელ ქართველი ხალხის სახელით,

**ლამარა გურული**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები ხელისუფლებაში კოალიციის მოსვლის შემდეგ და რას უნდა ველოდოთ მიხეილ სააკაშვილის გუნდისგან? „საერთო გაზეთს“ ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში კახა კახიშვილი ესაუბრა:**

**– ბატონო კახა, თქვენ საუბრობდით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად ემზადება.**

–„ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან პოლიტიკური კრიზისის შექმნის ნიშნები უკვე არსებობს. მაგალითად, ტელევიზიების ნაწილი, რომელიც რვა წლის განმავლობა-



„ქართულ ოცნებაშიც“ მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რა დაუპირისპირონ „ნაციონალურ მოძრაობას“, ამიტომ კოალიციის მხრიდანაც სერიოზული ოპონირება იქნება.

1 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნების გადატანა ვადის გახანგრძლივებას ნიშნავს.

ალბათ, საბოლოოთ მივიღებთ სიტუაციას, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 5 იანვარს დაინიშნება, რადგან საპრეზიდენტო მანდატი ხუთი წლით განისაზღვრება და არ გამოვრიცხავ, თუ „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში ორი მესამედი მოიპოვა კონსტიტუციაში ცვლილება მიიღოს და დანიშნოს 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები. ამასთან უახლოეს მომავალში უნდა ვიხილოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გაიხლიჩება მინიმუმ ორ პარტიად.

**– თქვენი აზრით, რატომ უნდა დადგეს დღის წესრიგში სააკაშვილის გუნდის რღვევის საკითხი?**

– მმართველი გუნდის წევრებს ერთმანეთთან გადასარევი ურთიერთობა არც ჰქონდათ. მითუმეტეს ახლა ერთმანეთს გადააბრალებენ არჩევნების შედეგებს და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ნაცმოძრაობა“ „ნაც.მოძრაობის“ სახედ რომ დარჩეს თუნდაც ათი წლის შემდეგ, არა მგონია, ვინმეს სურვილი გაუჩნდეს მათ მისცეს ხმა.

**– მაშინ რისი იმედი აქვს მიხეილ სააკაშვილის გუნდს?**

# kaxa kaxiSvili:
# vvaraudob, 2013 wlis 5 ianvars saprezidento arCevnebi gaimarTeba

ში საზოგადოებას ხუან კარლოსის ცხოვრებით აცხოვრებდა ახლა უკვე თოქ-შოუებზე გადასვლას გეგმავენ. სხვათა შორის, სააკაშვილის ოპოზიციის ძალა, რომელიც თავიდან ბოლომდე ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტებს აკონტროლებს. წილებს ფლობენ „თელასში“ „ყაზტრანსგაზში“, რამდენიმე დღის წინ „რუსთავი-2“-ის აქციების ნაწილი კეზერაშვილმა იყიდა და ყველა ვარიანტში ისინი შეტევით რეჟიმზე გადავლენ.

მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ ბევრი პრივილეგიით სარგებლობს და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია.



არჩევნებში დამარცხების სანაცვლოდ სააკაშვილმა მაქსიმალურად გაწელა ხმების დათვლის პროცესი და მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რაც შეიძლება მეტი მანდატით შესულიყვნენ პარლამენტში და რვა წლის განმავლობაში დაგროვილი ქონება როგორმე შეინარჩუნონ.

**– „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები როგორ შეძლებენ უკანონოდ მითვისებული ქონების შენარჩუნებას, თუ ივანიშვილი სამართლიან და დემოკრატიულ სასამართლოს აღადგენს?**

– სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებას ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება, რადგან, თავიდან ბოლომდე სისტემა ახალი კადრებითაა დასაკომპლექტებელი. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ოფშორულ ზონებს და მე-3, მე-4 პირზე აქვთ ქონება დარეგისტრირებული. რისი დაბრუნებაც უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება. ამ პერიოდს კი სააკაშვილის გუნდი „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტული მანქანის მუშაობაში გამოიყენებს.

**– მაშინ რას უნდა ველოდოთ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრიდან?**

– ერთია, რას გეგმავს პრეზიდენტის გუნდი, რამდენად ახდება და განხორციელდება მათი ჩანაფიქრი. დარწმუნებული ვარ,

– ის პერიოდი, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში აქვთ მაქსიმალურად ეცდებიან „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციისთვის გამოიყენონ. სააკაშვილის ოპოზიცია გამაგრებული იქნება ფულით, ტელევიზიითა და ტექნოლოგიებით. ვფიქრობ, შეცვლიან პარტიის სახელს, დააკომპლექტებენ ახალი ადამიანებით და ეცდებიან ამომრჩეველი როგორმე შეცდომაში შეიყვანონ. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ დეპუტატები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით პარლამენტში მოხვდნენ ბევრი „ქართულ ოცნებასთან“ ურთიერთობის დალაგებას შეეცდება. უფრო მეტიც, არ გამოვრიცხავ „ნაციონალების“ დეპუტატებმა ცალკე ფრაქცია შექმნან, არ შევიდნენ „ნაციონალების“ სახელით პარლამენტში და კოალიციასთან ითანამშრომლონ.

**– ახლო მომავალში მიხეილ სააკაშვილის გადადგომას არ უნდა ველოდოთ?**

– იმ შემთხვევაში, თუ 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები არ დაინიშნა, მაშინ სააკაშვილი პოლიტიკური კრიზისის შექმნით შეეცდება დაითხოვოს საკანონმდებლო ორგანო და გამორცხული არაა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთ დღეს დანიშნოს.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ტაქტიკას მიმართავს კოალიცია „ნაციონალური მოძრაობა“.

**მირანდა ნაბახტეველი**

# მსოფლიო ისტორიაში არ მეგულება ისეთი ჯალათი ქალი, როგორიც ხათუნა კალმახელიძე იყო

რა დამავიწყებს ციხეში ტყვეობაში მყოფმა ქალებმა 25 დღე რომ ვიშიმშილეთ, უკანონო განაჩენების გადახედვის მოთხოვნით და ამ აქციის შესახებ მაშინ ბუშის ადმინისტრაციაც კი ალაპარაკდა. ციხის ადმინისტრაცია მახსოვს, რა დღეში გვაყენებდა, ისეთი ზეწოლა გვქონდა, ისიც კარგად მახსოვს, პალიკო კუბლაშვილი მაშინ პარლამენტიდან ხელებს როგორ გვიქნევდა და ამბობდა: „ულტიმატუმის ენით ჩვენ არაფერს გავაკეთებთო“. გუშინ ტელევიზიით გამოვიდა და უტიფრად განაცხადა: „სა-



სამართლო დამოუკიდებელი, თავისუფალი უნდა იყოსო“ ისევ ნაციონალური ცინიზმი, სასამართლო, რომლის დროსაც ერთი გამამართლებელი დანარჩენი არ გამოსულა და ეს კაცი უტიფრად ამას ამბობს. ახლა მე ციხეგამოვლილი ჟურნალისტი ქალი ვამბობ ულტიმატუმის ენით, რომ თითოეული წინა ხელისუფლების წარმომადგენლის ქონება და მათი საბანკო ანგარიშები იქნას შესწავლილი და მათ პასუხი აგონ კანონისა და ხალხის წინაშე და სწორედ მათ მიერ მიღებული შეკრებითობის პრინციპით გასამართლდნენ ისინი, მათ ხომ მრავალი დანაშაულებრივი ეპიზოდი აქვთ, რომელიც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. და, თუკი ასე არ მოხდა, მე არ მინდა ისევ ვირტუალურ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც სამართალი შერჩევითი იქნება და სამართალი პურს არასდროს შეჭამს. ამ ხელისუფლების გამოისობით ბევრი ადამიანი ციხეში წამებით მოკვდა, ჯერ კიდევ როდის ვწერდი 21 წლის ლიკა ნატრიაშვილის წამების ფაქტზე, რომელსაც ატიტვლებდნენ კაცებში, ხელ-ფეხს უკრავდნენ გაჯიუტებაც ნატრიაშვილს ზეწრებით და მისივე ტანსაცმლით ოჭავდნენ, შესაბამისი ინექციებით აღუნებდნენ. ორმა დეპრესიაში ჩავარდნილს სცემდნენ, შემდეგ შიზოფრენიის იძულებითი მკურნალობის მიზნით ქვითირის ფსიქიატრიულ კლინიკაში გაამწესეს, სადაც გოგონამ თავი ჩამოიხრჩო. რამდენი ქალი გაგიჟდა ქალთა ციხეში არ ვიცი, აფხაზეთიდან ლტოლვილ გოგონას ლელა ნაჭყებიას რა ბედი ეწია, იგი სალსალამათი დააპატიმრეს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, ციხეში თავს აუტანელი შრომით ირჩენდა. ბოლოს ფსიქიურად შეიშალა, მთელი დღეები მღეროდა, ვინ მოსთვლის რამდენმა ქალმა დაკარგა ფსიქიკა და ჯანმრთელობა, რამდენი გულგრილობის და არაადამიანური პირობების შედეგად გარდაიცვალა. ვინც გადავრჩით, ოდესმე წელში ხომ უნდა გავსწორდეთ. კარგად ვხედავ, რომ გველეშაპი ჯერ კიდევ მოიზლაზნება, ბევრი ჩაყლაპა, ბევრი აღმოგვანთხია და ამონთხეულები 1 ოქტომბერს ფეხზე დავდექით იმიტომ, რომ სამართლიან ქვეყანაში ვიცხოვროთ და არა ისეთ ქვეყანაში, სადაც ციხის ადმინისტრაციის შეჭმული 12 მილიონი რომ გაეპრავებინათ, ქალთა ბუნტის პროვოცირება მოაწყვეს, ბუნტის უსამართლო სასამართლოზე უბედურ პატიმრებს დააბრალეს 12 მილიონი ზარალის სახელმწიფოსთვის მიყენება. მაშინ გაზეთ „ასავალ-დასავლის“ ფურცლებიდან ვკითხე მაშინდელი მინისტრს, შაშკინს, ორი ფანქარა და ერთი ფიცრული ბუტკა 12 მილიონი ღირდამეთქი? მისი ბრძანებით, უდანაშაულო ქალები აწამეს აღდგომა დღეს. გამოყენებული იქნა ელექტრო შოკი. სრულიად უდანაშაულო ქალებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. შემდეგ კი რუსთავის „კრიტში“ გადასახლებული ქალები ჩვენი ერის სულიერმა მამამ მოინახულა და შაშკინი მის ზურგს ამოფარებული ნაწამებ ქალებს გვათვალიერებდა – ცოცხლები ვიყავით თუ არა...

ბევრი მინისტრის მმართველობას მოვესწარი და გულწრფელი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მწამებელი და საზიზღარი მინისტრი, ხათუნა კალმახელიძე იყო. თვით ბაჩო ახალაიაც კი არ გამოირჩეოდა ქალი პატიმრების მიმართ ასეთი უსულგულობით. პატიმარ კაცებთან რას სჩადიოდა ის. ახალაიას შეეძლო პატიმარ ქალებთან დიალოგი, შაშკინის სტუმრობა ქალთა ციხეში ვიცით, როგორც დასრულდა, კალმახელიძესთან კი როგორ არ ვეცადეთ, რომ შეგვხვედროდა, იგი ციხეში ყოველთვის ფარულად დადიოდა და მას ერთი სასიკეთო ნაბიჯიც არ გადაუდგამს პატიმარი ქალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მისი მინისტრობის დროს კატასტროფულ ციფრს მიაღწია პატიმრების სიკვდილიანობამ. იგი იმდენად მწამებელი ქალი იყო, რომ 2011 წლის დადგომამდე სულ რაღაც 1 კვირა რომ იყო დარჩენილი, ისე აგვყარა მატროსოვის ციხიდან და რუსთავის დაუმთავრებელი ციხის სველ კედლებში ჩაგვამწყვდია ახალი წლის დღეებში ისე რომ ჩვენმა პატრონებმაც კი არ იცოდნენ სად ვიყავით, რადგან ტელეფონით დაკავშირებაც კი აგვიკრძალეს, რომ არა გაბედული და უშიშარი პატიმარი ქალის პროტესტი ახალი წლის ღამესაც არ გამოგვახედებდა საკნებიდან. მე არ მეგულება მსოფლიოს საპატიმრო ისტორიაში კიდევ ასეთი მეორე მწამებელი ქალი როგორიც ხათუნა კალმახელიძე იყო. მე ამის შესახებ ციხის კედლებიდანაც ვწერდი, მარტო ახლა კი არა, როცა „გემიდან ნაპირზე“ გადმოვედი, მაგრამ მაშინ საზოგადოებამ სამწუხაროდ, დუმდა.

ჩემთვის გაუგებარია, საზოგადოების რისხვა მარტო ახალაიების მიმართ რატომ არის გამძაფრებული? დაუვიწყოთ გიორგი ბარამიძეს აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა? დაუვიწყოთ მერაბიშვილს მინისტრობის პერიოდში რამდენი ახალგაზრდის ფიზიკური ლიკვიდაცია მოხდა, არაფერს ვამბობ გირგვლიანის ტრაგედიაზე. დაუვიწყოთ ქალბატონ კალმახელიძის წამების ფაქტები და ცოცხებით კაცების გაუპატიურება. კუბლაშვილს ვაპატიოთ, რომ მისი თავმჯდომარეობის დროს სასამართლო ხელისუფლება დასამარდა? და კიდევ სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებს რაც ჩაიდინეს ამ წლების მანძილზე?!



ყველაფერი ვაპატიოთ? ისინი კიდევ რა ახალ ცოდვას დაგვატეხენ თავზე კაცმა არ იცის.

ბოლოს, ნათქვამია, სოფელს ერთი გიჟი უნდა ჰყავდესო, მაგრამ ეს გიჟი მაინცდამაინც ისევ თვალში უნდა გვეჩხირებოდეს, ხომ შეიძლება თავის ჯარისკაცებიანად წავიდეს ჩვენი ცხოვრებიდან?!

თუ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ძმანი მისნი არ მიდიან და არც იმალებიან, ძმები ახალაიები, ჭაკუები, მეგის ქარდავა და კიდევ ბევრი მიმალვაში რატომ არიან?..

**ნანა სულავა**

**„საერთო გაზეთი“ იწყებს პუბლიკაციათა ციკლს იმ დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც 2003-2012 წლებში ჩადენილია საქართველოს ხელისუფლებისა და უშუალოდ პრეზიდენტის მონაწილეობით.**

# 2003-2012 wlis sisxliani qronikebi

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადება: „სვანეთში ჩატარებული იქნა სპეცოპერაცია და კრიმინალური დაჯგუფებების დაკავება ჩემი დავალებით მოხდა. კრიმინალური ჯგუფი უკვე ნამდვილ ბანდად ჩამოყალიბდა და 12 წლის განმავლობაში ატერორებდა სვანეთს. მათ ათეულობით ადამიანი ჰყავთ მოკლული. წინა ხელისუფლებამ მათი დაკავება ვერ შეძლო...“

კვლავ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (14 ივლისი, 2010 წელი 14.00 ტელეკომპანია „იმედი): – „მინდა მოვიკითხო ქართველი ბანდიტები, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ მესტია, რატომღაც, მათ ეკუთვნით. ჩვენ თავის დროზე განვახორციელეთ იქ სპეცოპერაცია, ვერტმფრენებიდან ავაფეთქეთ კოშკი. ამ ოპერაციაში მენანება ის, რომ კოშკი აფეთქდა, იმიტომ, რომ ბანდიტები ჩემში სიბრალულს არ იმსახურებენ, ვინც იქ იყო და ვინც დაპატიმრებული იქნა, პირდაპირ რო ვთქვა, თუმცა, ყვე-



ლა ადამიანი მეცოდება, რა თქმა უნდა, ეს იყო ის აფრასიძე...“

ბატონმა პრეზიდენტმა არ დააზუსტა, ვინ იყვნენ ის ბანდიტები, რომელთა გასანადგურებლადაც ავიაცია გახდა საჭირო და არც ის, ვერტმფრენების გარდა რა შეიარაღება და რა ძალა იქნა გამოყენებული, სხვათაშორის, არც ის, რომ ამ ე.წ სპეცოპერაციაში უცხო ქვეყნის სამხედრო პირებიც იღებდნენ მონაწილეობას!

აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ: შს სამინისტროს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი, შს სამინისტროს შინაგანი ჯარის სპეცრაზმი, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სპეცრაზმი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა და ამავე დროს სპეცრაზმი, მთლიანობაში 1000-მდე ნიღბიანი, რომელთა შეიარაღებაში იყო: ავტომატები, ყუმბარმტყორცნები, „მუხები,“ და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნები; სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე: 12 ვერტმფრენი–შვეულმფრენი, ამერიკული „იროკეზები“ და რუსული Ì ÈÏ -8.

მკითხველს, რომელსაც, თუნდაც იმიტომ, რომ 30 წლის წინ ფიზიკურად არ არსებობდა ამქვეყნად, ანდა, სულაც მცირეწლოვანი იყო (როგორც სპეცოპერაციის მონაწილენი), პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებაზე აუცილებლად გაუჩნდება კითხვა, განა რა კრიმინალური ჯგუფი იყო ასეთი მოხელთებელი, რომელიც შემდეგ ბანდად ჩამოყალიბდა, და საბჭოთა მილიციამაც ვერ შეძლო მისი გაუვნებელყოფა, მით უმეტეს, რომ ათეულობით ადამიანი ჰყოლიათ მოკლულიო.

დოდო სიდიანი-აფრასიძე: – „იმიტომ მოგვივიდა ეს ყველაფერი, რომ ასე აწყობდათ...“

ვის აწყობდა? – ბუნებრივია, დაისმის კითხვა, თუმცა მივყვეთ მოვლენებს.

ანზორ გაბიანი, იურისტი, სოციოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, საზოგადოება „ლემის“ ნაფიც მსაჯულთა საბჭოს წევრი, დამნაშავეობის პრობლემების მკვლევარი და არაერთი მონოგრაფიისა და მეცნიერული ნაშრომის ავტორი, 2000 წელს, როდესაც რეგიონალური მოწყობის შესახებ ესაუბრებოდა „მართალი გაზეთის“ ჟურნალისტი, მის შეკითხვაზე, „იქ ხომ აფრასიძეები არიან, რომელთა მოხელთება მთავრობამ ვერ შეძლო?“ ამგვარი პასუხი გასცა: – „უფროსს, დანაშაული, თითქმის 40 წლის წინ აქვს ჩადენილი. მართალია, აფრასიძეების შემორიგების თუ დატყვევების ყველა მცდელობა დღემდე უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისინი მოსახლეობის ძარცვას არ მისდევენ და თავისებური გაგებით, მშვიდობიან ცხოვრებას ეწევიან, ამიტომ, მათი დაპატიმრების შემდგომი მცდელობა, მე არა მხოლოდ უპერსპექტივოდ, არამედ, უაზროდაც მეჩვენება. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი ამნისტია გამოვიდა ამ წლების მანძილზე, ამიტომ, როგორ არასტანდარტულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს მათი ყოფა, ვაცადოთ მათ მშვიდობიანი ცხოვრება.

მე მეჩვენება, რომ ჭკვიანი ხელისუფლება, აფრასიძეების ოჯახს დიდებულად გამოიყენებდა „ოსტრიე ოშუშენიეს“ მოყვარული უცხოელი ტურისტების მოსაზიდად, რომლებიც დიდ ფულს გადაიხდიდნენ ამგვარი არაორდინალური ყაჩაღების გასაცნობად. მე არ ვიცნობ აფრასიძეს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ის მეტად საინტერესო პერსონაა ჟურნალისტისთვის, მწერლისთვის, მასზე კარგი წიგნი დაიწერება, ხოლო საზოგადოებისთვის, ის ნამდვილად არაა საშიში...“

ანზორ გაბიანის სიტყვები ჩვენ დღეს გავიხსენეთ, თორემ ხელისუფლებამ „ჭკუა“ იხმარა და ლეგენდად ქცეული აფრასიძეების ოჯახი ტურისტების გასართობად კი არა, სათავისოდ გამოიყენა, თუმცა რა სახით და როგორ, თანდათანობით განვავრცოთ.

ვახტანგ ჯაფარიძე, წარსულში სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსის I მოადგილე, პოლკოვნიკი: – „პატივცემულმა“ ბარამიძემ (შსს მინისტრი აფრასიძეებზე განხორციელებული სპეცოპერაციის დროს-მ.ჭ) განაცხადა ტელევიზიით, არტილერიით გვიწევდნენ წინააღმდეგობასო, რა არის ამოღებული ნივთმტკიცების სახით?

მე კავშირები მაქვს და ვიცი, რომ როცა ტყვიების წვიმა წამოვიდა, ევგენი აივანზე ხელებაწეული გავიდა დაჭრილი. ორ ძმას დაადეს ბორკილები, მესამე კი, ბორკილებდადებული, უირაღო ბიჭი ხალხის თვალწინ დახვრიტეს. ბორკილბდადებული! მე სამამულო ომში, ფრონტზე ვიყავი, „რაზვედჩიკი,“ ასეთი რამ არ მინახავს, ეს რა ოპერაციაა?!“

მათ, ვისაც „ვარდების რევოლუციამდელ“ საქართველოში მოუწია ცხოვრება, ახსოვთ ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში გადაადგილებისას, როგორ ნატრობდნენ, რომ მეტროს ჩაბნელებულ გვირაბში არ მოხვედრილიყვნენ დენის გათიშვის დროს.

„ენერგეტიკული კრიზისი“ – ასე ერქვა იმ დროს იმ საქმიანობას, რომელსაც სინამდვილეში სხვა სახელი უნდა დარქმეოდა.

კრიზისის მიზეზად ხან თვით საქართველოს მოსახლეობა სახელდებოდა, თითქოსდა იმის გამო არ იყო შუქი, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არ იხდიდნენ, ხან მეტეოროლოგიური ფაქტორები, ზაფხულში გვალვა, რაც წყლის დონეს ვითომ ისე დაბლა სწევდა, რომ შეუძლებელი იყო ჰესების მიერ ელქტროენერგიის გამომუშავება, ზამთარში ქარი, რომელიც თითქოსდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ კაბელებს წყვეტდა. თავდაპირველად, ხალხს სჯეროდა ამგვარი „მფრინავი ხალიჩის ზღაპრების,“ მაგრამ ნელ-ნელა ბურანიდან გამოსვლა რომ დაიწყეს, გაჩნდა ახალი მიზეზი, ამჯერად კრიმინალური დატვირთვის. ხმამაღლა და ოფიციალურად არავინ ამბობდა, მაგრამ როგორც საბჭოთა უშიშროებას სჩვეოდა, იმ სტილში გაავრცელეს ხმა, რომ, თურმე, რაღაც „სვანური დაჯგუფება“ აშანტაჟებდა „ენერგომამებს.“ ამას გარდა, გამოჩნდნენ სვანური გვარის ცალკეული პირები, რომლებიც, მათი საცხოვრებელი ადგილის თავზე მაღალი ძაბვის გადამცემი კაბელის მოშლას ითხოვდნენ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების გამო. ადამიანებმა, რომლებიც ოდითგანვე იქ ცხოვრობდნენ, უეცრად „აღმოაჩინეს,“ რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა რატომ გაიარა „იმ“ საფრთხემ, გაურკვეველი დარჩა.

ცოტა ხანში ხმა გავრცელდა, რომ დენის მოწოდებაზე პირდაპირ მოქმედებდნენ სვანი აფრასიძეები, რომლებიც, თურმე თუ დათქმულ დროს დათქმულ თანხას არ მიიღებ-



დნენ, რუსეთ-საქართველოს მთავარ დამაკავშირებელ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს გაწყვეტდნენ, ან ააფეთქებდნენ. გამოდიოდა ისე, რომ ვიღაც აფრასიძეები მართლაც ასრულებდნენ დანაქადნს და ვინაიდან რთული, მთაგორიანი რელიეფის გამო ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენას საკმაო დრო და ასიათასობით დოლარი სჭირდებოდა, ვისხედით უკუნეთში...

მოკლედ, პანკისიდან მარგოშვილით გვატერორებდა ვიღაც უხილავი, სვანეთიდან აფრასიძით, თუმცა განსხვავება ის იყო, რომ აფრასიძეები არსად გამოჩენილან, ამდენად, მათი იდუმალებით მოცული არსებობა უფრო იდუმალს ხდიდა მათივე არსებობას...

იმ უცნაურმა დამთხვევებმა, რომ ელექტროენერგიის გათიშვისთანავე არასამთავრობო ორგანიზაციების მობილიზებული აქტივისტები ყიჟინით მოაგორებდნენ მომარაგებულ საბურავებს გზის გადაკეტვის და კოცონის გაჩაღების მუქარით და „უუნარო მთავრობის“ გადაყენების მოთხოვნის მოტივით, რამდენჯერმე გამეორების შემდეგ, მოაზროვნე ადამიანებს კითხვა გაუჩინა, „კი, მაგრამ, საიდან იციან ამ ახალგაზრდებმა წინასწარ როდის განახორციელებენ „სვანური დაჯგუფების“ წევრები მორიგ დივერსიულ აქტსო?“



მაშინ ხმა გავრცელდა, რომ ახალგაზრდების მოძრაობის სულისჩამდგმელი ქარიზმატული მიშა სააკაშვილი იყო, თუმცა მას კი არ ჰქონდა რაღაც კავშირები ე.წ „სვანურ დაჯგუფებასთან,“ არამედ ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს გიორგი ბარამიძეს და იგი აწვდიდა ინფორმაციას მიშას.

ჭორი ჭორია, თუმცა მასაც აქვს არსებობის უფლება – თუ ჭორს გაყვებოდა კაცი, გამოვიდოდა, რომ მიშა არაფერ შუაში იყო, მაგრამ ვიღაცები კი აფეთქებინებდნენ თუ აზიანებინებდნენ საჭირო დროს ასევე ვიღაცებს იმ გადამცემ ხაზებს და ეს კარგად იცოდა სწორედ ბარამიძემ, თავის შუამავალშემსრულებლებიანად.

მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან მცირეოდენ ხანში ხალხის მიერ ენერგოდივერსიაში ეჭვმიტანილი გიორგი ბარამიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა და პრეზიდენტის ინაუგურაციის ორი თვის თავზე საჩვენებელი სადამსჯელო ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია მოაწყო ე.წ „სვანური დაჯგუფების“ წინაღმდეგ, რომელთა ვინაობაც ოჯახის წევრებით შემოიფარგლა: ასაკოვანი ევგენი აფრასიძე, მისი მეუღლე დოდო სიდიანი, გოჩა და ომეხ აფრასიძეები, შმაგი აფრასიძე მეუღლითა და მცირეწლოვანი შვილებით, რომელთაგან უფროსი 13 წლის იყო, უმცროსი 3 წლის...

გიორგი აფრასიძე, შმაგი აფრასიძის შვილი, რომელიც სპეცოპერაციის დროს 13 წლის იყო: – „მე და ბაბუას ერთ ოთახში გვეძინა, გვერდზე ოთახში ჩემი ბიძები იწვნენ. მეძინა და ბაბუამ რომ გამაღვიძა, ვერტმფრენის ხმა გავიგე, რასაც, დაახლოებით ერთ წუთში სროლაც მოჰყვა, სროლით შემოვიდნენ, პირდაპირ სახლს ესროდნენ. ბაბუამ თქვა, ბავშვი გაიყვანეთ სახლიდანო და თვითონ ხელებაწეული გავიდა აივანზე, ყვიროდა, არ ისროლოთ, ბავშვია სახლში, გნებდებით, გნებდებითო, ამ დროს ბაბუას უკვე ტყვია მოხვდა და დაეცა. გოჩამ დამიძახა, შემოდი სახლშიო და მეც შევირბინე. დაახლოებით ხუთი წუთი ისროდნენ გაბმით. ცოტა რომ შეჩერდა, ბიძაჩემმა, გოჩამ მითხრა – მეზობელთან გადაგიყვანო და ხელი მომკიდა. ჩვენს ზემოთ არის კოშკი, სადაც სპეცრაზმელები და სნაიპერები იყვნენ და იქიდან დაიწყეს სროლა. ჩვენ რომ გავრბოდით, ხის ბოძებია და იმას ხვდებოდა, ერთმა ტყვიამ შარვალში გამიარა. ბიძაჩემმა მეზობელთან დამტოვა და უკან გაბრუნდა ბაბუას სახლში, ეგება ცოცხალი გადარჩესო. სადაც ბიძიამ შემიყვანა, იმ სახლსაც სროლა დაუწყეს და იმ მეზობელმა მეორე მეზობელთან გადამიყვანა და იქიდან ვუყურებდით, რა ხდებოდა. ერთი ყუმბარა ესროლეს ბაბუას სახლს და წამებში ცეცხლი მოეკიდა მთელ სახლს... სროლები რომ დამთავრდა, ბაბუა არ ვიცოდი, სად იყო და მარტო დარჩენილს სახლში მინდოდა შესვლა, მაგრამ სპეცრაზმელები არ მიშვებდნენ. ბევრი ვეხვეწე და როგორც იქნა, შემიშვეს... მთელ ოჯახს აგინებდნენ, ეგ გინდოდათ და ეგ გაგიკეთეთ, თქვენი დედაო...

**მაია ჭელიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ჯემალ დავლიანიძე

### ჯაბა იოსელიანი („ომი დაიწყო... ხალხმა არ იცის სად წავიდეს“):

„ერთი სიტყვით, ომი გაჩაღდა. მის შეჩერებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება სამივე მხრიდან — ჩვენგან, აფხაზებისგან და რუსებისაგან. ვკრიბავ მხედრიონს. შეიარაღება სუსტია. საშოვნელია ჭურვები და ტყვიაწამალი. ვისგან? ისევ რუსებისგან... კიტოვანი და სიგუა არაფერს იძლევიან... ტელეფონით ველაპარაკები გენერალ სიგუტკინს. იგი მპასუხობს: „ჩვენ ომი არ გვინდა გაგრძელდეს, ამიტომ იარაღიან ხალხს იქით არ ვუშვებთ“. ვეუბნები, რომ „თქვენი საქმე არ არის, ჩვენ სად გავგზავნით იარაღიანს და სად — უიარაღოს“. ყურმილს ვუკიდებ... უნდა გავფრინდე თბილისში, დავარწმუნო შევარდნაძე, კიტოვანი, სიგუა და ყველა ძალოვანი უწყება, რომ მთელი ყურადღება დაეთმოს გაგრას. ერთი, რაშიც დავითანხმე კიტოვანი, რაშიც შევარდნაძეც დამეხმარა, არის ის, რომ 100 ავტომატს გავუგზავნი ახლად ჩამოყალიბებულ გაგრის ბატალიონს... ეშერაში, ლაბორატორიასთან შეტევა ჩაიფუშა. ამბობენ, ბრძოლაში რუსები ჩაერივნენო. თვით ყარყარაშვილს ვერ გაუგებ, ხან ერთს ამბობს, ხან — მეორეს. ვითომც არ გაუშვეს წინ, მაგრამ ვინ არ გაუშვა, ამას ვერ ამბობს. ესენი შეიძლება ყოფილიყვნენ ან შევარდნაძე, ან კიტოვანი... ამ ბოლო დროს (დაახლოებით 1997-1998 წ. — ჯ.დ.) შევარდნაძემ ერთი გასაოცარი რამ აღიარა: ელცინმა ტელეფონით ამიკრძალა ლაბორატორიასთან მიახლოება და წინ წასვლაო. კი, მაგრამ ამის შესახებ პრეზიდიუმის წევრებს, ან, საერთოდ, ხალხს ოთხი წლის შემდეგ უნდა გაეგო? (აი,რა ხერხებით მოქმედებს შევარდნაძე აფხაზეთში წამოწყებული ომის დროს. — ჯ.დ.)...

მოსკოვის შეთანხმებისამებრ შევარდნაძე თბილისში ნიშნავს აფხაზეთის ქართული მხარის კომისიას. თავმჯდომარედ — თენგიზ სიგუას. კომისია გოსდაჩაზე იკრიბება: თავმჯდომარე — თენგიზ სიგუა, მოადგილე ბორის პასტუხოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი კონდრატიევი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვორობიოვი... მთავარი საკითხია, რა პირობებში და როგორ უნდა შეწყდეს ცეცხლი. შემდეგ მოხდა ის, რასაც მე ვვარაუდობდი. გადაუდებელ საქმეზე, თენგიზ სიგუა, ოთხი დღით პარიზს მიემგზავრება. მე ჩამოვდივარ თბილისში. გაგრაში კვლავ ომია (ეს ყოველივე შევარდნაძის ოინებია! მას არაფრით არ სურდა საომარი მოქმედებები შეწყვეტილიყო აფხაზეთში. საჭირო იყო საქმის ბოლომდე მიყვანა. ამიტომაც თენგიზ სიგუა მოაშორა იქაურობას, კომისიის მუშაობა ჩაიშალა და ომი გაგრძელდა! — ჯ.დ.)... შევარდნაძეს კავშირი აქვს ყარყარაშვილთან, რომელიც ჯერ კიდევ სოხუმშია. გაგრაში ჩადის უკვე ისეთ დროს, როცა ქალაქი თითქმის ჩაბარებულია.

... შევდივარ შევარდნაძესთან. იგი წამოწითლებული ისმენს გია ყარყარაშვილის ისტერიულ ყვირილს, რომელიც ყურმილიდან გამოდის. შევარდნაძე უყვავებს: „აი, ჯაბაც აქ არის, ორ საათში სამასი კაცით თქვენთან იქნება. გია, არ გინდა რა, მაგისთანა რამეები...“

ყურმილს ვართმევ. მესმის: „დამტოვეთ, ხომ? გაგვყიდეთ, არა?“ ისევ შევარდნაძე აწყნარებს: „არ გინდა, შვილო, დაწყნარდი“.

„შვილო“ უშველის საქმეს? გავრბივარ აეროპორტში. იქ 250 მხედრიონელი უკვე თვითმფრინავში ჯდება (გია ყარყარაშვილი, რა თქმა უნდა, მართლაც გაიმეტა, გაყიდა და მიატოვა შევარდნაძემ, რადგან აფხაზეთის ავანტიურა ისე უნდა წაეგო, როგორმე რუსეთს და ქართველთა უსუსურობას დაბრალებოდა! — ჯ.დ.).

სოხუმის აეროპორტში არეულობაა. გაგრიდან და ლესელიძედან გამოყვანილმა ხალხმა არ იცის, სად წავიდეს, რა ქნან. აქვე არიან მეომრებიც.“

### ჯაბა იოსელიანი („შევარდნაძეს არ სცალია... იკარგება ჩვენთვის განკუთვნილი სამხედრო ქონება“):

„მივდივარ სოხუმში. გოსდაჩაზე. მთავარი ყურადღება გადატანილია ჯარის გამოყვანაზე... არადა, რას ნიშნავს,

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–42

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

როცა მტერი საშუალებას გაძლევს, დატოვო იქაურობა? სად მიდიხარ? 700 კაცი მთელი ჯარია. ასეთი მთაგორიანი ადგილია. გადი, დაიწყე პარტიზანული ბრძოლა... ჩვენ თუ ახლა იქიდან გამოვდივართ, მერე იქ შესვლა ძნელი კი არა, შეუძლებელი იქნება. სად არის კიტოვანი? თბილისშია. სად არის სამშვიდობო კომისიის „პრესტიჟული“ თავმჯდომარე სიგუა? საქართველოში საერთოდ არ არის! შევარდნაძე? გაგრის დაცემის შემდეგ, საღამოს, შევარდნაძე შეხვდა გენერალ კონდრატიევს. მაშინ მე ამას ყურადღება აღარ მივაქციე. ჩვენ ფაქტის წინაშე დაგვაყენეს.

რაღა აზრი ჰქონდა, შეხვდებოდა თუ არა რუსთა გენერალს... მაგრამ, ახლა, როცა სამი წელიწადი გავიდა გაზეთ „პარლამენტში“, რომლის რედაქტორი ერთი მლიქვნელი ვინმე, გია ლომაძეა, ძალიან საინტერესო ცნობამ გაიელვა (ეს გამოქვეყნებულია 1995 წლის ივლისის, აგვისტოს ან სექტემბრის ნომერში). გენერალ ავთანდილ ცქიტიშვილის მოგონებებში, სადაც შევარდნაძეს აქებს და ადიდებს, ერთი ასეთი პასაჟია: გაგრის დაცემის შემდეგ შევარდნაძე ვითომ იმ ღამესვე შეხვედრია გენერალ-პოლკოვნიკ კონდრატიევს და საკადრისი პასუხი გაუცია გაგრის ასე ვერაგულად დაკავების გამო. კონდრატიევს შეუთავაზებია: „მე ახლა შემიძლია ერთი რამ - მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით გაგრაში შევიყვანო ორი ბატალიონი „დეშებე“. ამაზე შევარდნაძე უფრო გაბრაზებულა და უთქვამს: „ეს იქნება ანექსია. ჩვენ ამას არ დავუშვებთ“. ეს მაგონებს შემდგომში სოხუმის დაცემასთან დაკავშირებულ ანალოგიურ მომენტს და ამიტომაც ვამბობ: აი, ეს არის სუფთა პოპულიზმი! რომელ ანექსიაზეა ლაპარაკი? რა, გაგრაში, გუდაუთაში, ან თუ გინდა სოხუმში, რუსეთის ჯარის ნაწილები არ დგანან? კაცი კისრულობს მოსახლეობის უსაფრთხოებას და შენ აქ რაღაც ქიმერულ პოლიტიკურ ამბიციებს აჰყოლიხარ? არ შეასრულებს? ვერ შეასრულებს? დავუშვათ! მაგრამ პასუხისმგებლობას ხომ იღებს? ეს არ უნდა გამოიყენო პრაგმატიკოსმა პოლიტიკოსმა? ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი, ახლა რომ არ წამეკითხა. ვერც დავიჯერებდი, იმიტომ, რომ ეს ვითარება კვლავ განმეორდა გრაჩოვს და შევარდნაძე-ყარყარაშვილ-ბათიაშვილის შეხვედრის დროს, რასაც მოჰყვა კიდევ უფრო ტრაგიკული შედეგები (ჯაბა იოსელიანს უკვირს და შევარდნაძის ღალატს, გამცემლობას, პოპულიზმს ადარებს, რასაც გაგრის მოსახლეობის ამოჟლეტა მოჰყვა! — ჯ.დ.).

ჩემთან მოდიან რუსი ოფიცრები, სპეციალისტები საჰაერო თავდაცვის დარგში, მთხოვენ ჩავერიო მათი ლიკვიდაციის საქმეში. იქნებ ჩვენც როგორმე შევინარჩუნოთ ეს მილიარდებად ღირებული დანადგარები, ან იქნებ სულაც მოსკოვთან მოვილაპარაკოთ, ჩვენ ხომ გვჭირდება საჰაერო თავდაცვა. შევარდნაძეს საამისოდ არ სცალია. საერთოდ, რუსებთან მოლაპარაკებისაგან თავს იკავებს. ის კომპლექსი, რომ იგი არ არის კრემლის აგენტი, ჯერჯერობით მაგრად მუშაობს. არადა, უთავბოლოდ იკარგება ჩვენთვის განკუთვნილი სამხედრო ქონება (შევარდნაძეს ევროამერიკელებისაგან რა დავალებაც აქვს მიცემული, იმას პირნათლად ასრულებს. მას აფხაზეთში ომის მოგება კი არა, წაგება აქვს განზრახული და რატომ დაელაპარაკება მოსკოვს, ანდა რუს ოფიცრებს, სამხედრო აღჭურვილობის შესაძენად? — ჯ.დ.).

... კვლავ ვხვდები შევარდნაძეს. დაწვრილებით ვიხილავთ აფხაზეთის საკითხს. მე ვურჩევ, დაუკავშირდეს რუსეთის პრეზიდენტს ელცინს და შესთავაზოს მოლაპარაკების დაწყება აფხაზთა მხარის თანდასწრებით, რაზეც მპასუხობს: „არა, ჯერ არა! ჩვენ რაღაც სამხედრო წარმატებებს უნდა მივაღწიოთ და მერე იოლი იქნება მათთან მოლაპარაკება“.

შევარდნაძე უკვე ომისა და ზავის საკითხშიც აღარ მენდობა. „ღირსეულად დავამთავროთ ომი!“- წამდაუწუმ გაიძახის.“

### ჯაბა იოსელიანი („მე–3 ბატალიონი გამოიქცა. მე–2 ბატალიონს ძლივს ვაკავებთ. სოხუმის შემოსასვლელი ღიაა“):

„... ამ ორი დღის წინ შევარდნაძე შეხვედრია რუსეთის თავდაცვის მინისტრს პაველ გრაჩოვს. „მითხრა, არაფერი შემიძლია, აფხაზებმა შეთანხმება დაარღვიეს, ახლა, თუ გინდათ, ორ დივიზიას შემოვიყვან და განვალაგებ გუმისთაზე, მერე დასხედით და მოილაპარაკეთო“. „მერე“ — ვეკითხები. „არაფერი, უარი ვუთხარი“. „რატომ?“ — „ყარყარაშვილი და ბათიაშვილი მახლდნენ. მათ თქვეს — თუ ეს მოხდება, ჩვენ გადავდგებით, ეს ანექსია არისო“.

... შევარდნაძე აქტივთან შეხვედრაზე ინფორმაციის სახით ჰყვება გრაჩოვის წინადადების შესახებ... თითქმის ყველანი ურჩევენ, რომ დათანხმდეს და დაუკავშირდეს გრაჩოვს. მე ვერ ვითმენ და ვამბობ: „ანექსია! ვითომც სოხუმში რუსის ჯარი არ არის? ან ბომბორაზე სულ ხევსურები დგანან?“ (შევარდნაძეს აშკარად არ სურდა არც აფხაზებთან მოლაპარაკება და არც რუსების დახმარებით მიღწეული მშვიდობა. მას, დავალებული ჰქონდა მის მიერვე გაჩაღებული ომის ესკალაცია და არა ჩაქრობა! — ჯ.დ.).

ჩემი რჩევით, ვითომც ხომ გადაწყდა არტილერიისა და ტექნიკის ახალ ათონში და მაჭარკაზე დაკონსერვება? რატომ არ მოხდა ეს? ვინ უგულებელჰყო ჩემი რჩევა? (ჯაბა იოსელიანი სულ ტყუილად, ყასიდად კითხულობს თუ ვინ გამოგვატანინა აფხაზეთიდან არტილერია და მძიმე ტექნიკა. იცის, განა არ იცის, ამას შევარდნაძის მეტი, ვერვინ ვერ შეძლებდა! — ჯ.დ.) ან ის რას ჰგავდა, სკოლებში რომ სწავლა აღვადგინეთ, ბავშვები და ქალები სოხუმში დავაბრუნეთ... სტალინი რომ სტალინი იყო, იმან მოახდინა ნახევარი ქვეყნის ევაკუაცია მოსახლეობის უშიშროების მიზნით...

მე-3 ბატალიონი გამოიქცა და სოხუმში პირდაპირი შემოსასვლელი ღიაა. მე-2 ბატალიონსაც ძლივს ვაკავებთ. — გვეუბნებიან ბრძანება მივიღეთ, პოზიციები იმიტომ დავტოვეთო. ვინ გასცა ბრძანება, ამას ვერ ვაზუსტებთ.

მივდივარ მთავარ შტაბში შევარდნაძესთან. აულაგებელ ლოგინზე წევს და მეუბნება: „მთელი ღამე არ მეძინა. ვფიქრობდი. გადავწყვიტე, ესენგეში შესვლას დავეთანხმო. სხვა გამოსავალი არაა“.

შევარდნაძეს, ამხელა გამოცდილების კაცს, განა არ უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთი თავის სასიცოცხლო ინტერესებს ასე იოლად არ მოეშვებოდა? მაშ რაღას ყოჩობ? მაშინ რაღად მინდა პოლიტიკური ლიდერი?

ახლა ერთი რამ დაგვრჩენია: რაც შეიძლება დიდხანს შევინარჩუნოთ სოხუმი და ამასობაში, რაკი ესენგეში შევდივართ, იქნებ რუსებმა თავი დაგვანებონ.

მთავრობის სახლში ჟიული შარტავაა თავისი ზოგიერთი თანამშრომლითა და დაცვით. შევარდნაძე აპირებს იქ მისვლას და ჟიულის წამოყვანას. ტელეფონით ვუკავშირდები: „ბატონო ჟიული! როგორაა საქმე?“ პასუხი წყნარია, რაღაც სასოწარკვეთილი ნიშნის მოგებით: „ისვრიან... აქ პირველ სართულზე არიან შემოჭრილი“... შევარდნაძე თავისი „ამერიკელებით“ — 50-კაციანი სპეცჯგუფით და ჩემი დაცვით მივეშურებით მთავრობის სასახლისკენ. მისადგომებთან ტყვიამფრქვევებიდან გვიხსნიან ცეცხლს. გადმოვდივართ მანქანებიდან, გასარკვევია, როგორ და საიდან სჯობს მივუდგეთ. სიბნელეში მოდიან და გვატყობინებენ, რომ გურამ ჯანიაშვილმა გამოიყვანა ჟიული შარტავა და ყველა, ვინც კი იყო მთავრობის სახლში, იქ აფხაზების მეტი არავინააო.“



### ჯაბა იოსელიანი („ბათიაშვილი, კვირაია თათბირობენ რუსებთან — რითი გაიყვანონ შევარდნაძე?“):

„ვბრუნდებით შტაბში. ჟიული არ ჩანს, არც სხვა ვინმე მისი გარემოცვიდან. ჯანიაშვილი გვარწმუნებს, რომ ყველა გამოიყვანა... (შევარდნაძემ მთავარი საქმე ჰქნა — სოხუმი ჩააბარა და ზემდგომებმა ურჩიეს, შესულიყო ესენგეში. ამ ეტაპზე მეტი ჯერხნობით საჭირო არ იყო. ჟიული შარტავა, როგორც ხედავთ, შეგნებულად მიატოვეს, რადგან მან უამრავი სიმართლე იცოდა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისა! ჟიული შარტავა იმ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელიც შევარდნაძეს არ აპატიებდა საქართველოს წინაშე ჩადენილ დანაშაულს. მის სიტყვას წონა გააჩნდა. ამიტომაც გაიმეტეს. არადა, მთელ საქართველოს ახსოვს სოხუმში შევარდნაძის ნათქვამი სიტყვები: მე სოხუმთან ერთად დავიღუპები, თუ საქმე მისჭირდებაო. ამის მაგიერ მან, სადღაც გაპარულმა და დამალულმა განაცხადა: საქართველომ დაიჩოქაო! არც მეტი, არც ნაკლები: საქართველომ დაიჩოქა! ეს სპეციალურად შერჩეული სიტყვებია, რომ თითოეულ ქართველს სისხლი გაეყინოს, შეშინდეს და მონურად დახაროს თავი. სამწუხაროდ, მხოლოდ მცირერიცხოვანმა ადამიანებმა აღიმაღლეს ხმა ამ საშინელი სიტყვების მთქმელის საწინააღმდეგოდ! როცა იგი თბილისს დაბრუნდა, მას საქართველოს მხსნელიც კი უწოდეს. ვინ უწოდა? ეს, მეგობრებო, თვითონვე გაარკვიეთ. აქსიომების გამო მე აღარ შევიწუხებ თავს! — ჯ.დ.).

შევარდნაძე გულრიფშია. დაცვა გამკაცრებულია. შევდივარ. სამნი არიან: შევარდნაძე, ბათიაშვილი, კვირაია. რუსებთან აქვთ რადიოკავშირი. თათბირობენ, რითი გაიყვანონ შევარდნაძე — თვითმფრინავით, ვერტმფრენით თუ გემით... შევარდნაძე, ბათიაშვილი, კვირაია და დაცვის ნაწილი მიდიან აეროპორტში... შევარდნაძე დილის ოთხ საათზე გაფრინდა... (კი არ გაფრინდა, მოღალატურად, ლაჩრულად გამოიქცა ფრონტის ხაზიდან, თანაც, რუსებს აბრალებდა აფხაზეთის დაკარგვას და ჯაბა კი ამბობს: გადასარჩენად — რუსებთან ჰქონდა რადიოკავშირიო! სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, ასლან აბაშიძემ ტელევიზიიდან განაცხადა — სოხუმიდან შევარდნაძის გამოყვანის ოპერაციას მე ვხელმძღვანელობდიო. ძალიან საინტერესოა ყოველივე! — ჯ.დ.).

შევუდექით დალის ხეობას. აქაურობაც მისახედია. თუ მერხეულით გადავიდნენ, სულ ადვილად დაგვეწევიან ამ დემორალიზებულ ბრბოს. შემდეგ წებელდა მოდის. აქამდე გზა თავისუფალი იყო. მერე კი უამრავი მანქანისა და ხალხის დინებაა. ახლა ვინღა გაიგებს, ვინ ლტოლვილია და ვინ უკუქცეული ჯარისკაცი“ (შევარდნაძემ სოხუმი ჩააბარა, მაგრამ, გეგმით აფხაზეთში ქართული მოსახლეობის გენოციდის გარდა, ეთნიკური წმენდაც ჩაატარა! სამასი ათასი სული ადამიანი აჰყარა მშობლიური მიწიდან და... უფრო უარესიც ჰქნა — დაახლოებით 280 000 კაცი პირდაპირ ზუგდიდისკენ გამოემართა, დაახლოებით 20-30 ათას კაცს კი შევარდნაძის შეიარაღებულმა ხალხმა გზა გადაუკეტეს, ზუგდიდისკენ აღარ გაუშვეს, ვითომც ზვიადისტები გაგძარცვავენო და საკენის უღელტეხილისკენ მისცეს გზა. ეს წინასწარი გეგმით განსაზღვრეს, უცხოელი და ქართველი ჟურნალისტები, ოპერატორებიც დაასწრეს ამ საშინელ დღეებს, როცა ჭუბერში და საკენში, თოვლში და ყინვაში, მოხუცები, ბავშვები, ფეხმძიმე ქალები და გზააბნეული ადამიანები გამოუშვეს... მოსდევდნენ და თან აფიქსირებდნენ! წერდნენ, რეპორტაჟებს აცხობდნენ და მთელ მსოფლიოს ატყუებდნენ, რომ ყოველივე ჩაიდინა უკანონო ბანდფორმირებების მეთაურმა, დიქტატორმა და პროვინციელმა ფაშისტმა ზვიად გამსახურდიამო. ამ დროს კი, ჩვენ, სურსათსანოვაგეს ვაწვდით ლტოლვილებს, როგორც ზუგდიდის მიდამოებში, ასევე ჭუბერისკენ, სადაც ხელი მიგვიწვდებოდა. მხედრიონელები კი ლტოლვილებს ძარცვავდნენ და ეუბნებოდნენ — ზვიადის ხალხი ვართო. ასევე იყო საქმე სამტრედიაში, როცა ფოთიდან სხვადასხვა ტვირთს ვაცილებდით და სამტრედიაში დაბანაკებულ მხედრიონ-გვარდიელებს ვაბარებდით, რომ თბილისისკენ და სომხეთისკენ, საჭირო მისამართებზე გაეგზავნათ. ამის მაგიერ, ისინი ტეხდნენ ვაგონებს, იტაცებდნენ ტვირთს და ზვიადის მომხრეებს გვაბრალებდნენ, რათა სომხეთში, თბილისში მოსახლეობის უკმაყოფილება გამოეწვიათ, რასაც ნაწილობრივ კიდეც მიაღწიეს. — ჯ.დ.).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ზაურ კალანდია
მწერალი

რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ... ლაღად, თვალმინაბულები ვმღერით და მაშინ მართლაც გვჯერა ჩვენი სიდიადისა და უძლეველობისა. ქართველები ვართ და გამორჩეულად ვამტკიცებთ, გამორჩეულები რომ ვართ. ალბათ, ვართ კიდეც! თქვენ წარმოიდგინეთ, სიძულვილშიც ისეთი დაუნდობლები ვართ, მტრისას.. მოყვრის გამეტება და გაწირვა უფრო იოლად გვეხერხება!

ქართველები ვართ და გვიჭირს თუ გვილხინს — ვმღერით... ჩვენი სიმღერა მწარეა, სულის კივილია, ზარია, ვერტიკალურ სივრცეში, ხიდი — წარსულში... ესეც ჩვენი ბრალია, ვინაიდან ვიცით, პატარა ერის შვილს მშვიდი ძილი არ უწერია და, რაც სამწუხაროა, არც გვღირსებია არასოდეს!

„დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავებიო“, წუხდა კონსტანტინე გამსახურდია. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, სიკვდილის მერე ვიცით მოყვასის დაფასება, ცხონება, ძეგლის დადგმა და წმინდანად აღიარებაც!

ქართველ კაცს უნიჭობას ვერ დასწამებ. სხვა რამეშია საქმე! ეტყობა, სიყვარული გვაკლია, თითქმის პირველი ქრისტიანები ვართ და თუ რამე გვჭირს, უსიყვარულობის გამო გვჭირს. სიყვარულის ნიჭი იოლი არ არის, სიყვარულს დრო და მანძილი სჭირდება თურმე, მის სრულად დანახვას და გათავისებას უფრო მეტი ხანი. გამოდის, სიკვდილი ხორცთან ერთად იმქვეყნიური ჭუჭყისგანაც წმენდს და ათავისუფლებს ადამიანს. რჩები ის, რაც იყავი, რისთვის იყავი, ვინ იყავი... აქ უფრო ფრთხილი და გონიერია ქართველი. სიკვდილი ან სამუდამოდ ასამარებს მას ან უკვდავყოფს...

უკვდავებაც ჩვენებური ვიცით, ქართული!



ერთი შეხედვით: ასეა ყველგან, შეიძლება შემომედავოს ვინმე.

დანტე გაწირა იტალიამო, იტყვის... არც სერვანტესს ულხინდა სამშობლოში... პუშკინი რუსული ინტეგრაციის მსხვერპლი გახდა... ირლანდია ის დედა ღორია, საკუთარ შვილებს რომ ჭამსო, — თქვა ჯოისმა, მშობლიურ ერს უმძიმესი განაჩენი გამოუტანა. სულმნათი აკაკის უფრო მწარე შეძახილი გვახსოვს ქართველებს...

ვიცით, საკუთარი ღირსეული შვილების უარყოფა და არადანდობა — არც ერთი ერისთვის არ არის ახალი!

მე მაინც ჩემსას ვჩივი... ის მაწუხებს, ამ საკითხში ქართველები რომ გამორჩეულები ვართ, ტოლს არ ვუდებთ არავის.

ნახევარმა საქრთველომ ნახევარი წლით ადრე იცოდა, ილია ჭავჭავაძე განწირული რომ იყო — მოკლავდნენ.

რა ვილონეთ?!

ის უფრო გვიღელვებდა თითქოს,

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# erT did qarTvels vkiTxe, ra Semosavali gaqvs? dafiqrda, Tvalebi eSmakurad momiwkura da ivaniSvilianado? _ aqeT Semomibruna kiTxva

იმის მოლოდინში ვიყავით, როდის აღსრულდებოდა ეს თავისმომჭრელი საქმე! თავად ილია გრძნობდა, ლამის დღე იცოდა, ლამის ადგილი, სად მოკლავდნენ! არ შეეშინდა, არ გაჩერდა... დღეს რომ ვფიქრობ, ვრწმუნდები, შეგნებულად დაადგა გოლგოთა-წიწამურის გზას — იქნებ იმ ნაბიჯით მაინც გამოეფხიზლებინა ქვეყანა! — და მოწამეობრივი გვირგვინი დაიდგა.

„მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“-ო, — მოგვიანებით იტყვის გალაკტიონი.

შეიცვალა რამე?

დასკვნები გამოვიტანეთ?!

არა და არა!

სახლის ჭიშკრამდე არ მოგვყოლია წიწამურის გაკვეთილი.

ვაჟა-ფშაველა შიმშილით მოვკალით.

ფიროსმანის საფლავი დავკარგეთ...

გალაკტიონის ფანჯრიდან გადახტომაში ხელი შევაშველეთ.

ერთი ამბავი მახსენდება: სამი ათეული წლის წინათ გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში (ისეთი გამომცემლობა იყო და საგამოფენო დარბაზიც ჰქონდა რუსთაველზე) ფოტო-გამოფენა გაიმართა, რომელიც ქართველ მწერლებს ეძღვნებოდა. გალაკტიონის „კუთხე“ გამორჩეული და ვრცელი იყო. ახალგაზრდა მწერლები უშანგი გაბიტაშვილი, ბათუ დანელია, ვახტანგ ხარჩილავა, ავთანდილ ჩხაიძე და მე გალაკტიონის შავ-თეთრ ფოტოების ჩრდილში ვდგავართ. აკაკი გაწერილია, დიდი მაესტრო მოგვიახლოვდა და ჩვენს გასაგონად ჩაილაპარაკა, ის სურათი აკლია, ერთი კაცი რომ ეპარებოდა გალაკტიონს ზურგიდან და ხელს რომ უბიძგებსო. ხმამაღლა გაგვეცინა. მოვხვდით, რა თქვა და ვისზეც იხუმრა. სხვათა შორის, ეს „დიდი კაციც“ ამ დარბაზში იყო, სხვა ცნობილი მწერლებით გარშემორტყმული ჩვენს სიცილზე გამოგვხედა „დიდმა“ მომხიბვლელად მოგვესალმა, გაგვიღიმა... გავშრით, ჩავკვდით... რაც მთავარია, ბატონ გაწერელიას არ გამოჰპარვია ეს, თვალი ეშმაკურად ჩაგვიკრა და წავიდა...

1911 წელს გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცენატი და საზოგადო მოღვაწე დავით სარაჯიშვილი.

კიდევ კარგი, ბოლშევიკებს გაასწრო...

თუმცა რა გაასწრო, საფლავშიც არ დააყენეს.

კაცი, რომელიც ათასობით ადამიანს ასაქმებდა, სასწავლებლად აგზავნიდა ნიჭიერ ახალგაზრდებს საზღვარგარეთ, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი და ქაშუეთი ააშენა, პანთეონში რა უნდა ვაჭარსო და ამოსათხრელი გახდა. ეს გადაწყვეტილება ერთ ღღეღამეში უნდა შესრულებულიყო. მოხდა სამარცხვინო ფაქტი. კაცი, რომელიც მთელ კავკასიაში ყველაზე მდიდარი იყო, საფლავიდან ამოიღეს ახლობლებმა და ერთადერთი ბეჭედი თითიდან წააძვრეს, ხელახლა დაკრძალვის ხარჯები რომ დაფარულიყო.



დავით სარაჯიშვილი

სარაჯიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო დეპეშა მაქვს წაკითხული. ჩვენი მეზობელი სომხები გვისამძიმრებენ თავიანთ ენაზე: ერთი დიდი კაცი ჰყავდათ ქართველებს და ისიც მოუკვდათო! სასიხარულო რაა სამძიმარში, მაგრამ მაინც გამიხარდა, არ წასცდენიათ კალამი, ჩვენი იყო, სომეხიო... თან დიდი ქართველიო, აღიარეს.

ბოლშევიკებს რას გაუგებდი, ქართულ საქმეს, ქართველობას მკვდარსაც არ პატიობდნენ.

სარაჯიშვილი 1911 წელს გარდაიცვალა და დიდი ნაცნობობა მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა ბოლშევიკებთან. თუმცა იყო პატარ-პატარა შემთხვევები. ერთს, შეიძლება რაიმე საერთო არა აქვს ამ ამბავთან, მაინც გავიხსენებ.

ნაცნობმა თხოვა დავითს — ახლობელი ჩამომივიდა სოფლიდან, ახალგაზრდა კაცია, იქნებ შენთან, ქარხანაში მომიწყოო. უარი არ უთქვამს, სამ თვეში ამ „ახალგაზრდამ“ გაფიცვა მოუწყო ქარხანაში. ეს ვინ გამომიგზავნეო, შეწუხდა დავითი. ხელფასი მოუმატეო, იმ ნაცნობმა ნახა გამოსავალი. დავითმა დაიბარა უკვე გამოცდილი ახალგაზრდა რევოლუციონერი — მიხა ცხაკაია, უთხრა: შვილო, შრომას ნუ გადამიჩვევ ამ ხალხს, შენ სტიპენდიას დაგინიშნავ, წადი საზღვარგარეთ სასწავლებლად, გონიერი კაცი ჩანხარო!

როგორ დასრულდა ეს ამბავი, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ამ თემის ხელიდან გაშვება არ მინდა.

ღვაწლმოსილი ქართველი ჰეროსტრატეები (მახარაძე, ორჯონიკიძე, ცხაკაია, ლაკობია...) არ ეხატებოდა გულზე მაინცდამაინც ცეკას შედარებით ახალგაზრდა მდივანს ლავრენტი ბერიას. ამ ერთ რაღაცაში მართალი იყო, ისინი ხელსაც უშლიდნენ და ნერვებსაც. მიხა ცხაკაია მოსკოვში ცხოვრობდა, მისი სახელის უკვდავსაყოფად მოსკოვიდან დადგენილება მოვიდა, საქართველოს ერთ-ერთ ქალაქს გვარი — ცხაკაია მინიჭებოდა. ბერია იქით ეახლა მიხას, გადაწყვეტილება მივიღეთ, ქალაქ სენაკს თქვენი სახელი მიენიჭოსო. რატომ სენაკსო, არ მოეწონა მიხას. ახალგაზრდობაში იქ მოღვაწეობდით, ძირითაც იქედანა ხართო, არ დაიბნა ლავრენტი. რა შუაშია-ძირი, — ეწყინა მიხას, მოღვაწეობით ყველაზე დიდხანს ქუთაისში ვმოღვაწეობდიო.

გადავრჩით, ანუ ქუთაისი გადარჩა.

ეს ავადმყოფური წარმოდგენა საკუთარ თავზე, ალბათ, ქართულია!

არადა, ის საისტორიო წლები (მე-19 საუკუნის ოთხმოც-ოთხმოცდაათიანი წლები და მე-20 საუკუნის დასაწყისი) ძირითადი ქართული საქმე, რაც დღეს გვეამაყება და წელგამართულებიც ვართ, დავით სარაჯიშვილის უშურველობით და ძალისხმევით არის შესრულებული. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული თეატრის, ქართული უნივერსიტეტის თუ ქაშუეთის ეკლესიის მშენებლობის ძირითადი დამფინანსებელი და სულისჩამდგმელი ეს ღვთისნიერი კაცი იყო, მის სახლში სერგიევის ქუჩაზე (ნაციონალების მიერ წართმეული მწერალთა კავშირის შენობა) დიდ ქართველთა საკრებულო იყო. მასთან მოდიოდნენ და ქვეყნის ბედ-იღბალზე ფიქრობდნენ რაფიელ და გიორგი ერისთავები, დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი, მიტროფანე ლაღიძე და ია კარგარეთელი, იონა მეუნარგია და ნიკო ცხვედაძე (ბატონი ნიკო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე და უნივერსიტეტის მშენებლობის უცვლელი ხელმძღვანელი მოსვენებას არ აძლევდა დავითს, სადაც მოვიდოდა, იქ დახვდებოდა. დავითსაც ყოველთვის გამზადებული ჰქონდა მისთვის საჭირო თანხა, ოღონდ ერთს თხოვდა, საიდან მოგაქვს ეგ ფული, ნუ იტყვით, ნიკო კი მალავდა, მაგრამ თბილისში რა იმალება, ეს რომ დამალულიყო.

ქართველთა დიდი იმედი იყო სარაჯიშვილი.

თავად შვილი არ მისცა ღმერთმა. თუმცა მთელი საქართველო ჩემი შვილიაო, იმეორებდა ხშირად და სრულიად საქართველოს პატრონად ედგა. ნიჭიერ ახალგაზრდებს თავისი ხარჯით საზღვარგარეთ აგზავნიდა, მოსავლელი და საპატრონო იქ უფრო მეტი ჰყავდა.

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულიაო“, — ახსოვდა რუსთაველის შეგონება, ვინაიდან მამული ესვენა ხატად გულზე, მისთვის ილვწოდა, მას დაუბრუნდებოდა, მისი იყო (რუსთაველისებურად ფიქრობდა), ანუ საქართველოსი!

1905 წელს ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი დაიძრა გურიისაკენ. აჯანყება უნდა ჩაეხშოთ ნასაკირალში.

ქართული საზოგადოება შეიკრიბა, ილია ჭავჭავაძე ბობოქრობს, მეფისნაცვალთან უნდა მივიდეთ, ჯარის გაგზავნა გადავაფიქრებინოთო!... თუ არა, ჩვენ წავალთ და (Êî ñòüì è ëÿæåì ) (ეს სიტყვა რუსულად თქვაო, იგონებს ილია ზურაბიშვილი) ვიღაცამ არ დაიჯერა, არავითარი Êî ñòüì è ëÿæåì ... მაშინ სირცხვილი ჩვენი! — იყვირა ილიამო.



ილია იყო, რაღაც უნდა ელონა და გამთენიისას დავით სარაჯიშვილს შინ მიადგა. რა მოხდა? გამოეგება დავითი. რა ხდება გურიაში, თუ იცით? კიო, მიუგო. რას ფიქრობ, როგორ ეშველება ამ საქმესო? თქვენ რომ მობრძანდით, როგორ ეშველება, უკვე მოფიქრებული გექნებათო, — მიუგო დავითმა. რამდენი აქვს ალიხანოვ-ავარსკის შენი ვალიო? — ჩაეკითხა ილია. პასუხი რომ მიიღო, იქვე დაუკონკრეტა— ამ თანხის გაუქმება უნდა შესთავაზო... დახეული თამასუქები გაუგზავნე და ვიცი, ვინც არის, უკან გამობრუნდებაო...

გაჭრა... ეს ის წამია, როცა ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, გურია უვნებლად გადარჩაო; ის სისასტიკე და სისხლისღვრა არ იყო, რაც ახასიათებდა ავარსკის, რასაც იმპერია ითხოვდა.

ამას გაგრძელებაა უფრო საინტერესო...

სოცდემოკრატებმა ფულის შეგროვება დაიწყეს ნასაკირალში დაზარალებულთ დასახმარებლად. ილიამ 25 მანეთი მოიტანა. ნუ იჩქარებთ, ბატონო ილია, შეიძლება უფრო გაღიზიანდნენ გურულებიო, ფრთხილად შეაპარეს, ფაქტობრივად, შესაწირზე უარი უთხრეს.

ხომ არ გენიშნათ რამე?

მე მენიშნა და, თუ რა, ახლავე მოგახსენებთ.

ნაციონალების შეშფოთება გასაგებია, მაგრამ ამ ფსევდოოპოზიციას რა ჭირი ეტაკა, ვერ ვიგებ. ხელისუფლებას ივანიშვილი აფინანსებდაო, დანაშაულად უთვლიან.

არადა, ახალგაზრდა ხელისუფლება იყო, რიხით, ზარ-ზეიმით მოსულთ. ხალხმაც თავიდან ირწმუნა მათი, მაგრამ... როცა სახელმწიფოს მშენებლობაზე ეჭვი შეეპარა, მიხვდა, რა ხალხის ხელში ჩავარდა ქვეყანა, ბატონმა ბიძინამ წარმოუდგენელი რამ შესთავაზა პრეზიდენტს — სხვა რამე არ იკადრო, ქართული საქმე აკეთე და ას მილიონს დაგისვამ პირად ანგარიშზეო...

არა, არ მინდოდაო, გაუცია პასუხი.

საინტერესოა, ეცოტავა თუ იუკადრისა?...

ისე, კაცმა რომ თქვას, როცა ქვეყნის მთელი ბიუჯეტი სახარჯო ფულივით გიდევს ჯიბეში, ასი მილიონი დიდი არაფერია.

სხვა რა ვიფიქრო? ვინმე ალიხანოვ-ავარსკიმ აჯობა ჭკუით ჩვენს „მალალს“-მეთქი, როგორ დავიჯერო!

* * *

ზემოთ დავით სარაჯიშვილზე ვყვებოდი.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში სარაჯიშვილი დაბრუნდა.

ამისთვის კიდევ ერთხელ მოხდა მისი ძვლების შეწუხება.

როგორც ქაშუეთის ქტიტორი და მოღვაწე ამჟამად ქაშუეთის ეზოშია დასაფლავებული. ბარათაშვილის, ვაჟას, ექვთიმე თაყაიშვილის, ტერენტი გრანელის სულები მრავალგზის შევაწუხეთ.

ესეც ქართული ბუნებაა, ქართული სიყვარული, ქართული დაფასება...

მთავარია, საბოლოოდ მაინც მივხვდით, ვინ იყო დავით სარაჯიშვილი.

ძეგლიც დავდგით. თბილისში, დარეჯანის სასახლესთან, რიყეზე იდგა მისი გენიალური ძეგლი (მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი. ახლახან კონიაკის ქარხანაში გადაიტანეს. შესასვლელში უადგილოდ დგას დარაჯივით); ევროპისკენ მომზირალი, ევროპასავით წელგამართული, მომხიბვლელი, ქართული ქველმოქმედების ? დინჯი, ბრძენი ქართველი — დავით სარაჯიშვილი.

დავითი მყავდეს კარგად და არაფერი მიჭირსო, ენაკვიმატობდა აკაკი წერეთელი. ერთხელ ვიღაცამ ჰკითხა მგოსანს, რა შემოსავალი გაქვსო? დაფიქრდა პოეტი და სარაჯიშვილიანადო, იქით შეუბრუნა კითხვა.

დიდ ქართველ ბატონებს: დავით სარაჯიშვილს, დავით ხოშტარიას, ძმებ ზუბალაშვილებს, სხვებს, ერთად აღებული, არ გაუკეთებიათ ქვეყნისთვის იმდენი, რაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა უკვე გააკეთა.

ეს, რაც სახეზეა, რაც ფაქტია და ყველამ ვიცით.

რის გაკეთებასაც, აწი აპირებს, ცოტა ვაცალოთ, მოვითმინოთ...

ოთხი-ხუთი წლის წინათ დავწერე და ახლა კვლავ გავიმეორებ. მუხრანის ლექსის პერიფრაზისა არ იყოს, კიდევ ერთი ივანიშვილი გვიწყალობოს ღმერთმა-მეთქი! მინდოდა დამეწერა, საქართველოს ყველა კუთხეს... მაგრამ თავი შევიკავე. ვერ ვიტყვი, ნამეტანი მეჩვენა თუ ფანტაზია არ მეყო.

მანამდე ერთ დიდ ქართველს მორიდებით ვკითხე, რა შემოსავალი გაქვს-მეთქი. დაფიქრდა, თვალები ეშმაკურად მომიწკურა და ივანიშვილიანადო? — აქეთ შემომიბრუნა კითხვა...



# bolowlebSi qveyanam mcire armagedoni gadaitana, Tumca sikeTem sZlia borots...

**ინტერვიუ ცნობილ სპორტსმენთან, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან გურამ სალარაძესთან.**

**— ბატონო გურამ, როგორ შეაფასებთ განვლილ საპარლამენტო არჩევნებს? თქვენ იმედი გქონდათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ველარ შეძლებდა მასშტაბურ გაყალბებას.**

— დიახ, მქონდა იმედი და სურვილი მქონდა, ერთხელ და სამუდამოდ, ქვეყანაში დამკვიდრდეს დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების ჩატარების კულტურა. ეს სურვილი თუ ოცნება არა მარტო მე, არამედ ჩემს გვერდით მყოფ უამრავ ადამიანს, საქართველოს მთელ მოსახლეობას ჰქონდა. საბედნიეროდ, იმედი არ გამიცრუვდა, არჩევნები მეტნაკლებად ობიექტურად ჩატარდა და მივიღეთ სასურველი შედეგი.

ბატონმა ბიძინამ უდიდეს საპასუხისმგებლო მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი. სამშობლოს სიყვარულით ანთებულმა კაცმა, მსოფლიოს დასანახად მშვიდობიანად მიგვიყვანა არჩევნებამდე.

მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ „მეფე შიშველია!“ გაშიშვლდა ჩვენი პრეზიდენტი. მთელმა სამყარომ დაინახა მისი უმსგავსო საქციელი.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ქვეყანა მისტიკურია. ღვთისმშობლის წილხვედრი ტყუილად როდი დაურქმევიათ. საქართველოს განსაკუთრებული მისია აქვს დედამიწაზე, რომელიც ბოლომდე უნდა შეასრულოს, აი, ახლაც, ბოლო წლებში მცირე არმაგედონი გადავიტანეთ მთელმა ერმა, მაგრამ სიკეთემ სძლია ბოროტს.

**— ახალ საკანონმდებლო ორგანოში სპორტსმენებიც არიან წარმოდგენილი.**

— ეს გარემოება ჩემთვის სასიხარულოა, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, ზურაბ ზვიადაური, კახი კალაძე, სოსო ჯაჭველიანი, გიორგი ჩხაიძე და კიდევ ბევრი, რომლებიც სპორტთან არიან დაკავშირებული. მაპატიონ თუ ვინმე გამომრჩა.

**— რადგან სპორტი ვახსენეთ და ოლიმპიურ ჩკემპიონებზე, მინდა გკითხოთ. 3 ოქტომბერს დანიშნულიიყო საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყრილობა. რატომ დაინიშნა საპარლამენტო არჩევნებიდან ასე მალე?**

— ვერაფერს გეტყვით, რადგან ყრილობის შესახებ მეც შემთხვევით გავიგე. ყრილობის დღეს მირეკავდნენ მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები და მეკითხებოდნენ. რა მეთქვა, მოწვეული არ ვიყავი და არაფერი ვიცოდი.

**— აბა, ვინ იყო ყრილობის დელეგატი ან მიწვეული სტუმარი?**

— თავიანთი ხალხი, რომლებიც ერთხმად დაუჭერდნენ მხარს ნაციონალების კანდიდატს, განა სირცხვილი არ არის, როგორც მოექცნენ კახი კალაძეს? მთელმა სპორტულმა სამყარომ მადლობა უნდა ვუთხრათ მისი ღვაწლისთვის, მაგრამ სპორტის სამინისტროს ან სხვა ნაძირლებმა, როდესაც არჩევნების წინ ჩავიდნენ სამტრედიაში ზონდერბრიგადებით, ან რა ხდებოდა ზუგდიდში. ვინ არის, საერთოდ, როლანდ ახალაია გამაგებინეთ. მის ადგილზე ნამუსიანი ადამიანი საერთოდ მოხსნიდა კანდიდატურას და ხალხში არც გამოჩნდებოდა. ეს ხალხი „მოქალაქეთა კავშირის“ პირდაპირი მემკვიდრეები არიან, რაც მათ ვერ დაანგრიეს, ესენი აგრძელებდნენ. საერთოდ, ხილულ, უცხოელ მტერთან ბრძოლა ჯობს, ვიდრე შინაურ უხილავთან.

**— ბატონო გურამ, დღეს რატომღაც ასეთი ტენდენცია დამკვიდრდა — თუ საკუთარს, თუნდაც ენას, სარწმუნოებას იცავ, ქსენოფობად გთვლიან. რატომ?**

— ესეც ხელოვნურად არის შექმნილი. ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, პატარა ბიჭს ხანჯალი რომ აჩუქა წარწერით: „სამშობლოს ვინც მიზიანებს, მეც იმას დავაზიანებ“. როგორ არ დავუპირისპირდეთ ისეთ ხალხს, ვინც ცდილობს ქვეყანაში დესტაბილიზაციას?

ვენაცვალე ჩვენს ახალგაზრდობას! ჩემი შვილების, შვილიშვილების თაობა გამოფხიზლდა, გამოცოცხლდა. ნახეთ, როგორი ჯანსაღი, განათლებული თაობა წამოვიდა. ამათ უნდა იცხოვრონ და ჩაიბარონ ბედნიერი, აყვავებული საქართველო. კიდევ ერთი, რაც მინდა ვთქვა, კანონის წინაშე ყელა თანასწორი უნდა იყოს. რას მიქვია იმუნიტეტი იცავსო. გამოდის, თანამდებობა იმისთვის უნდოდა, ექურდა, ემამაძაღლა და დაუსჯელი დარჩენილიყო, ხალხისთვის, სამშობლოსთვის კი არ ემსახურა. ამიტომ ვთვლი, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის, პირველ რიგში და მკაცრად ჩინოვნიკები უნდა ისჯებოდნენ.

**— ბატონო გურამ, საუბრის დასასრულს მინდა გითხრათ, თუ დაინახეთ ბატონი ბიძინა, ან კოალიციის მაღალჩინოსანი შეცდომას უშვებს, ხმამაღლა თუ ეტყვით და მიუთითებთ?**

— აუცილებლად, არც ვაპატიებ, გეფიცებით, გულწრფელად გეუბნებით. რატომ უნდა ვაპატიო და თვალი დავხუჭო, მე ხომ ქვეყნისთვის და მათთვის მხოლოდ კარგი მინდა, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ერთს ფიქრობენ, მეორეს ამბობენ და მესამეს აკეთებენ. ფარისევლებით გაივსო ქვეყანა და ამიტომ ვართ ასეთ მდგომარეობაში. იმედია, ასეთი ხალხისგანაც გაიწმინდება ქვეყანა. ხალხს სიმართლე, სიკეთე და პატიოსნება მოენატრა.

**გია ბურდული**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# saakaSvili 11 mlrd valsgvitovebs




საქართველოს საგარეო ვალი ბოლო 5 წელიწადში 300 პროცენტით გაიზარდა და თუ 2006 წ-ს 3 მლრდ 800 მლნ 535 300 დოლარს შეადგენდა ამჟამად მან 11 მლრდ 200 მლნ-მდე აიწია, ანუ ზრდა 294 პროცენტია.

გაიზარდა ეროვნული ბანკის საგარეო ვალიც (276 პროცენტით). ამას მოჰყვა კომერციული ბანკების საგარეო ვალების ზრდაც – 386 პროცენტი.

წინასაარჩევნო პერიოდში „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ საგარეო ვალები 122 მლნ დოლარით გაზარდა. ეროვნულმა ბანკმა კი 2 მლნ 200 ათასის კრედიტი აიღო. ექსპერტ დემურ გიორხელიძის განმარტებით, ქვეყანაში კონტროლი არ არსებობს, ხელისუფლებაც ვალებს უპრობლემოდ იღებს. მის მოცულობას ეტაპობრივად ზრდის. მოსახლეობის კეთილდღეობაზე კი ეს არ აისახება. სპეციალისტები შიშობენ, რომ საქართველო შეიძლება გახდეს გადახდისუუნარო ქვეყანა.

სააკაშვილის გუნდი გვიტოვებს არამარტო სავალუტო ფონდის, არამედ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების ვალებსაც. ექსპერტები ყოველივეს იმასაც ამატებენ, რომ ქვეყნის მოსახლეობას ყოველწლიურად 11 მილიარდის 2 პროცენტის გადახდა მოუწევს. ეროვნული ბანკის ერთადერთი კრედიტორი კი საერთაშორისო სავალუტო ფონდია.

საგარეო ვალები კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაშია, ხალხი დაუსაქმებელია, – ამბობს გიორხელიძე და იქვე განმარტავს, რომ საგარეო ვალებს იღებენ მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში. ჩვენთან კი არავინ იცის, სად მიდის ფული. ეს საკითხი ისევე, როგორც სხვა ბევრი ტაბუდადებულია.

ეკონომისტ დავით ლაშხიას განმარტებით საგარეო ვალები იმის მაგივრად რომ ახალ პროექტებს, ხალხის დასაქმებას, მის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ხმარდებოდეს, ერთი მუჭა „ნაციონალების“ ჯიბეებში ილექება და მათი ლიდერის ყოვლად გაუაზრებელ ხუშტურებს ხმარდება.

ექსპერტ ირაკლი ლექვინაძის განმარტებით, საქართველოში ვალის მართვის პროცესი დასახვეწია. როდესაც ერთი მიმართულებით სახელმწიფო ვალის ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო მზარდი და შეუქცევადი არ უნდა გახდეს. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტსა და ეკონომიკის ზრდის ტემპი ვალის ზრდის ტემპს უნდა აღემატებოდეს. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით ხდება. საგარეო ვალი არ უნდა ხმარდებოდეს პენსიებისა და სხვა სოციალურ დახმარებებს, არამედ უნდა იდებოდეს სხვადასხვა პროექტების დაფინანსებაში.

## ავი გმირი

საქართველო ლიდერია კავკასიის ქვეყნებს შორის საგარეო ვალის ოდენობით. ჩვენ ოდნავ ჩამოგვრჩება აზერბაიჯანი.

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ბანკში მიდის კრედიტის ასაღებად მან უნდა მიაწოდოს კრედიტოფიცერს იდეალური ინფორმაცია საკუთარი ფინანსური ინფორმაციების შესახებ. რაც ბევრია შემოსავალი მით უფრო დიდია კრედიტი. ასეა ქვეყნებთან მიმართებაშიც, – აცხადებს ექსპერტი სოსო არჩვაძე. სპეციალისტებს, საგარეო ვალებით დაღუპული ეკონომიკის მქონე საქართველოსთან აზერბაიჯანის მიზერული ჩამორჩენა, ამ ქვეყნისთვის საგანგაშოდ არ მიაჩნიათ, რადგან მეზობლის ეკონომიკა 4,3-ჯერ აღემატება ჩვენსას.

საგარეო ვალები აქვს სომხეთსაც (4 მლრდ ოდნავ მეტი), მაგრამ ამ ქვეყანას საზღვარგარეთ დიდი და შეძლებული დიასპორა ჰყავს, რის გამოც იქ განხორციელებული ტრანზაქციური ფულადი გზავნილები ინვესტიციების სახესაც იღებს, მაგრამ ამ ფულებს ჩვენი მეზობლები, სააკაშვილის მსგავსად ტაშ-ფანდურში კი არ ხარჯავენ. იკმაყოფილებენ პირველად მოთხოვნებს, დებენ განათლებაში, ჯანდაცვაში, იძენენ უძრავ ქონებას და ა.შ.

საერთოდ სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60 პროცენტს და ექსპორტის 110 პროცენტს. ეს არის ემპირიული ზღვარი. მისი გადაჭარბების შემთხვევაში, ქვეყანა საკუთარი ლიკვიდურობის სერიოზული პრობლემის წინაშე დგება.

გამოდის, რომ სააკაშვილი საკუთარი ქვეყნის წინაშე ავი გმირის როლს ასრულებს – ცოცხალმა ხომ შეგვჭამა და მკვდარმა სულ მთლად ამოგვაგდოო.

**ზაზა ბილიხოძე**

## შოთა ხაბარელი ნაციონალების წარმომადგენლის ცემაში „ქართული ოცნების“ აქტივისტთა მონაწილეობას უარყოფს



**კოლიცია „ქართული ოცნების“ კრწანისის მაჟორიტარობის კანდიდატის შოთა ხაბარელის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის კრწანისის რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის ცოტნე გვასალიას ცემაში „ქართული ოცნების“ აქტივისტები არ მონაწილეობდნენ. როგორც ხაბარელმა დღეს გამართულ პესკონფერენციაზე განაცხადა, გვასალიას ცემის ფაქტი ალმაშფოთებელია.**

**„ჩვენ ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, ვგმობთ ასეთ ფაქტებს. ასეთი შემთხვევები აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით იმიტომ, რომ ძალადობა გამორიცხული იყოს“, – განაცხადა ხაბარელმა და დასძინა, რომ კოალიციის სურვილია შერიგების პროცესი დაიწყოს და ყველამ ერთად თავისუფალ, სამართლიან ქვეყანაში იცხოვროს. შეგახსენებთ, რომ წუხელ ნაციონალური მოძრაობის კრწანისის რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ცოტნე გვასალიას ხუთმა პირმა სცემა.**

**ცოტნე გვასალიას ინფორმაციით, თავდამსხმელები „ქართული ოცნების“ აქტივისტები იყვნენ. ექიმების თქმით, გვასალიას აღენიშნებოდა ქალა-ტფილის დახურული ტრავმა, ასევე ნახეთქი ჭრილობა თავის არეში.**

**„მედიანიუსი“**

მოგზაურობა სამშობლოში





# TiTqos, iyo da ara iyo ra...

## ცენტრალური ჯავახეთი

*სოფელ ბავრასთან, სადაც წინა მოგზაურობისას შევჩერდით, ფარავნისწყალს აღმოსავლეთიდან კიდევ ერთი მცირე შენაკადი ერთვის. იგი სამსარის ქედის კალთებიდან გამოედინება და ორი სათავე აქვს. ერთის დასაწყისში სოფელი ბეზავეთია, მეორის დასაწყისში — სოფელი აბული, ხოლო მათ შესართავში — კარტიკამი. სამივე სოფელში ამჟამად მხოლოდ XIX საუკუნის მოახალშენე სომხები ცხოვრობენ.*

* * *

ბავრიდან **კარტიკამამდე** სულ რაღაც 2 კმ.-ია და გზაც, ასე თუ ისე, ნორმალურია, ბუზავეთამდე დარჩენილი 9-კილომეტრიანი მონაკვეთი კი ძალიან ხშირად ფუჭდება, რადგან სოფელი ზღვის დონიდან, თითქმის, 2000 მეტრის სიმაღლეზეა.

**ბუზავეთი** 50-კომლიანი მაღალმთიანი დასახლებაა, სადაც ზამთარი 6 თვე გრძელდება. სანაცვლოდ დარჩენილ 6 თვეში სამოთხისდარი ჰაერია. ხეს ვერსად ნახავთ, მაგრამ მიდამო ნაირფერი, დიდ-დიდი ყვავილებით მოჩითულ, მობიბინე ხალიჩას წარმოადგენს. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ, მეცხოველეობასთან ერთად, იგი მომთაბარე მეფუტკრეობის განვითარების ჩინებულ შესაძლებლობას იძლევა. სხვათა შორის, **ერთ-ერთი ვერსიით, ტოპონიმი ბუზავეთი სწორედ ფუტკრის სიმრავლიდან მომდინარეობს (ზოგადად, ფუტკარიც ხომ ბუზია). საგულისხმოა მეორე ვერსიაც: სოფლის სახელწოდება უკავშირდება ბზეს. ჯავახეთი აკი, ოდითგან იყო ცნობილი მესაქონლეობითა და პურეულით, რასაც ეს ხალხური ლექსიც ადასტურებს: „მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე მედგა მზესავითა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა“.** ტოპონმის ახსნის მეორე ვერსიის თანახმად, სოფელს პურეულის ისეთი მოსავალი ჰქონია, რომ სად წაეღოთ, არ იცოდნენ.

სამწუხაროდ, XVI საუკუნეში, ოსმალოს გამოჩენის გამო, სოფელი ისე დაპატარავებულა, რომ მხოლოდ 2 ქრისტიანი ქართული ოჯახი შემორჩენია. XIX საუკუნის 30 წლებიდან სოფლის მემკვიდრეობა არზრუმელი სომხების ხელში გადავიდა. **ქართველობის მაცნედ აქ მხოლოდ ძველი, X ს-ის ეკლესიაა დარჩენილი, რომელიც, ჯავახური ტრადიციის მიხედვით, მშრალი წყობით ნაგებ გალავანში ზის.**

გალავნის კარიბჭის წირთხლებად გამოყენებულია ადრეშუასაუკუნეების სტელების ფრაგმენტები. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ქვაჯვრის ორი ბაზისი, რომლებზეც ე.წ. ბოლნური ჯვრები და სტილიზებული თევზებია გამოსახული. ერთ-ერთ ბაზისზე ქართული ასომთავრულით ამოკვეთილი წარწერის ფრაგმენტია: **„ქრისტე, განუსვენე...“**

... კარიბჭის გავლისას სიმაღლე მატყუებს, შუბლს ვარტყამ და თვალთ მიბნელდება, მაგრამ როგორც კი ეზოში შევდივარ, ტკივილი მაშინვე მავიწყდება — ძალიან ძველ დროში მოვხვდი. დარბაზულ ეკლესიას და მის თანადროულ სამხრეთის მინაშენს (ეკვდერს) სამწახნაგოვანი შვერილი აბსიდები აქვს. ამიტომ, როცა აღმოსავლეთიდან უმზერ, ტყუპი ეკლესიის შთაბეჭდილება იქმნება. ქვის პერანგი ფაქიზადაა გათლილი, მაგრამ აქა-იქ კვადრები ამოცვენილია. ტაძრის კამარებიც და ლავგარდანიც სრულიად მორღვეულია, თუმცა ამ უკანასკნელის ერთი ფრაგმენტი მაინც დარჩენილა კედლის თავზე. ლავგარდანს გადაბმული ცილინდრების ფორმა აქვს. ტაძრის ძირითადი დარბაზისა და ეკვდერის საკურთხევლის აბსიდების შიდა მოყვანილობა ნალისებრია. აღმოსავლეთის სარკმლები XIX საუკუნეშია დაპატარავებული, რადგან მონოფიზიტ სომხებს განათებული საკურთხეველი არ უყვართ. ძალიან არაქაულია არქიტრავებზე ამოკვეთილი ყურძნის მტევნებით შემოფარგლული ჯვრები, ინტერიერის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული თევზისკუდა ოვალები და მასში ჩასმული ჯვრები. ამ რელიეფების დანიშნულება სამოთხის საკრალური აღქმაა. განცდას აძლიერებს ტაძრის ეზოში შემონახული სტელები. რომელიღაც ქვაჯვრიდან მხოლოდ ბუნის ქვა (იგივე პოსტამენტი) გადარჩენილა. მის ერთ წახნაგზე, ბოლონური ჯვრის გვერდით, ორი საერო პიროვნებაა (რომელიღაც ფეოდალები) გამოსახული.

**სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრში, დიდი ლოდებით მოფენილ მორენულ ბორცვზე, დაბალი გალავნით შემოსაზღვრულია ალაგი, რომელიც, ვფიქრობ, ამაღლების სალოცავი უნდა ყოფილიყო.** ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მისი მსგავსება სირგვის „ამაღლებასთან“. განსხვავება ის არის, რომ ბუზავეთის სტელისგან მხოლოდ ბაზისია დარჩენილი. გამჭვარტლული ლოდის წინა მხარეს დიდი ბოლონური ჯვარია გამოსახული. სტელის ბაზისს საკურთხევლის ქვის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.





ბუზავეთი: ეკლესიის სამხრ,-აღმ. ფასადი, არქიტრავის რელიეფი, ქვაჯვარი და საფლავის ქვა

ბუზავეთიდან კარტიკამში ვბრუნდებით და ახლა მცირე მდინარის მეორე შესართავის სათავისკენ მივეშურებით, სადაც **აბულია.** როგორც ფიქრობენ, **სახელწოდება „აბული“, ისევე როგორც „აბლარი“, სპარსული „აბ“-იდან მომდინარეობს, რაც წყალს ნიშნავს.** აბული ჰქვია სამსარის ქედის სამხრეთ კიდეში არსებულ იმ ორ მწვერვალსაც, რომელიც სოფელს დასცქერის. მათ შორის რამდენიმე მცირე ტბაა. ჩვენ ზღვის დონიდან დაახლოებით 2300 მეტრის სიმაღლეზე, სომეხი მწყემსების ბინაზე ვაჩერებთ მანქანას, ძალას ვიკრებთ და დარჩენილ მანძილს ქვეითად გავდივართ მორენებით დაფარულ მთის კალთებზე — გეზი აბულის ცნობილი ციხე-სოფლისკენ გვაქვს. იგი მცირე აბულის სამხრეთ კალთებზე და უშუალოდ მწვერვალზე, ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეზეა გაშენებული. **ეს არის ძალიან ძველი, წარმართული ეპოქის დასახლების კვალი. შემორჩენილია დედაციხის 3-4 მეტრის სიმაღლის ვეება ლოდების მშრალი წყობით ნაგები ძალიან სქელი კედლები. აქ ასევე ნახავთ სხვადასხვა დანიშნულების ოთახებს, ბანური სტილის საცხოვრებელთა ნაშთებს, პრიმიტიულ კარიბჭეებს (შესაძრომებს), ხაროებს, მენჰირებს, ქვაფენილიან ნაგზაურებს და სხვა. შესაძლოა, რომ შაორის ციხესთან ერთად, აბული ბიბლიური ჯავახოსის, ანუ ერთ-ერთი ქართული ტომის პირველი სამოსახლოც კი იყო.**

მაინც რა არის კაცის გონება. მაღლიდან დავცქერ მთელ ჯავახეთს და იცით, რა მახსენდება? ოთხი ათასი წლის წინანდელი სურათი: ბანიანი სახლის წინ ჩემი ჯილაგის ფუძემდებელი ჩამომჯდარა და ბრინჯაოს სატევარს ლესავს, დედა კარაქს ღვებავს, ვიღაც ცხვარს მწყემსავს, ვიღაც ძაფს ურთავს, ჩემი ძმები ამირანი, ბადრი და უსუფი ხარებს აბამენ უღელში. რა ენითაც ისინი საუბრობენ, მთელი მიწათმოქმედი წინააზის ენაა.

... იყო და არა იყო რა.

გადიოდა დრო, ჩვენი წინაპარი ნელ-ნელა ქვევით იწევდა საცხოვრებლად და ბოლოს ზღვის დონიდან 1960 მეტრის სიმაღლეზე, ერთ გაშლილ ადგილზე დასახლდა.

**სოფლის ცენტრში დიდი წყარო და ორი ეკლესია — XIX საუკუნის დიდი სომხური საყდარი და მის გვერდით შემორჩენილი X-XI საუკუნეების ქართული დარბაზული ტაძარია.** XIII საუკუნეში ამ ტაძრისთვის სამხრეთიდან კარიბჭე მიუშენებიათ. კარიბჭე სანახევროდ დანგრეულა, ტაძრის ფაქიზი, უსამკაულო პერანგი კი იმდენად კარგადაა შემონახული, იფიქრებ, გუშინდელი აგებულიაო. როგორც ტაძრის დასავლეთ ფრონტონში არსებული წარწერიდან ირკვევა, **ეკლესია ჯვართამაღლების სახელობის ყოფილა,** ხოლო მისი ხუროთმოძღვარი — გუზანი. ქართული ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: **„ჯუარი ქრისტესი. ქრისტე, შეიწყალე გუზან გალატოზი“.**

წყაროსთან ხალხი ირევა, მას ერთი მოხუცი კაცი გამოეყო, გვიახლოვდება და დამტვრეული ქართულით მეუბნება:

— სოფელმა გიჟების ჭკუაზე არ უნდა დადიოდეს. ჰაოსი და ქართლოსი ძმები ხომ იქნებიან, — ბერიკაცი ორ საჩვენებელ თითს ერთმანეთს უტოლებს. — ერთი ერთმანეთი უნდა გიყვარდეს. კაცობა ეგ არის, მაშ!... ახალგაზრდობაში რო თბილისში ვიყო, ბევრჯერ ყველი, კარაქი, მატყლი გავყიდე, კარგი ხალხია ქართველი, — ბერიკაცი კიდევ უფრო მიახლოვდება და ყურში ჩამჩურჩულებს — აი, ზევით, იქაც და აქაც რო ხელისუფლება, ისინი ურევს, მაგრამ ჩვენ ხო კაცები უნდა იყოს. წავიდეთ ახლა ჩემი სახლში. კონიაკი, ყავა დალიოს. კაცობა ეგ არის, მაშ?...

**კეთილ ბერიკაცს ხათრს არ ვუტეხთ და მისი ოჯახის კარს ვალებთ. ვუცქერ მას და ერთი ეგვიპტური სიბრძნე მახსენდება: „სწავლა მიიღე მისგანაც, ვისაც ბევრი არაფერი უსწავლია“.**

**გელა ქოქიაშვილი**

აბულის ციხის ნაშთები, სოფლის ცენტრში მდგარი ჯვართამაღლების მართლმადიდებლური ეკლესია და გუზან გალატოზის წარწერა







# `nacionaluri moZraoba~ moralurad da ideologiurad unda ganadgurdes!

**გვესაუბრება „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე**

**-ბატონო სოსო, არის თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ არჩევნებში აღებული 40% გაყალბების შედეგი?**

— რა თქმა უნდა, არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არ მოხდა იმ მილიონ ორასი ათასი ხმის გამოყენება, რომელიც კაციტაძის საარჩევნო სიებში იყო შეტანილი და სინამდვილეში არსად არ არსებობდნენ. ის გენერალური ხაზი,



რომელიც მიჰყავდა ხელისუფლებას 18 სექტემბრამდე, ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ უეცრად შეიცვალა, ამან გამოიწვია დეზორგანიზაცია და შესაბამისად, მივიღეთ ის შედეგი, რომელიც საბოლოოდ ვიხილეთ. ეს ძალიან სასარგებლო ეტაპია, რადგან გაჩნდა შესაძლებლობა, რომ საქართველო განთავისუფლდეს ამ კანიბალისტური რეჟიმისაგან.

**— „ნაციონალების“ მხრიდან პოლიტიკური კრიზისის შექმნას არ უნდა ველოდოთ?**

— გამოითქმება მოსაზრებები, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადაჯგუფდება და როდესაც კოალიცია შევა კრიზისში მისი სიჭრელის გამო, „ნაციონალები“ კვლავ შეძლებენ პოლიტიკური რევანშის აღებას, მით უმეტეს, რომ მათ გააჩნიათ ამის ბერკეტები. ეს ადამიანები, ვინც ასეთ მოსაზრებებს ავრცელებენ, ვერ ხვდებიან არსებულ რეალობას. ქართველი ხალხის ძირითადი გრძნობა და მოთხოვნა რა არის დღეს?-დაისაჯონ დამნაშავეები, ხომ? როგორც არ უნდა უნდოდეს ვინმეს, ცხადია, რომ ველარ გააჩერებს ამ ნიაღვარს ბრალდებებისას, ველარ გააჩერებს სამართლიანობის წყურვილს. ქართველი ხალხი იმიტომ გამოვიდა ქუჩაში და იმიტომ მისცა „ოცნებას“ ხმა, რომ სამართლიანობა აღსრულდეს. შესაბამისად ფუჭი იქნება ყველა მცდელობა ამ ზვავის შეჩერების და ეს ზვავი მთლიანად წალეკავს „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიას. ეს ძალა აუცილებლად უნდა გამოცხადდეს და გამოცხადდება კიდეც დანაშაულებრივ ორგანიზაციად. ამიტომ საუბარი იმაზე კი არ უნდა იყოს, რომ „ოცნება“ დაიშლება, პოლიტიკური კრიზისი დაიწყება და ა.შ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კრიზისი შეიქმნება, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ არ იქნება ამ კრიზისის გამომყენებელი სუბიექტი. „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა განადგურდეს მორალურად და იდეოლოგიურად. მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და როგორ გგონიათ, როდესაც ის პასუხს აგებს თავის თანამზრახველებთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ მონოლითი დარჩება? - დარჩება მხოლოდ ნაფლეთები, იმიტომ, რომ ამათ აკავებთ ან მხოლოდ ერთობლივი დანაშაულის განცდა, ან ძალაუფლების ქონა. როგორც კი დანაშაულის მხილება მიაღწევს გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს, „ნაციონალური მოძრაობაც“ გაზაფხულის თოვლივით გადნება და ვინ სად გაიპარება, არავინ იცის. სხვა საკითხია თავად „ქართულ ოცნებას“ რა პოლიტიკური მომავალი ელოდება. ეს დამოკიდებული იქნება, ერთის მხრივ, მათი ნაბიჯების ეფექტურობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, ვიცით, რომ კოალიციაში არსებული ძალებიდან, ბევრი მათგანი იდეოლოგიურად არ განსხვავდება „ნაციონალური მოძრაობისაგან“. რა თქმა უნდა, ეს იდეოლოგიური ადეპტები „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ნეო-ლიბერალიზმისა არ მოისვენებენ, იმიტომ, რომ მათ ამას ავალებენ. წლების განმავლობაში ამისთვის ღებულობდნენ ანაზღაურებას და შეეცდებიან კვლავ მოვიდნენ უმრავლესობაში.

**— ანუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიის მიმდევრები და გამტარებლები წარმოადგენენ ქვეყნისთვის კიდევ ერთ საფრთხეს?**

— ამ იდეოლოგიის პოლიტიკური გამოყენება ხდება კვლავ იგივე მეთოდებით და რაში გამოიხატება ეს. ამათ ახლა შექმნეს ახალი ციტადელი და, ჩემდა საუბედუროდ, ეს ციტადელი „მაესტრო“ გახდა. ამ იდეოლოგიის მთავარი ამოცანაა, ესა თუ ის ერი, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებს ეყრდნობა, წარმოაჩინოს ათასი ფობიებით დაავადებულად და უმცირესობების მჩაგვრელად. ამისთვის ირჩევენ გაუნათლებელ ნაციონალისტებს. ამ გაუნათლებელ ნაციონალისტებს აქვთ ჩავარდნები ფაშიზმისაკენ თავიანთი გაუნათლებლობის გამო. ისინი ნორმალური ადამიანები არიან, უბრალოდ, ნეო-ლიბერალები უმწვავებენ თემებს, აბრალებენ რაღაცებს და ვინაიდან მათ არ ჰყოფნით განათლება, რომ შესაბამისად, უპასუხონ და საკუთარ მინდორზე გადაიყვანონ იდეოლოგიური ბრძოლა, გადადიან ისეთი ტიპის რიტორიკაზე, რაც საშუალებას აძლევს მეორე მხარეს ისინი დაადანაშაულოს ფაშიზმში. რისი ნათელი მაგალითიც იყო ყბადაღებული ციხის ჯალათების სია, რომელიც „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა. ამ საკითხში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ადეპტები გამოდიან თავგადაკლულ ადვოკატებად ყველაზე უფრო ოდიოზური ფიგურებისა. მაგალითად, ბაჩო ახალაიას თავგადაკლული ადვოკატი გახლავთ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ისეთი ცნობილი ვარსკვლავი, როგორიცაა თეა თუთბერიძე. ანუ ეს ლიბერალ-ფაშისტები სინამდვილეში ზუსტად ისინი არიან, ვინც ინსპირაციას უკეთებს წამებას, ვინც ამის იდეოლოგიური უზრუნველმყოფია. ეს ნეო-ლიბერალური იდეოლოგია ასეთი მოქმედებებით ფაქტობრივად აუპატიურებს ეროვნულ ცნობიერებას, ისევე როგორც ციხეებში აუპატიურებდნენ პატიმრებს. ასეთ მოქმედებებს კი უნდა დაუპირისპირდეს განათლებული ნაციონალიზმი, განათლებული წინააღმდეგობა უნდა შეხვდეთ და არა ისეთი, როგორიც დღეს ხვდებათ.

ინფორმაციულ ომში ამ ლიბერალ-ფაშისტებს გაცილებით კარგად გამართული ტერმინოლოგიური ბაზა გააჩნიათ, აქვთ საინფორმაციო საშუალებები, არიან კარგად დატრენინგებულები. აქამდე რამხელა ზიანიც მოგვაყენეს, ვნახეთ და იგივეს აგრძელებენ დღესაც. იგივე ის ცნობილი გადაცემა ჟიჟილაშვილის მიერ ისე იყო მოწყობილი, რომ „ასავალ-დასავალის“ წარმომადგენელი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა და ამით განსასჯელის სკამზე დასვეს ეროვნული ცნობიერებაც. ამავე დროს აუცილებლად უნდა გავაცნობიეროთ, რა არის ეროვნული ცნობიერება, ანუ ის, რასაც მე განათლებულ ნაციონალიზმს ვეძახი. ეროვნული ცნობიერება არის ღირებულებათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიურობასთან და რომელიც აძლევს ადამიანს სულიერად ჩამოყალიბების საშუალებას. ეს არის ეროვნული ცნობიერების მთავარი ღირებულება, მთელი ეს ოჯახის სისტემა, აღზრდის სისტემა ამას ემსახურება, ძალიან დიდი სიბრძნეა მასში ჩადებული და ითვალისწინებს ადამიანის სულიერ კონსტიტუციას. ეს რაც შეეხება ეროვნულ ცნობიერებას, ახლა ვნახოთ ვინ არიან ე.წ ნეო-ლიბერალები. მათი იდეოლოგია აბსოლუტურად მატერიალისტურია და მომდინარეობს ევროპული ცივილიზაციის რეგრესიდან. მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები: ყველაფრის დესაკრალიზაცია, ადამიანის განხილვა მხოლოდ მის სოციალურ ფუნქციად, ასევე ყველაფრის კომერციალიზაცია. ის მოერგო ტრანსნაციონალური კომპანიების ინტერესებს და მათი მსახურია. ეს არის ის იდეოლოგია, რომელიც დევს დღეს მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის სამოქმედო საფუძველში. მათი ადეპტები კარგად არიან მომზადებული, კარგად ფინანსირდებიან და მათი ამოცანაა, რომ ეროვნული ცნობიერების მარგინალიზაცია გააკეთონ. ამისათვის მათგან დაფინანსებულ ტელევიზიებს სპეციალურად მიჰყავთ გადაცემებში გაუნათლებელი ადამიანები, რათა კარგად მომზადებულმა „თუთბერიძეებმა“ და „ბოკერიებმა“ გამარჯვება იზეიმონ ამ ხალხზე და საზოგადოებას აჩვენონ, რომ ისინი არიან დასავლური ღირებულებების წარმომადგენლები. ანუ იდეოლოგიურად მიშა და „ნაციონალური მოძრაობა“ არსად არ წასულან, უბრალოდ, ცდილობენ ტრანსფორმაცია განიცადონ და ნიღბები შეიცვალონ.



**— ქართველები გულმავიწყები რომ ვართ, აქამდეც დაგვიმტკიცებია და სწორედ ამას ხომ არ ელოდება „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ანუ პოლიტიკური კრიზისის შექმნის შემთხვევაში ვერ მოხდება რეალური ცვლილებები და უკმაყოფილო ხალხი უკვე „ოცნებას“ გაუჩნდება?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ვერ მოტრიალდება, იმიტომ, რომ არა გულმავიწყი, განათლებული ხალხი გაერთიანდება და შეიქმნება ნორმალური პოლიტიკური ძალა. რომელიც მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში. ეს იქნება განათლებული და ეროვნული ხალხი, ვინც განათლებულ, ნაციონალურ სახელმწიფოს ააშენებს. „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ გაუძლებს ინფორმაციულ შეტევას და რამდენიმე გაბრძოლების შემდეგ აუცილებლად დაიშლება. თუმცა ეს უკანასკნელი გაბრძოლება რამდენად ზიანის მომტანი იქნება, ამაზე ნამდვილად ვერ გავაკეთებ ჩემს პროგნოზს. ახალი არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს ქვეყანაში მაშინ, როდესაც მოხდება მოსახლეობის სრული აღწერა, როდესაც ზუსტად გვეცოდინება, რამდენი გვყავს რეალური ამომრჩეველი ქვეყანაში, შეიქმნება ნორმალური საარჩევნო კოდექსი და ქართველ ხალხს ექნება საშუალება აირჩიოს, როგორი ტიპის სახელმწიფო უნდა.

**ლელა არაბული**

## ირაკლი ღარიბაშვილი: კუდ-ი და სოდ-ი, სავარაუდოდ, გაუქმდება



**შს მინისტრობის კანდიდატის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (კუდ) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდ), სავარაუდოდ, გაუქმდება.**

როგორც "ქართული ოცნების" ოფისში ჟურნალისტებთან საუბრისას ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს საკითხი ჯერ განხილვის პროცესშია და საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულან.

„ჯერჯერობით კონსულტაციები მიმდინარეობს. საბოლოო გადაწყვეტილება ცოტა ხანში გახდება ცნობილი. ზოგადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში რეორგანიზაციის პროცესი დაგეგმილია“, — განაცხადა მან.

## ირანმა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას და ივანიშვილს მიულოცა



**ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა, რამინ მეჰმანფარასთმა საქართველოს მოსახლეობას და მთავრობას თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მიულოცა.**

როგორც საქართველოში ირანის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა, ასევე კოალიცია "ქართულ ოცნებას" ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა: "უძველესი ისტორიული და კულტურული კავშირებიდან და ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებიდან გამომდინარე, გვჯერა, რომ კვლავ გაგრძელდება ორმხრივი მეგობრული ურთიერთობის განვითარების პროცესი".

„მედიანიუსი“

# „ცივი“ ქალები

ქალის გარეგნულ მიმზიდველობასა და მის პირად ცხოვრებას შორის უშუალო კავშირი არსებობს. ტყუილად როდი ამბობენ, შეყვარებულ ქალს სახე, გამომეტყველება და სიარულის მანერაც კი ეცვლება, მისი თვალები კი — შინაგან კმაყოფილებას ასხივებსო.

სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს, უამრავი მიმზიდველი ქალბატონი აწყდება სქესობრივ ცხოვრებაში სექსუალური ლტოლვის შემცირებასა და აგზნების პროცესთან დაკავშირებულ სიძნელეებს — სამსახური, ოჯახი, ქმარი და შვილები, მათი მოვლა დიდ ენერგიასა და ძალას ითხოვს, სულიერი და ფიზიკური გადაღლა კი, უპირველეს ყოვლისა, სქესობრივ სფეროზე აისახება.



ინტიმურ ცხოვრებაში ნორმისა და პათოლოგიის ერთმანეთისაგან გამიჯვნა რთულია, რადგან ყველაფერი მკაცრად ინდივიდუალური და პირობითია. ერთადერთი, რაზეც არავინ დავობს, ის გახლავთ, რომ სრულყოფილი სექსუალური ცხოვრება წარმოუდგენელია პარტნიორებს შორის სექსუალური ლტოლვისა (ლიბიდო) და სქესობრივი გრძნობის სრული დაკმაყოფილების გარეშე.

რატომ ქრება სექსუალური ურთიერთობის სურვილი? რა კლავს ქალებში ლიბიდოს? ვინ არის ამაში დამნაშავე და რამდენად შესაძლებელია უწინდელი ლტოლვის დაბრუნება? საერთოდ, არსებობენ თუ არა ჭეშმარიტად „ცივი“ ქალები? მოდით, შევეცადოთ და ამ კითხვებზე პასუხები ვიპოვოთ.

## როდის ყალიბდება ლიბიდო?

სქესობრივი ლტოლვა ცენტრალური ნერვული სისტემის შესაბამისი ცენტრებისა და ენდოკრინული პროცესების ერთობლიობით ყალიბდება და მისი ფორმირება სამ ეტაპად მიმდინარეობს.

**პირველი ეტაპი** — 8-10 წლის ასაკს ემთხვევა, როცა ბავშვებში საწინააღმდეგო სქესისადმი გაუცნობიერებელი ინტერესი ჩნდება — ეს პლატონური ლტოლვაა და განსაკუთრებით ძლიერად გოგონებშია განვითარებული.

**მეორე ეტაპი** — მოზარდობის პერიოდი — ეროტიკული სქესობრივი ლტოლვის სახით იჩენს თავს, როცა არა მარტო სულიერი, ხორციელი კონტაქტის, სინაზისა და ალერსის განაწილების სურვილი იბადება.

**მესამე ეტაპი** — სქესობრივი მომწიფების დასასრულს ემთხვევა; ლიბიდო უკვე საკუთრივ ინტიმურ კავშირს ისახავს მიზნად და ორგანიზმის სქესობრივი ურთიერთობისათვის მზადყოფნის მანიშნებელია.

ქალებში ლიბიდო განვითარების სრულყოფას 26-28 წლის ასაკში აღწევს და 45-60 წლამდე ნარჩუნდება.

45-50 წლის ასაკში, ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონულ ცვლილებათა პარალელურად, ის მნიშვნელოვნად სუსტდება, ზოგიერთი ქალბატონი კლიმაქტერულ პერიოდში, ლიბიდოს არაადეკვატურ ხანმოკლე გაძლიერებას აღნიშნავს, რომელიც შემდეგ კვლავ ქვეითდება და ბოლოს საერთოდაც ქრება (ინვოლუციური ალიბიდემია).

## მამაკაცები და ქალები სექსუალობის მიხედვით განსხვავდებიან

მამაკაცები, შეიძლება ითქვას, რომ სექსუალური ურთიერთობისათვის ყოველთვის მზად არიან, ქალებში კი ასეთი სურვილი გარკვეული სექსუალური სტიმულაციის შედეგად იბადება.

ვილაცისათვის საკმარისია ეროგენულ ზონების მცირედ გაღიზიანება, ზოგიერთები მხოლოდ მაშინ იგზნებიან, როდესაც მათ უარს ეუბნებიან; არიან ისეთებიც, რომლებსაც გარკვეული სუნი და არომატი აღაგზნებს. ცნობილია, ე.წ. გონიერი ქალის ტიპი, რომლებსაც მხოლოდ წიგნიერ მამაკაცებთან სურთ ინტიმური კავშირი, ქალბატონთა ერთი ნაწილი კი — მამაკაცის გარეგნობას ანიჭებს უპირატესობას, ანუ არც ერთ ქალში სქესობრივი ურთიერთობის სურვილი თავიდანვე არ დევს, მის წარმოსაქმნელად კონკრეტული, გარკვეული პირობებია საჭირო.

ზოგადად, ქალთა სექსუალობასა და ინტიმური ურთიერთობის სურვილს უშუალოდ განსაზღვრავს პარტნიორ მამაკაცის მოხერხება და გამოცდილება.

## ალიბიდემია

რეპროდუქციული ასაკის ქალბატონთა ალიბიდემია სექსუალური ლტოლვის სრული უქონლობაა, რომელიც უპირატესად სუსტი სქესის წარმომადგენლებს ახასიათებთ და ყველაზე ხშირად, ეს თანდაყოლილი ან შეძენილი ნეიროენდოკრინოლოგიურ დარღვევებით არის განპირობებული.

ქალის მთელი რეპროდუქციულ ფუნქციას ჰიპოთალამო-ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლები — საკვერცხეთა სისტემა განაგებს. ლიბიდოს დაქვეითება ან მისი სრული გაქრობა სწორედ ამ სისტემის რომელიმე რგოლში ნორმალური მუშაობის შეფერხების ან ფუნქციონირების მოშლის შედეგია.

ინვოლუციური ალიბიდემიისაგან განსხვავებით, რომელიც ქალის ორგანიზმში მიმდინარე ასაკობრივ ცვლილებებს უკავშირდება, არსებობს ალიბიდემია, რომელიც ახალგაზრდა ქალებში სქესობრივი ცხოვრებისადმი სრულ გულგრილობასა და ინფანტილიზმს იწვევს და მისი გამოსწორება სქესობრივ სფეროში ყველაზე გამოცდილ მამაკაცებსაც კი არ შეუძლიათ. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზი, რის გამოც ახალგაზრდა ქალები სექსოლოგებსა და გინეკოლოგებს აკითხავენ, სწორედ ალიბიდემია და აგზნებასთან დაკავშირებული პრობლემებია.

თანამედროვე მონაცემებით, ქალთა 10-15% დაბადებიდანვე ფრიგიდული (სექსუალურად ცივი) ან ნაკლებტემპერამენტულია, რაც შესაძლოა გამოვლინდეს როგორც სქესობრივი ცხოვრების დაწყებისას, ისე წლების მანძილზე სრულფასოვანი სქესობრივ ცხოვრების შემდეგ.

ქალთა ფრიგიდულობა ზოგჯერ დროებითია და გარკვეული ხნის შემდეგ უკვალოდ ქრება, ზოგჯერ კი სამუდამოდ გრძელდება.

ზოგიერთი ქალი ნაწილობრივ ფრიგიდულია, ეს სელექციური, შეფარდებითი ალიბიდემიაა, რომელიც მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ პარტნიორთან (ქმართან, მამაკაცთან, რომელიც ძლიერ სძულს, ან პირიქით მასთან, ვის მიმართაც უკიდურესად დიდ სიმპათიას განიცდის), კონკრეტულ სიტუაციაში (ერთ სახლში ნათესავებთან ან შვილებთან ცხოვრებისას), ემოციურ მდგომარეობებში (დეპრესია, შფოთვა, შიში) ან ცხოვრების რომელიმე პერიოდში ვლინდება.

არსებობს სრული, გენერალიზებული ალიბიდემია, როცა ქალი ცივია ნებისმიერ პარტნიორთან, ნებისმიერ სიტუაციაში.

## ფრიგიდული ქალი, ანუ რატომ „ცივდება“ ქალი

გამომწვევი მიზეზების მიხედით ფრიგიდულობის რამდენიმე ფორმა განირჩევა:

ზოგიერთებში ეს სქესობრივი გრძნობების დაგვიანებულ განვითარებას უკავშირდება **(რეტარდაციული ალიბიდემია),** ასეთ ქალებში სქესობრივი ლტოლვისა და ორგაზმის განცდის უნარი გვიან ვითარდება, სიმწიფის ასაკთან ერთად ეს გრძნობები ფორმირდება, მათში იღვიძებს სქეოსობივი ლტოლვა და სექსუალური ინტერესებიც ჩვეულებრივზე გაცილებით გვიან ჩნდება.

სექსუალური სიცივე ხშირად რომელიმე პათოლოგიის თანმხლები, ან მისი გართულების შედეგია **(სიმპტომური ფორმა);** ხშირად ეს გამოწვეულია თავისა და ზურგის ტვინის პათოლოგიებით, მიზეზი შეიძლება იყოს ნარკომანია, ენდოკრინული დარღვევები, სასქესო ორგანოთა განუვითარებლობა, მშობიარობის შემდგომ საშოს დიდ ზომაზე გაფართოება, გინეკოლოგიური დაავადებები და სხვა.

სიმპტომური ფრიგიდულობა დროებით შესაძლოა, გამოიწვიოს ავიტამინოზმა, პოსტინფექციურმა ასთენიამ, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებამ, ინტოქსიკაციებმა, გონებრივმა და ფიზიკურმა გადაქანცვამ, ტრანკვილიზატორებმა, ყველა იმ პრეპარატმა, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემის მოდუნებას იწვევს.

ზოგჯერ ალიბიდემია თანდაყოლილი პათოლოგიაა (კონსტიტუციური **ფორმა)**, როცა ქალი ფსიქო-სექსუალური ფუნქციის უკმარისობით იბადება. ისინი ჯანმრთელი და სრულფასოვანი ქალები არიან, შეუძლიათ ჯანმრთელი შვილების გაჩენა, მაგრამ არასოდეს განიცდიან სექსუალურ ლტოლვას.

არსებობს ფსიქოგენური ფრიგიდულობაც, როცა სექსუალური მოთხოვნები ფსიქოლოგიური ფაქტორებით ითრგუნება; კონკრეტულად, ალიბიდემიის ჩამოყალიბების მიზეზად შესაძლოა, იქცეს ვითარება, როდესაც ქმარი ქალის წარმოდგენაში არსებულ იდეალს არ შეეფერება. ამასთან, არც ისე მყარია მათი ოჯახური ურთიერთობები; ქალს ძლიერ უყვარს სხვა მამაკაცი; ეს შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოტრავმულმა სიტუაციებმაც, რამაც ქალში დიდი სტრესი და შიში გამოიწვია: ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობა, ქმრის უხეშობა საქორწინო ღამეს, დეფლორაციისას განცდილი ძლიერი ტკივილი, დაორსულებისა და ვენერიული სნეულებით დაინფიცირების შიში, პარტნიორისადმი უნდობლობა, ლოდინის ნევროზი.

გამონაკლის შემთხვევაში ალიბიდემია და ფრიგიდულობა შესაძლოა, არასწორი სქესობრივი აღზრდის შედეგიც იყოს — ასკეტური, მკაცრი აღზრდის პირობები, ქალიშვილობაში ნებისმიერი სექსუალური გამოვლენის დათრგუნვა ზოგიერთებში მნიშვნელოვნად აფერხებს მოწინააღმდეგე სქესისადმი ნორმალურ, ფიზიოლოგიურ ლტოლვის ჩამოყალიბებას.

## ორგანოთა ამოკვეთის შემდგომ პროვოცირებული ალიბიდემია

გართულებული ორსულობის, მშობიარობის თუ სხვა სახის გინეკოლოგიური პათოლოგიებისას, საჭირო ხდება ხოლმე საშვილოსნოსა და მისი დანამატების, თირკმელზედა ჯირკვლის ამოკვეთა. მსგავსი ოპერაცია ზოგჯერ შესაძლოა იქცეს ალიბიდემიის მიზეზად ან გარკვეულწილად უარყოფითად აისახოს მეუღლეთა შორის სქესობრივ ურთიერთობაზე.

ქალის სქესობრივ ლტოლვას ესტროგენებზე (ქალის სასქესო ჰორმონები) მეტად, მამაკაცის სასქესო ჰორმონები — ანდროგენები განაპირობებს. ორგაზმის განცდის უნარი საშოს წინა კედელზე განლაგებულ ნერვულ რეცეპტორებზეა დამოკიდებული. ამიტომ საკვერცხეების, ასევე საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ მეუღლეთა სქესობრივ ურთიერთობაში თითქმის არაფერი იცვლება, სრულად ნარჩუნდება სქესობრივი ლტოლვაც და მისი დაკმაყოფილების უნარიც, რასაც ვერ ვიტყვით, თირკმელზედა ჯირკვალზე, რომლის ამოკვეთის შემდეგაც მოსალოდნელია, რომ სქესობრივი გრძნობა ნაწილობრივ შესუსტდეს ან სრულად გაქრეს კიდეც.

## მითები „ცივ ქალთა“ შესახებ

საზოგადოებაში სექსუალურად ცივ ქალბატონთა შესახებ უამრავი მცდარი აზრი არსებობს. მართლა განსხვავდებიან ისინი დანარჩენებისგან თუ ეს მორიგი მითია?



დიდი შეცდომაა ფრიგიდულ ქალებზე იმის თქმა, რომ მათ სიყვარული არ შეუძლიათ ან მათთვის უცხოა ოჯახური ბედნიერება.

ისინი შესანიშნავი ცოლები, დედები არიან, უყვართ ქალური სინაზით, განიცდიან ქმრისადმი დიდ სიყვარულს, პატივს სცემენ და აფასებენ როგორც მეგობარსა და შვილების მამას.

შეიძლება ითქვას, უმრავლესობას უბრალოდ არ გაუმართლა და ვერ შეხვდა იმ მამაკაცს, მათში ქალური სექსუალობის გაღვიძებას რომ შესძლებდა.

## სექსუალური ავერსია

სექსუალური ცხოვრებისადმი გულგრილობის გარდა, ფრიგიდული ქალები ზოგჯერ სქესობრივი აქტისადმი უდიდეს ზიზღსა და სიძულვილსაც განიცდიან. ამ მოვლენას სექსუალურ ავერსიას ვუწოდებთ. ზოგჯერ ზიზღი მხოლოდ სქესობრივ აქტისადმი ჩნდება, ზოგჯერ კი ის გენერალიზდება და პარტნიორზეც ვრცელდება; უფრო მეტიც, არსებობენ ქალები, რომლებიც სქესობრივ აქტს უფრო ადვილად იტანენ, ვიდრე პარტნიორის ალერსს.

ავერსია პარტნიორთა შორის უარყოფითი ურთიერთობის ან გადატანილი სპეციფიკური სექსუალური ტრავმის შედეგია.

## როგორ დავამარცხოთ სექსუალური სიცივე

* უპირველეს ყოვლისა აუცილებელია სექსოლოგთან ვიზიტი.

* მედიკამენტურ თერაპიამდე პაციენტთან საჭირო სათანადო კონტაქტის დამყარება, გულწრფელობისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნა, რაც ინტიმურ საკითხთა გამოვლენის საშუალებას იძლევა.

* გასათვალისწინებელია ეთნიკური და ზნეობრივი წარმოდგენები, პაციენტის პიროვნული თავისებურებანი, ცხოვრები წესი, პროფესია და სხვა.

რაც შეეხება საკუთრივ ანტიალიბიდემიურ თერაპიას, ის კომპლექსურად, ზოგადი და ადგილობრივი პროცედურებით ტარდება.

**ზოგადი თერაპია** არც ისე დიდი ხნის წინათ, ქალის სასქესო ჰორმონებით მკურნალობას მოიცავდა, მაგრამ ფრიგიდულ ქალებში ფიზიოლოგიურად მიმდინარეობს მენსტრუაცია, ორსულობა, მშობიარობა, რაც ესტროგენების ნორმალურ პროდუქციაზე მიუთითებს, ამიტომ დღეს ალიბიდემიის სამკურნალოდ ქალის სასქესო ჰორმონებს მხოლოდ მაშინ იყენებენ, როცა ქალს ეს მაჩვენებელები ნორმიდან აქვს გადახრილი.

თუმცა მათი დანიშვნისას საჭიროა დიდი სიფრთხილე — ქალის სასქესო ჰორმონებით მკურნალობა არ შეიძლება იმ ქალბატონებისათვის, რომლებსაც საშვილოსნოს ფიბრომა, მასტოპათია, საშვილოსნოს ყელის ეროზია და პოლიპოზი აწუხებთ, აგრეთვე ღვიძლის და თირკმელების დაავადებებისას, ტუბერკულოზისა და ეპილეფსიის დროს.

დადებითი შედეგი მოაქვს ანდროგენებით მკურნალობასაც, განსაკუთრებით იმ ქალებში, რომელთაც კარგად აქვთ განვითარებული მეორადი სასქესო ნიშნები და ანალიზებითაც დგინდება, რომ მათ ორგანიზმში ესტროგენების სიჭარბის ფონზე ანდროგენების აშკარა დეფიციტია.

სიფრთხილე აქაც საჭიროა: ანდროგენების მიღება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს სახეზე ცხიმიანობის და თმიანობის მომატების, ხმის ჩახლეჩვის, თმის ცვენის და სხეულის მასის მომატების ან მენსტრუალური ციკლის დარღვევისას.

* ადგილობრივი მეთოდებიდან აღსანიშნავია **ფიზიოთერაპია,** რომელიც მიზნად ისახავს სასქესო ორგანოებში ჰიპერემიის გამოწვევას და ეროტიზაციას. ეს ცხელი წყლისა და ტალახის აბაზანებით, საშოს ტამპონებით, სასქესო ორგანოების დიათერმიითა და გარეთა სასქესო ორგანოების დარსონვალიზაციით მიიღწევა.

ცხელი ფიზიოთერაპიული პროცედურები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საშვილოსნოს მიომით დაავადებული პაციენტებისათვის.

* ფსიქოგენურ ალიბიდემიას, ჩვეულებრივ, ფსიქოთერაპიით მკურნალობენ, თანამედროვე მედიკამენტები და კვლევის უამრავი საშუალება დღეს ისეთი პაციენტების განკურნების საშუალებასაც იძლევა, რომლებსაც რამდენიმე წლის წინ ვერაფერს ვშველოდით. სამწუხაროდ, 100-პროცენტიანი განკურნება, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ეს ძირითადად კონსტიტუციურ ალიბიდემიას ეხება, დანარჩენი ფორმებისას, შემთხვევათა 65-70 პროცენტში, მკურნალობა წარმატებულია და „ცივი“ ქალებიც რამდენიმე თვეში სრულფასოვან სქესობრივ ცხოვრებას იწყებენ.

**ზვიად ლონლაძე**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— მსურს, დავრეგისტრირდე სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში შვილად აყვანის საკითხთან დაკავშირებით. რა საბუთები დამჭირდება?**

-რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა ხსენებულ ტერიტორიულ ორგანოში:

1. განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი საბუთი, მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი და მისი ასლი;
3. ცნობა ნასამართლობის შესახებ;
4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
5. ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების სესახებ;
6. ცნობა სამუშაო ადგილიდან, თანამდებობისა და ხელფასის მითითებით იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე დასაქმებულია;
7. ქონებისა და შემოსავლების შესახებ წერილობითი ინფორმაცია;
8. ქორწინების მოწმობა და მისი ასლი. თუ განმცხადებელი ქორწინებაში იმყოფება;
9. შვილად აყვანასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია. დეტალებს აგიხსნიან სააგენტოში.

იმ სემთხვევაში, თუ მშვილებელი კანდიდატი ასაყვანი ბავშვის ნათესავია, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

* * *

**— ვაპირებ მეუღლესთან განქორწინებას, ვატარებ მის გვარს და ყველა ჩემი ოფიციალური საბუთი ამ გვარზე მაქვს აღებული. შემიძლია თუ არა, განქორწინების შემდეგ დავიტოვო მეუღლის გვარი, მისი თანხმობის გარეშე?**

— შეგიძლიათ და ამისათვის არ გჭირდებათ მეუღლის თანხმობა.

სამოქალაქო კანონმდებლობით, განქორწინებისას მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს, განქორწინების შემდეგაც დაიტოვოს იგივე გვარი, ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი.

* * *

**— გარდამეცვალა მეუღლე. გვყავს ორი შვილი. ამავე დროს, ჩემს მეუღლეს არარეგისტრირებული ქორწინებიდან ჰყავს სხვა შვილიც, რომელიც მის გვარს ატარებს. არის თუ არა ეს ბავშვი ჩემი მეუღლის მემკვიდრე?**

— ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ყოველთვის არის გარდაცვლილი მამის მემკვიდრე, თუ მამობა აღიარებულია ნებაყოფლობით ან დადგენილია სასამართლო წესით. ვინაიდან თქვენი მეუღლის არარეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვი ატარებს მამის გვარს, ეს ნიშნავს, რომ თქვენმა მეუღლემ აღიარა მისი მამობა და, აქედან გამომდინარე, ის მიიღებს გარდაცვლილი მამის დატოვებული სამკვიდროს წილს, როგორც პირველი რიგის მემკვიდრე.

* * *

**— არსებობს თუ არა შვებულება ანაზღაურების გარეშე?**

— დიახ, არსებობს.

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში 15 კალენდარულ დღემდე. საჯარო სამსახურში დასაქმებულს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე , არა უმეტეს 1 წლისა.

* * *

**— ვიშვილე ახალშობილი. მეკუთვნის თუ არა შვებულება?**



— დიახ, გეკუთვნით.

თუ თქვენ იშვილეთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, მოგეცემათ შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო. მისი ხანგრძლივობაა ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით. ამასთან მოგახსენებთ, რომ ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე.

* * *

**— შემაქვს სარჩელი სასამართლოში. ვარ დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ვღებულობ საარსებო შემწეობას. მექნება თუ არა შეღავათები სახელმწიფო ბაჟის გადახდისას?**

— ვინაიდან, თქვენ დარეგისტრირებული ხართ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ღებულობთ საარსებო შემწეობას, სამოქალაქო კანონმდებლობა მთლიანად გათავისუფლებთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

* * *

**— მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, განქორწინების საქმე ვაწარმოოთ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. უნდა გადავიხადოთ თუ არა სახელმწიფო ბაჟი?**

— თქვენ გადაიხდით მომსახურების საფასურს 45 ლარის ოდენობით.

* * *

**— განქორწინებული ვარ მეუღლესთან, რომლისგანაც მყავს ქალიშვილი. ის 12 წლისაა. მამამისი მის რჩენა-აღზრდაში არ ღებულობს მონაწილეობას. გადავწყვიტე, ქალიშვილი ჩემს გვარზე გადმოვიყვანო.როგორ უნდა მოვიქცე?**

— თქვენ შეგიძლიათ, გვარის შეცვლის მოთხოვნით მიმართოთ სასამართლოს. აქვე დავძენ, რომ, ვინაიდან, თქვენი ქალიშვილი 12 წლისაა / ანუ 10 წელზე მეტი ასაკისაა/ გვარის შეცვლისათვის აუცილებელია მისი თანხმობაც.

* * *

**— შეტანილი მაქვს სარჩელი სასამართლოში ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ ალიმენტის მოთხოვნით. შემიძლია თუ არა, სასამართლოში მოვითხოვო ალიმენტის გადახდა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, ვინაიდან, ეს თანხა საჭიროა ჩვენი შვილის ჯანმრთელობის გამოსაკვლევად.**

— დიახ, შეგიძლიათ.

თუკი მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის გადახდის საკითხზე და დავა წარიმართა სასამართლოში , სასამართლომ მანამდეც შეიძლება დააკისროს მშობელს ალიმენტის გადახდა, სანამ დავა საბოლოოდ გადაწყდება - ანუ საქმის განხილვის განმავლობაში. ამას შეძილება რამდენიმე თვე დასჭირდეს. სასამართლოს უფლება აქვს, მიიღოს დროებითი განკარგულება, რომლითაც მშობელს, თუკი პირი ასეთად არის დარეგისტრირებული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, დაეკისრება დავის დასრულებამდე შვილის შესანახი სახსრების გადახდა/ დროებითი განკარგულების მოთხოვნა შეიძლება სხვა ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა მშობლის შვილთან ურთიერთობის განსაზღვრა,ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთ- მშობლისათვის და სხვა.

* * *

**— რას ნიშნავს მინდობით აღზრდა?**

— მინდობით აღზრდა გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმღები ოჯახის მიერ არასრულწლოვანი ბავშვის მოვლასა და აღზრდას, რისთვისაც მიმღები ოჯახი სახელმწიფოსაგან ღებულობს მინდობით აღსაზრდელზე ზრუნვის ხარჯებს.

* * *

**— გარდამეცვალა მეუღლე, რომელთანაც არ ვიმყოფებოდი რეგისტრირებულ ქორწინებაში. გვყავს სამი შვილი. ვარ თუ არა ჩემი გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრე?**

— სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, დაუქორწინებელ პირებს არა აქვთ ერთმანეთის მიმართ მემკვიდრეობის უფლება, ანუ ვინაიდან, თქვენ არ იმყოფებოდით რეგისტრირებულ სამოქალაქო ქორწინებაში თქვენს მეუღლესთან, ვერ განაცხადებთ პრეტენზიას მის დანატოვარ ქონებაზე. რაც შეეხება თქვენს შვილებს, ისინი, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეები,მიიღებენ თანაბარ წილად მამის დანატოვარ სამკვიდროს.



# xalxis azriT

აქ ყველა წერთ თეა წულუკიანის მინისტრად დანიშვნაზე 100%, მაგრამ მე ვთვლი, რომ თეა წულუკიანი არ უნდა დათანხმდეს მინისტრის თანამდებობას. მას 4 წლით საპარლამენტო მანდატი მისცა ნაძალადევის რაიონის მოსახლეობამ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან დაშინების პირობებში. მანდატზე ასე მოკლე ვადაში უარის თქმა იქნება ამომრჩევლების მიმართ უპატივცემულობა. ამავე დროს ამ ნაბიჯით ივანიშვილის მთავრობა გააგრძელებს სააკაშვილის ხელისუფლების მემკვიდრეობას, რაც ძლიერი პოლიტიკოსების პარლამენტიდან გადინებაში და სიმძიმის ცენტრის აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადატანაში გამოიხატება. არჩიო მინისტრის თანამდებობა სახალხო წარმომადგენლის მანდატს, ნიშნავს იმას, რომ უგულებელყო ხალხის მიერ უშუალოდ არჩეული ორგანოს მნიშვნელობა და მისი უზენაესობა აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. ძლიერი საკანონმდებლო ორგანოს გარეშე საქართველოში ვერ გაძლიერდება დემოკრატიული ინსტიტუტები, იმიტომ რომ დასავლური დემოკრატია საპარლამენტო სუვერენიტეტის იდეას ეფუძნება.

ახლა ახალი თეორია აიტაცა ზოგიერთმა, რომ, თურმე ნაციონალური მოძრაობა მაგარი ოპოზიცია იქნება. ზოგიერთებიც უკვე კეკლუცობენ ოპოზიციურ პოზაში. ძალიან კარგია, რომ რევანშიზმი, ანგარიშსწორება და ძალადობა არ შეინიშნება გამარჯვებულის მხრიდან, მაგრამ ცოტა ტვინი დავატანოთ, რას ვამბობთ. ამ გუნდის წევრთა დიდ ნაწილს კონკრეტულად აქვს მონაწილეობა მიღებული კონკრეტულ დანაშაულში, ხელი აქვთ მოწერილი სხვადასხვა უკანონობაზე, შეჭმული აქვთ ჩვენი ბიუჯეტის ფული ან მშვიდად უყურებდნენ, სხვა როგორ ჭამდა. მოდით, ჯერ გაირკვეს ძალიან მშვიდად, სამართლებრივად, კონკრეტულად, არა კოლექტიურად, არამედ ინდივიდუალურად ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი და თუ ვინმე სუფთა აღმოჩნდა ამ გუნდიდან, მერე ვისაუბროთ, ვინ და როგორი ოპოზიცია იქნება.


# alternatiuli fsiqoTerapia

(ავტორისეული, არამედიკამენტური მეთოდი)

ექიმი — ფსიქოთერაპევტი
გია სულაქველიძე

ჩვენებები: ფუნქციური ნევროზი, სტრესი, დეპრესია, შიში, უძილობა, კლიმაქტერული დისფუნქცია, ქრონიკული დაღლის სინდრომი.

მისამართი: უზნაძის (კამოს ქ.49)
კარდიოლოგიური საავადმყოფო
ტელ: სამს: 2 95 60 89;
ბინა: 2 37 08 22
მობ: 597 37 08 22

konsultacia ufasoa


# ✝ Tiniko kikutaZis gaxseneba

... ორი წელი გავიდა უშენოდ, 1 სექტემბერი შენი დაბადების დღე იყო, იყავი პატიოსანი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, უეცარმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, ყველას გვიმძიმს უშენობა, მაგრამ ჩვენს გულებში სამუდამოდ დარჩები, ყოველთვის გვემახსოვრები. შენს საფლავზე ყვავილებით მოვედით, არასდროს დაგივიწყებთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი ოჯახი

თავმოსულელებულნი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სეთურივით სახელების გამოცვლა დაიწყო და ამიერიდან ოპოზიცია დამიძახეთო, — განაცხადა.

— ოპოზიცია, ოპოზიცია, ოპოზიცია! — აგუგუნდნენ მყისვე სააკაშვილის მონასპანი და პატრონს მდაბლად სცეს თაყვანი.

„ნაცმოძრაობის" ასინეთამ, იგივე ჩიორამ, მაშინვე განგაშის ზარები დაარისხა: ჩვენ, ოპოზიციას, ხელისუფლება —„ქართული ოცნება" გვჩაგრავს, ჩვენზე ზეწოლას ახდენს და ოპოზიციური პატიოსნებით მოპოვებულ წარმატებებს ხელიდან გვაცლისო.

ამ ხელისუფლებამ, უკაცრავად, იმ ხელისუფლებამ, რომელიც არის იგივე ოპოზიცია, „ქართულ ოცნებას"

## ნაწყვეტი რომანიდან „დათა თუთაშხია"

„— ექვთიმე გულკეთილს ნიშნავს, გამოდგება ეს. ა, მელენტი, - მზრუნველი ყოფილა ბერძნულად. ვუკოლ — ხარების მწყემსი. არ გვინდა ეს. თავლის უფროსი ქე ხარ უკვე და ხარების მწყემსი აღარაა საჭირო. პოლიევქტი... კაია, დიდად სასურველს ნიშნავს. დომენტიც კაია — დამწყნარებელი. აბესალომის — ებრაული სახელი ყოფილა და მშვიდობის მამაა, თურმე. ესეც კაია ნამდვილად — ტიხონ! უჰ, ნამეტანი კაია, ბედნიერების მომტანს ნიშნავს და, აგერ ერთი მეგულება კიდევ... კალენიკე — ბრწყინვალედ გამარჯვებული. რამდენია? შვიდი ხომ? იყოს. გვეყოფა შვიდი: ექვთიმე, მელენტი, პოლიევქტი, დომენტი, აბესალომ, ტიხონ და კალენიკე. დარჩეს ასე?

- მასე დარჩეს!

ხოლო მომძლვნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, ექვთიმე, მელენტი, პოლიევქტი, დომენტი, აბესალომ, ტიხონ და კალენიკე, - იცოცხლოს მარადჟამს!"



# miSa seTuri _ igive poliqronion, igive evtixi, igive kalenike anu igive opozicia

დემოკრატიულ მსოფლიოს გასაგონად ბრალი დასდო — ეს ხელისუფლება („ქართული ოცნება") იმ ხელისუფლებას („ნაცმოძრაობა") ავიწროებს, ემუქრება, მუშტს უღერებს და გვიშველეთო.



გამოცანა გვეკითხება: — რატომ ჰქვია ოპოზიცია პოლიტიკურ ძალას, რომლის მეთაურია ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი, რომელსაც ემორჩილება ჯარი, პოლიცია, სოდი, კუდი, პროკურატურა, სასამართლო და რატომ ჰქვია ხელისუფლება იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის არჩევნებში გამარჯვება მხოლოდ 19 ოქტომბერს გამოცხადდება ოფიციალურად და რომელსაც ჯერჯერობით არც ჯარი ემორჩილება, არც პოლიცია, არც კუდი, არც სოდი, არც პროკურატურა და არც სასამართლო?

სააკაშვილი, იგივე მიშა, იგივე პოლიქრონიონი, იგივე ევტიხი, იგივე კალენიკე, იგივე ხელისუფლება და იმავე დროს ოპოზიციაც, ცუდ თამაშს გეთამაშებათ და ნუ აჰყვებით, თორემ მერე გვიან იქნება თითზე კბენანი, „ქართული ოცნების" მესვეურნო!



სააკაშვილს სეთურივით სახელის გამოცვლა მოუნდა და თუ აქამდე ფაშისტს, დიქტატორს, ჯალათს ეძახდნენ, ახლა ოპოზიცია დამიძახეთო, მოითხოვა.

რატომაც არა, სახელი ოპოზიცია, რა თქმა უნდა, გაცილებით სჯობს ზემოთჩამოთვლილ სახელებს — ფაშისტს, დიქტატორს, ჯალათს.

კი, ბატონო, დავუძახოთ ოპოზიცია და თავზეც წამებულის გვირგვინი დავადგათ მასაც და მის გუნდის თითოეულ წევრსაც — ასე უფრო დამაჯერებელი იქნება საარაკო ამბავი „ნაცების" გაოპოზიციონერებისა.

# gavzomoT JiJilaSviliTan erTad anu raufro mZime danaSaulia _ adamianis gaupatiureba tvinidan Tu ukanalidan?

„— მი...გება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ეს-ესაა დედაჩემი გამოვიდა და იმის ბაყვებით შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდები", — დაიწყო ზაზა დავითაიამ ზაზა ბურჭულაძის ტექსტიდან ფრაგმენტის კითხვა და გადაცემის წამყვანს, ჟიჟილაშვილს, კინაღამ გული წაუვიდა — ოღონდ ეგ არა, ბატონო ზაზა, ოღონდ ამას ნუ წაიკითხავთო, — შეემუდარა დავითაიას განწირული ხმით.

კი, მაგრამ, რატომ არ უნდა წაიკითხოს, ქალბატონო ნინო, დავითაიამ ბურჭულაძის ტექსტის ეს ფრაგმენტი?

კაცმა (ბურჭულაძემ) დაწერა, დაბეჭდა, წიგნად გამოაქვეყნა და დავითაიას წაკითხვის უფლებაც არ აქვს?

აჰ, უხერხულია, არაეთიკურია, ამორალურია, მანიაკალურია, ავადმყოფურია და საზოგადოების წინაშე ტელეეკრანიდან ასეთი რაღაცის წაკითხვა არ შეიძლება?

ქალბატონო წამყვანო, ტექსტის მოსმენა რომ გეუხერხულებათ, ამ ტექსტის დამწერთან პირისპირ ჯდომა და მისი „ნააზრევის" მოსმენა რატომ არ გეუხერხულებათ?

დავითაიას თუ დავუჯერებთ, ეს კაცი ავადმყოფია და რამდენ. ავადმყოფს ამა თუ იმ რედაქციასთან დაყვირება მოუნდება, თქვენ ეგრევე „პოლიტმეტრში" უნდა მოიწვიოთ საზოგადოებრივი აზრის გასაზომად?

სხვათა შორის, ამ გაზომვაზე გამახსენდა, რას უნდა ნიშნავდეს ნეტავ თქვენს გადაცემის ქუდში გაჟღერებული მოწოდება „პოლიტმეტრი — გაზომეთ ნინო ჟიჟილაშვილთან ერთად!"

რას ზომავთ, რისი გაზომვისკენ მოგვიწოდებთ, გაგვაგებინეთ ერთი...







ვფიქრობ, „ლიბერალების" ეს დესანტი, რომელიც „ასავალ-დასავალის" კარებთან მიიჭრა „ნაცმოძრაობის" მიერ არის გადმოსხმული ჩასაძირად განწირული „ნაცების" გემიდან.

„ლიბერალების" „დესანტის" მიზანი, როგორც ჩანს, ათასგვარ დანაშაულში ბრალდებული „ნაცმოძრაობის" დაცვაა საზოგადოების მხრიდან მოსალოდნელი შურისძიებისაგან, თუმცა ტყუილად ეშინიათ „ლიბერალებს" — ქართველი ხალხი არ აპირებს ვინმეს ლინჩის წესით გაუსწორდეს, თუმცა ქართული ნიურნბერგი აუცილებლად შედგება და ამ პროცესზე არა მარტო ჯალათობაში მხილებული შემსრულებლები დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით, არამედ შემკვეთებიც.

დრო მოვა, ქართველი ერი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თუ არა მორალურ პასუხისმგებლობას მაინც დააკისრებს იმ პირებსაც, რომლებიც წლების განმავლობაში ცდილობდნენ ერის დეგრადაციის, გარყვნისა და გახრწნისთვის ხელის შეწყობას.

მათ ფართოდ ჰქონდათ გახსნილი გამომცემლობების, ტელევიზიების, საინფორმაციო საშუალებების კარები და ისინიც დაუბრკოლებლად ეწეოდნენ გარყვნილების და უზნეობის პროპაგანდას.

ერთ-ერთი გამორჩეული სუბიექტი უზნეობის იდეოლოგთა დესანტის შემადგენლობაში ქალბატონი ჟიჟილაშვილის მიერ საზოგადოებრივი აზრის გასაზომად მოწვეული ზაზა ბურჭულაძე გახლავთ.

ბურჭულაძეები და მათი მსგავსნი მენტალურად დიდად არ განსხვავდებიან იმ ჯალათებისგან, რომლებიც ცოცხის ტარებს და პრეზერვატივწამოცმულ „დუბინკებს" ურჭობდნენ ადამიანებს უკანალში.

ესენიც, ეს ბურჭულაძეებიც, იგივეს აკეთებენ, ოღონდ აკეთებენ სიტყვიერი ზემოქმედების საშუალებით, ვერბალურად, რაც ფიზიკურ ზემოქმედებაზე არანაკლებ მძიმე დაღს ასვამს ადამიანის ფსიქიკაზე, მის ზნესა და ხასიათზე.

ის ჯალათები უკანა ტანიდან თუ აუპატიურებდნენ ადამიანებს, ბურჭულაძეები ტვინიდან აუპატიურებენ, სულიდან აუპატიურებენ და რყვნიან, რაც, არა გვგონია, ნაკლებად მძიმე დანაშაული იყოს, ვიდრე უკანალში ცოცხის ტარის ჩხიკინი.